ამელი ნოტომი
ლურჯწვერა

ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიამ

* * *

როცა სატურნინი შეხვედრაზე მივიდა, ფრიად გაოცდა, – არა, ამდენ მსურველს ნამდვილად არ ელოდა. კი იცოდა, რომ ერთადერთი კანდიდატი ნამდვილად არ იქნებოდა, მაგრამ ფიქრადაც არ გაუვლია, თუ მოსაცდელ დარბაზში რიგით მეთექვსმეტე აღმოჩნდებოდა.

„არა, ეს მეტისმეტად კარგი და ლამაზია, მართალი რომ იყოს. მე აქ თანამობინადრეობის კონტრაქტს ვერასდროს ვეღირსები“, – გაიფიქრა მან. მაგრამ რადგან ამ საქმის მოთავებას დილითვე ვარაუდობდა, მაინც გადაწყვიტა, დარჩენილიყო და რიგს მოთმინებით დალოდებოდა. დარბაზმაც მშვენიერ გუნებაზე დააყენა. პირველად შედგა ფეხი პარიზის მე-7 უბანში მდებარე სასახლეში. ოთახის მდიდრულმა მოწყობილობამ, მაღალმა ჭერმა და მაამებლურმა ბრწყინვალებამ პირდაპირ გააოგნა. არა, ამას მოსაცდელი არ ეთქმოდა.

გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება კი იუწყებოდა: „ქირავდება 40 კვმ ოთახი, გასასვლელით თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სამზარეულოში“, – და ამაში ხუთას ევროს ითხოვდნენ. „არა, ნამდვილად რაღაც გაუგებრობასთან მაქვს საქმე, ვიღაცას აშკარად რაღაც შეეშალა“. არადა, რახანია ეძებს, ღმერთმა უწყის, რამდენ განცხადებას გამოეხმაურა. 25-კვადრატულმეტრიან ოთახებში, ნამდვილ ავგიას თავლებში, უაბაზანოდ, 1000 დოლარს ითხოვდნენ. ნეტავ რა იმალება ამ დაუჯერებელი, ლამის სასწაულის ტოლფასი განცხადების უკან?

დროის გასაყვანად სატურნინი კანდიდატების თვალიერებას შეუდგა. შენიშნა, რომ რიგში მხოლოდ ქალები იდგნენ. ისიც კი გაიფიქრა, თანამობინადრეობაში მხოლოდ ქალები ხომ არ იგულისხმებიან და კურიოზულ ფენომენთან ხომ არა გვაქვს

საქმეო. ძალიან შეწუხებული და დადარდიანებული ჩანდნენ, მიზეზი გასაგებია. ალბათ, სურვილი სწვავდათ, როგორმე ოთახისთვის გამოეკრათ ხელი. სამწუხაროდ, სატურნინს მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ გაუმართლებდა. რითი სჯობდა, ვთქვათ, აი, ამ რესპექტაბელური იერის ქალს ან კიდევ იმ საქმიანს? უცებ იქვე მდგომმა მოკლე, აჯაგრულვარცხნილობიანმა მომლოდინემ, რომელიც სატურნინს ისეთი გულისყურით ათვალიერებდა, გეგონებოდა, მისი ნაფიქრალის გამოცნობას ცდილობსო, თავდაჯერებულად თქვა:

– ოთახი თქვენ გერგებათ.

– რა ბრძანეთ?

– თქვენ ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი ხართ. ცხადია, ოთახი თქვენი იქნება.

სატურნინმა წარბები შეჭმუხნა.

– ეს გამომეტყველება აშკარად არ გიხდებათ, – განაგრძო უცნობმა, – როცა გასაუბრებაზე კაბინეტში შეხვალთ, კარგი იქნება, ნაკლებად დაძაბული და უფრო მოდუნებული იყოთ.

– შეიძლება თავი დამანებოთ?

– ნუ ბრაზობთ. ეტყობა, სასახლის მფლობელის რეპუტაციაზე არაფერი იცით.

– არა.

ქალი დადუმდა. სახეზე თითქოს იდუმალება გადაეფინა. ეტყობა, ფიქრობდა, გოგო კიდევ მეტის თქმას შემეხვეწებაო. სატურნინმა გადაწყვიტა, მოვლენები არ დაეჩქარებინა. დარწმუნებული იყო, რომ აბეზარი თვითონვე მოხსნიდა გუდას პირს და ყველაფერს ჩამოყაჭავდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი.

– ჩვენ აქ პირველი ნამდვილად არ ვართ. ჩვენამდე რვა ქალმა უკვე მოაწერა ხელი თანამობინადრეობის კონტრაქტს. თქვენ წარმოიდგინეთ, რვავე უგზო-უკვლოდ გაქრა. მათი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ უწყის.

– იქნებ ოთახი არ მოეწონათ?

– თქვენ ვერ გამიგეთ – ოთახის ავკარგიანობაზე აზრის გამოთქმის დროც არ ჰქონიათ. გაქრნენ, მათზე არავის არაფერი სმენია.

– დაიხოცნენ?

– არა, გაქრობა სიკვდილს სულაც არ ნიშნავს.

ქალი კმაყოფილი ჩანდა მიღწეული ეფექტით.

– მაშინ თქვენ რაღამ მოგიყვანათ? – ჰკითხა სატურნინმა, – თქვენც ხომ არ აპირებთ გაქრობას?

– ეჰ, მე ვინ მომცა ამის ბედი! სულაც არა მაქვს იმედი, რომ არჩევანს ჩემზე შეაჩერებენ. არადა, ჩემთვის პატრონთან შეხვედრის სხვა გზა არ არსებობს.

სატურნინმა განგებ თავი შეიკავა იმ კითხვის დასმისაგან, რომელსაც მისგან ელოდნენ. ეს ენად გაკრეფილი ჭორიკანა უკვე საშინლად აღიზიანებდა.

– დონ ელემირიო სახლიდან არასდროს გამოდის. არც მისი ფოტო და არც პორტრეტი უნახავს ვინმეს. ძალიან მაინტერესებს, როგორია. იმდენი ქალი გადაირია ამ კაცზე...

უეცრად სატურნინმა გაიფიქრა, ხომ არ აჯობებს, აქედან სასწრაფოდ მოვუსვაო. ჭირივით ეჯავრებოდა მაცდური მამაკაცები. არადა, ბინის საძებნელად მთელ პარიზში წოწიალი ყელში ამოუვიდა. საღამოს ისევ კორინთან დაბრუნებაზე გაფიქრებაც კი გულს ურევდა. კორინი „ევროდისნეიში“ მუშაობდა და უზომოდ ბედნიერი იყო, რომ თავის ოროთახიან ბინას თანატოლ ბელგიელთან ინაწილებდა. ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ მის თანამობინადრეს სიგარეტის სუნით აყროლებულ დივანზე ძილი უკვე აღარ შეეძლო.

– განცხადება მხოლოდ მამაკაცებს მიმართავდა? აქ მხოლოდ ქალებს ვხედავ.

– განცხადებაში არაფერია დაკონკრეტებული. თქვენ გარდა ყველამ ყველაფერი იცის. უცხოელი ხართ?

სატურნინმა პასუხის გაცემა არ ისურვა, რადგან აღარ უნდოდა იმ გულისამრევი მარადი ფრაზის გაგონება: „აჰ, ბელგიიდან ხართ? მეც მყავს ერთი ბელგიელი მეგობარი“. ის არავის ბელგიელი მეგობარი არ იყო და ვერც იქნებოდა. უბრალოდ,

ბელგიელი იყო და ამ რატრატას მეგობარი ვერაფრით გახდებოდა.

– ყაზახი ვარ, – უპასუხა სატურნინმა.

– უკაცრავად?

– ყაზახეთიდან ჩამოვედი. ყაზახეთი გაგიგიათ? მსოფლიოში ყველაზე პირსისხლიანი, სასტიკი და დაუნდობელი მეომრები, ალბათ, იქ ცხოვრობენ. როგორც კი მოვიწყენთ, ვხოცავთ ყველას, განურჩევლად სქესისა და ასაკისა.

დამფრთხალმა ჭორიკანამ პირი მოკუმა. სატურნინს თავისუფალი ფიქრის საშუალება მიეცა და მაინც რისი უნდა შეშინებოდა? სულაც არ მიეკუთვნებოდა იმ ქალებს, რომელთა პირველი დანახვისთანავე მამაკაცებს ელეთმელეთი მოსდით და უყვარდებათ. გამორიცხულია! თან, როცა ამ მექალთანეზეა ლაპარაკი. ქალების უმისამართოდ გაქრობის ამბავი სატურნინს დაუჯერებელი ეჩვენა, რომ არა ვთქვათ, თითიდან გამოწოვილი. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი ნაკლებად სასოწარმკვეთი ეჩვენა, ვიდრე მარნ-ლა-ვალეში კორინთან დაბრუნება.

სატურნინი კანდიდატთა დათვალიერებას შეუდგა. დღესავით ნათელი იყო, რომ ეს კონტრაქტი სინამდვილეში არც ერთს არ სჭირდებოდა. ფეშენებელურ და პრესტიჟულ უბნებში მცხოვრები ქალები აქ მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა. საკუთარი თვალით სურდათ ეხილათ ეს ტიპი – წარმოშობით ესპანელი დიდგვაროვანი. ეს ბოლო დეტალი ხომ სატურნინს ერთიანად უღებდა ბოლოს. ინტერესი, რომელსაც ბოლო დროს ფრანგები არისტოკრატიის მიმართ იჩენდნენ, ნამდვილად გულისამრევი იყო.

„დამშვიდდი, – უთხრა თავის თავს სატურნინმა, – ნუ უგდებ ყურს ამ სასაცილო ჭორებს. შენ აქ იმიტომ მოხვედი, რომ ოთახი დაითრიო. მორჩა!“

* * *

ორი საათის შემდეგ მდივანმა სატურნინი ახალდაკრეფილი ყვავილებით მორთულ უზარმაზარ კაბინეტში შეიყვანა.

მამაკაცს, რომელიც ხელის ჩამოსართმევად მიეგება, მხოლოდ ერთი რამ შეამჩნია: გამქირავებელი ღრმად დეპრესიულია, ჩამქრალი მზერა და დაქანცული ხმა აქვს.

– გამარჯობა, მე ელემირიო ნიბალ ი მილკარი მქვია და ორმოცდაოთხი წლის ვარ.

– მე სატურნინ პუისანი ვარ, ოცდახუთი წლის. ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ვასწავლი. დროებით ვცვლი კოლეგას.

ეს ბოლო ფრაზა ამაყად წარმოთქვა. ამ ასაკში ასეთი პოსტი უბრალო ბელგიელისთვის წარმოუდგენელი რამ იყო, დროებითაც კი!

– ოთახი თქვენია, – გამოუცხადა კაცმა.

დაბნეული სატურნინი დაინტერესდა:

– ჩემ წინ შემოსული კანდიდატები დაიწუნეთ. ჩემზე კი თითქმის დაუფიქრებლად დათანხმდით. ვერაფერი გამიგია... ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლის ხსენებამ ხომ არ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?

– თუ გნებავთ, დაე, ასე იყოს, – მიუგო მან გულგრილად, – წამობრძანდით, ოთახს გაჩვენებთ.

უთვალავ ბუდუარს ჩაუარეს. ბოლოს მიადგნენ ოთახს, რომელიც სატურნინს უკიდეგანო ეჩვენა. სტილი მდიდრული, მაგრამ გაურკვეველი. საბაზანო ახლახან გაერემონტებინათ. ასეთ ბრწყინვალე საცხოვრებელზე სატურნინი სიზმარშიც ვერ იოცნებებდა.

შემდეგ დონ ელემირიომ ახალ მობინადრეს უზარმაზარი, თანამედროვე სამზარეულო დაათვალიერებინა.

– აი, ამ მაცივრით მხოლოდ თქვენ ისარგებლებთ. არ მინდა, ვიცოდე, რას მიირთმევთ.

– თქვენ თვითონ ამზადებთ კერძებს? – გაიკვირვა სატურნინმა.

– რა თქმა უნდა. კულინარია ერთდროულად ხელოვნებაცაა და ძალაუფლებაც. მე ვერავის ძალაუფლებას ვერ დავემორჩილები. თუ ჩემთან ერთად ხანდახან ისადილებთ და ჩემს ნახელავს დააგემოვნებთ, დიდად გამახარებთ. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია.

შემდეგ ორივენი შავად შეღებილ კარს მიადგნენ.

– აქედან პირდაპირ ბნელ ოთახში აღმოჩნდებით, სადაც ფოტოებს ვამჟღავნებ. გასაღებით არასდროს ვკეტავ. უბრალოდ, ნდობის საქმეა. ცხადია, ამ ოთახში შესვლა სასტიკად გეკრძალებათ. თუ ცდუნებამ გძლიათ და მაინც შეხვედით, ეს შეუმჩნეველი არ დამრჩება... და შემდეგ რასაც მოიმკით, საკუთარ თავს დააბრალეთ.

სატურნინი გაირინდა.

– ისე, რა თქმა უნდა, ყველგან შეგიძლიათ იაროთ. შეკითხვები გაქვთ?

– კონტრაქტზე ხელი უნდა მოვაწერო?

– ამ საკითხს ჩემს არაჩვეულებრივ მდივანთან, ილარიონ გრიველანთან მოაგვარებთ.

– როდის შემიძლია გადმობარგება?

– შეგიძლიათ, ახლავე გადმოხვიდეთ.

– საქმე ისაა, რომ ბარგი მარნ-ლა-ვალეში მეგობარ გოგონასთან მაქვს დატოვებული.

– გნებავთ, მძღოლი გამოგაყოლოთ?

სატურნინს გაახსენდა, რომ უკანა გზობაზე მატარებლით მოუწევდა ჩაქჩაქი, ამიტომ უცერემონიოდ დათანხმდა.

– ჩემთან ვერ იყავი კარგად, არა? – ჰკითხა კორინმა.

– პირიქით, შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. ისეთი მადლიერი ვარ შენი. შენი ვალიდან ვერასდროს ამოვალ.

– ძალიან ვშიშობ. შენი ჩანაფიქრი საეჭვოდ მეჩვენება.

– კორინ, კარგად მიცნობ. ხომ იცი, რა კერკეტი კაკალიც ვარ. მინახულე, როცა მოგინდება, მეტროთი წამოდი და „ტურ-მობურის“ გაჩერებაზე ჩამოდი. კონტრაქტის ერთი მუხლი სწორედ სტუმრების მიღების ნებას მრთავს.

– შემთხვევით იმ ბნელ ოთახში რომ ამოყო თავი?

– შემთხვევით მე არაფერი მომივა. ეგეც არ იყოს, მაგრად მკიდია მისი ფოტოები.

სატურნინს ცინცხალი „ბენტლი“ სახლთან შორიახლოს, ქუჩაში ელოდა.

მძღოლს არც იქითა და არც აქეთა გზობაზე კრინტი არ დაუძრავს. მანქანა სასახლის შიდა მყუდრო ეზოში გააჩერა. ღამე სატურნინს შენობა კიდევ უფრო დიდებული და ბრწყინვალე ეჩვენა.

ახალმა მობინადრემ ბარგი-ბარხანა უსაშველოდ დიდ კედელში ჩაშენებულ კარადებში გაანაწილა.

– საღამო მშვიდობისა, მე მელენი მქვია. დამლაგებელი ვარ. რომელ საათზე შეიძლება თქვენი ოთახისა და სააბაზანოს მილაგება და დასუფთავება?

– აქ ყველაფერი სუფთაა.

– გეთანხმებით, მაგრამ ოთახების ჩამოვლა ყოველდღე მევალება. ბატონი ვახშამზე გეპატიჟებათ. თუ თანახმა ხართ, მე ახლავე შევუდგები საქმეს.

– თქვენი ნებაა, – მიუგო სატურნინმა და სამზარეულოს მიაშურა.

დონ ელემირიო ყურადღებით ათვალიერებდა კვერცხების პირამიდას და როცა სატურნინს ჰკითხა, მოგწონთ თუ არა ჩემი ნახელავიო, მომწონსო, უპასუხა.

მასპინძელი ზედმეტი გულმოდგინებით შეუდგა ერბოკვერცხის მომზადებას. შედეგი შემაცბუნებლად სრულყოფილი გამოუვიდა.

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შეგვიძლია აქვე, სამზარეულოში ვივახშმოთ.

პლექსიგლასის მასიური მაგიდა სასიამოვნო იყო შესახედავადაც და შესახებადაც. დონ ელემირიო მაღალ ტაბურეტზე შემოჯდა და ქალსაც სასწრაფოდ მაგიდასთან უხმო.

მასპინძელი უხმოდ მიირთმევდა. სტუმარმაც ისარგებლა შემთხვევით და თანამეინახის ყურადღებით შესწავლას შეუდგა. საინტერესოა, რა ეშმაკის მანქანით მოახერხა ქალთა შემცდენლის რეპუტაციის მოპოვება? ფიზიკურად დიდი არაფერია. მე ვიტყოდი, ისე რა. არც მეტი, არც ნაკლები. არც მის

ჩაცმულობაზე გაგიჟდები. ჩვეულებრივი ზმანები აცვია, რა. არაფრით გამორჩეული და საერთოდ, როცა ათვალიერებ, გამორიცხულია, რამეზე გაგიჩერდეს თვალი. რამე დადებითის პოვნა რომც მეცადა, ალბათ, დიდი ჯაფა დამადგებოდა.

– რას საქმიანობთ? – დაინტერესდა სატურნინი.

– არაფერს.

– ფოტოხელოვნების გარდა, რა თქმა უნდა?

კაცი ცოტა შეყოყმანდა:

– რა თქმა უნდა. ფოტოგრაფიით ხშირად როდი ვარ დაკავებული. შთაგონებას ველოდები, რომელიც იშვიათად მწყალობს.

– და თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

სატურნინი ელოდა, რომ მისი მოურიდებელი კითხვა კაცს გააოგნებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი შეუმჩნევია.

– მე ესპანელი ვარ.

– მე თქვენი ეროვნებით არ დავინტერესებულვარ.

– ჩემი მთავარი საქმიანობაც ესაა.

– და რაში მდგომარეობს ის?

– ვერც ერთი გვარიშვილობა ვერ გაუტოლდება ესპანელის დიდგვაროვნობას, ახლოსაც ვერ მივა. მე მუდამ ღირსეული დიდგვაროვანი გახლდით და ასეთად დავრჩები აწ და მარადის.

– ამ საღამოს რა ფორმით ვლინდება ეს თქვენი დიდგვაროვნობა?

– მე ისევ გადავიკითხავ ინკვიზიციის ოქმებს. ამაზე უკეთესი დედამიწის ზურგზე არაფერი არსებობს. მიკვირს, როგორ კადრულობდნენ მავანი და მავანი ამ სასამართლო ინსტანციაზე ძვირის თქმას?

– შეიძლება იმიტომ, რომ ეს ინსტანცია პირდაპირ კავშირშია მკვლელობებსა და წამების სასტიკ მექანიზმებთან.

– წამება და მკვლელობები ინკვიზიციამდე ბევრად ადრე არსებობდა. ჯერ ერთი, ინკვიზიცია სხვა არაფერია, თუ არა

სასამართლო ორგანო. ყველას ჰქონდა უფლება, დასჯამდე სასამართლო პროცესი მოეთხოვა.

– სინამდვილეში ეს სასამართლო პროცესის პაროდია იყო.

– როგორ გეკადრებათ! არავითარ შემთხვევაში. მე დეტალურად ვეცნობი მასალებს: ეს ნამდვილი პროგრესია და ადრინდელ ხანაში გამეფებულ აღვირახსნილობასა და ბარბაროსობას ვერც შევადარებ. წმინდა ინკვიზიციის წყალობით ჯადოქარს ჯერ ორდალიაზე[1] უნდა დაეცვა თავი და არ იყო გამორიცხული, ბრალდებული უდანაშაულოდ ეცნოთ.

– რამდენი ჯადოქარი ცნო ორდალიამ უდანაშაულოდ?

– არც ერთი.

სატურნინს ხარხარი აუტყდა.

– სიმართლეს ბრძანებთ. ეს არნახული პროგრესი იყო!

– ნუ ქილიკობთ! ორდალია ამტკიცებდა, რომ ისინი ნამდვილად იმსახურებდნენ სიკვდილს.

– ფეხშიშველას ნაღვერდალზე ოდესმე თუ გაგივლიათ?

– ვხედავ, გონიერი და მოაზროვნე ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ამაში თქვენ არ მიგიძღვით ბრალი, უბრალოდ, ფრანგი ხართ.

– არა, მე ბელგიელი ვარ.

მასპინძელმა მზერა სატურნინს მიაპყრო და ყურადღებით შეათვალიერა.

– გამოდის, შარლ V-ის წყალობით ნაწილობრივ ესპანელი ხართ.

– ო, ეს ისეთი შორეული წარსულია.

– არა და კიდევ ერთხელ არა. ჩვენ ისევ და ისევ XVIII საუკუნეში ჩავრჩით: გასაგებია, ალბათ, როდიდან მოგვდგამს ინდულგენციებით ვაჭრობა.

აქამდე სატურნინი ფიქრობდა, რომ პროვოკატორთან ჰქონდა საქმე, ახლა კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დასაბმელ გიჟსა და გადარეულს გადაეყარა.

– ინკვიზიციის არქივს, ალბათ, ერთ დღესაც ამოწურავთ. შემდეგ რას მიადგებით?

– გრასიანსა და ლულიუსს[2] გადავიკითხავ.

– ლუვრის ესპანურენოვანი განყოფილება ზედგამოჭრილია თქვენთვის, ალბათ, ხშირად დადიხართ.

– იქ არასდროს ვყოფილვარ.

– მეხუმრებით?

– სულაც არა. მე სახლიდან არასდროს გავდივარ. 20 წელია, რაც აქედან ცხვირი არ გამიყვია.

– არც მანქანით სასეირნოდ?

– არა-მეთქი, გიმეორებთ.

– მაშინ „ბენტლი“ და მძღოლი რაღად გინდათ?

სატურნინს ეუხერხულა „რაღად გინდათ“ რომ წამოსცდა, მაგრამ მიხვდა, რომ მასპინძლისთვის მას სულაც არ მოუჭრია ყური:

– ჩემს მდივანსა და დამლაგებელს ხშირად სჭირდებათ მძღოლი და მისი მანქანა. პირადად მე კი შინ დარჩენას ვამჯობინებ. გარე სამყარო თავზარს მცემს ვულგარულობითა და მოსაწყენობით.

– გინდათ თქვათ, რომ აქ გამოკეტილს სევდა არ გეძალებათ?

– არის მომენტები, როცა უსაქმოდ ვარ და სიცარიელის განცდა მეუფლება, მაგრამ ამაში ტრაგიკულსა და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ასეთი მდგომარეობა მირჩევნია მაღალი საზოგადოების თავყრილობებსა და მეგობრების წრეში გატარებულ საღამოებს. მე რომ მკითხოთ, ეს ნაკლებად მომაკვდინებელია.

– იქნებ ვერ შეხვდით თქვენი გემოვნების შესატყვის ადამიანებს?

– დაახლოებით თქვენს ასაკამდე მეც მქონდა ის, რასაც დღეს სოციალურ ცხოვრებას უწოდებენ. მეგონა, მასში აქტიურად ჩაბმა გამავსებდა და გამამდიდრებდა. საპირისპირო რამ კი მოხდა. მოკლედ, მივხვდი, რომ ადამიანებს გასაზიარებელი

არაფერი აქვთ – ყველა აღსარება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. მერწმუნეთ, გრასიანთან, ლულიუსთან ან კიდევ, ტორკვემადასთან[3] ურთიერთობა ბევრად სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ისინი არაფერს ითხოვენ შენგან სანაცვლოდ.

– გასაგებია, რომ დაიღალეთ ადამიანებისაგან, ყელში ამოგივიდათ, მაგრამ არსებობს პარიზი, ტყე, სამყარო...

დონ ელემირიომ თანამოსაუბრეს ჟესტით აგრძნობინა, ამ კითხვებისგან, ცოტა არ იყოს, დავიღალეო.

– ვხვდები, რასაც მეკითხებით, ბევრი რამ მინახავს და განმიცდია. ადამიანები მოგზაურობიდან ბრუნდებიან და ამბობენ: „ჩვენ ნიაგარის ჩანჩქერები დავათვალიერეთ“. ასეთ მოგზაურობაში რომ წახვიდე, ბუნებით მიამიტი და გულუბრყვილო უნდა იყო, მე კიდევ არ მიმაჩნია, რომ ასეთი ვარ.

– რატომ არ მოიკლავთ თავს? თქვენსავით რომ ვფიქრობდე, ნამდვილად თავს ჩამოვიხრჩობდი.

– თქვენ ცდებით, ჩემი ცხოვრება მთლად უინტერესო და მოსაწყენი როდია.

– გინდათ თქვათ, რომ ეს ძველი წიგნები სავსებით გაკმაყოფილებთ?

– წიგნების გარდა, არსებობს ღმერთი, ქრისტე, სულიწმინდა. მე კათოლიკე ვარ იმდენად, რამდენადაც ეს ესპანელს შეუძლია. ეს თავისთავად დიდ საზრუნავს ნიშნავს. მოკლედ, გულხელდაკრეფილი არა ვარ.

– წირვაზე რატომ არ დადიხართ?

– წირვა თავად მოდის ჩემთან. თუ გნებავთ, გაჩვენებთ ეკვდერს, სადაც ესპანელი მღვდელი საგანგებოდ ჩემთვის ყოველ ცისმარე დილას წირვას აღავლენს, აქვეა, სამზარეულოს გვერდით.

– თქვენი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ნაკლებად მომწონს.

– ჰო, სულ დამავიწყდა, რომ ქალებიც არსებობენ!

– სად მალავთ მათ? ჯერ აქ ქალისთვის თვალი არ მომიკრავს.

– თქვენ თავი გადამალული გგონიათ?

– მე არა ვარ თქვენი ცხოვრების ქალი.

– ხართ, დილიდან.

– არა, სანამ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი, მე გულისყურით წავიკითხე ტექსტი.

– რასაც მე ვგულისხმობ, იმდენად პირადული რამ არის, რომ წარმოუდგენელია, კონტრაქტში ჩაიწეროს.

– არ მაინტერესებს, თქვენ რას გულისხმობთ. თქვენ მე საერთოდ არ მიზიდავთ.

– არც თქვენ.

– მაშინ რაღაზე მითხარით, ჩემი ცხოვრების ქალი ხართო?

– ამას მე გარემოებათა საბედისწერო დამთხვევას დავარქმევდი. გნებავთ, უბრალოდ, გარდაუვალობას. დღეს ერთიმეორის მიყოლებით თხუთმეტ ქალს შევხვდი. თქვენ როგორც კი დაგინახეთ, უმალ გავიფიქრე, შეიძლება ბედმა გამიღიმოს-მეთქი.

– ბედმა რომ გაგიღიმოთ, ჩემი თანხმობაა საჭირო.

– მართალია.

– ასე რომ, ბედი გაღიმებისგან ჯერჯერობით თავს შეიკავებს.

– ძალიან კარგად მესმის თქვენი. არ მოგწონვართ და ეს ბუნებრივია. მე არა ვარ მომხიბლავი.

– წეღან ბრძანეთ, რომ ადამიანები ყელში ამოგივიდათ. მე ჩემთვის დავასკვენი, რომ მამაკაცები მეტისმეტად მოგყირჭდათ.

– ქალებიც ისეთივე ქანცგამწყვეტნი არიან, როგორიც მამაკაცები. ზოგიერთ ქალთან სიყვარული შესაძლებელია, ისეთთან, რომელიც არ გთრგუნავს და ძალას არ გაცლის. სასწაულია პირდაპირ. მეტიც, აქ რაღაც საიდუმლოს ვხედავ.

სატურნინმა წარბი შეიკრა.

– ეს თანამობინადრეობა იმიტომ მოიგონეთ, რომ ქალები გაიცნოთ?

– რა თქმა უნდა. აბა, სხვა რისი გულისთვის?

– ვიფიქრე, ამას ფულის გულისთვის აკეთებს-მეთქი.

– ხუთასი ევრო. ღირს კი ჩიტი ბდღვნად?

– ჩემთვის ეს დიდი თანხაა.

– საწყალი გოგო.

– ეს იმიტომ არ მითქვამს, რომ შემიცოდოთ. უბრალოდ, ვერ გამიგია, თქვენისთანა მამაკაცს ქალებთან შეხვედრა როგორ უნდა გაუჭირდეს?

– რა თქმა უნდა, არა. მე დედამიწის ზურგზე ყველაზე სასურველი უცოლო მამაკაცი ვარ. გარკვეულწილად, სწორედ ამის გამო ვერიდები შინიდან გასვლას. ყოველ წვეულებაზე ქალების მთელი კოჰორტა მისაფრდება ხოლმე. ეს პათეტიკური სანახაობაა!

– თქვენმა თავმდაბლობამ პირდაპირ გული ამიჩუყა.

– მე ბევრად თავმდაბალი ვარ, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. მე ზუსტად ვიცი, რომ იმ ქალებს არც ჩემს ფიზიკურ მონაცემებზე ეკეტებათ გონება და არც ჩემს პიროვნებაზე.

– დიახ, მდიდარი მამაკაცების დრამაც სწორედ ეს არის, არა?

– ვერ მიმიხვდით სათქმელს. რაც შეეხება სიმდიდრეს, მსოფლიოში ჩემზე მდიდარი მამაკაცებიც არსებობენ. ჩემი დრამა იმაში მდგომარეობს, რომ მე ამქვეყნად ყველაზე კეთილშობილი მამაკაცი ვარ.

– აი, თურმე რა.

– სპეციალისტები ამას თავად დაგიდასტურებენ. არც ერთი სხვა ეროვნების არისტოკრატი ახლოსაც ვერ მივა ესპანელ არისტოკრატთან, მისი ფეხის ფრჩხილადაც კი არ ღირს. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ იძულებული გავხდით, ჩვენი ქვეყნის თავადაზნაურობის აღსანიშნავად ახალი სიტყვა გამოგვეგონა.

– გრანდები.

– ააა, რა საინტერესოა. თურმე თქვენც კი გცოდნიათ.

– შეიძლება, წარმოშობით ბელგიელი მდაბიო იყო, მაგრამ რაღაც-რაღაცები იცოდე.

– რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სხვა ქვეყნებში გავრცელებული ბევრი გერბი და, საზოგადოდ, ჰერალდიკა, დიდ ეჭვს ბადებს. გაზვიადებულ, ხშირად ფანტასმაგორიულ სისტემებზე არაფერს ვამბობ. გვეუბნებიან, მავანი და მავანი გრაფიაო, მავანი და მავანი კიდევ – მარკიზი ან ჰერცოგი. მიდი და გაიგე, სად არის ისტორიული სიმართლე...

– მოითმინეთ, გამახსენდა... ბელგიას კარგად ახსოვს ჰერცოგი ალბა.

– კეთილი, მაგრამ ჩვენთან ამ ტიტულებს დიდი ღირებულება არა აქვს. გინდ ჰერცოგი გითქვამს და გინდ „ბატონი“ ან „ქალბატონი“, ერთი და იგივეა. მთავარია, გრანდების რანგამდე ამაღლდე. ესპანელი გრანდი... აი, მაგალითად, თქვით, საფრანგეთის გრანდიო და დაიხოცებიან სიცილით.

– მაშ, რატომ ცხოვრობთ საფრანგეთში?

– ნიბალ ი მილკარები დღემდე დევნილები არიან. ერთ-ერთმა ჩემმა წინაპარმა ფრანკოს მემარცხენე უწოდა და ამით ძალიან გაანაწყენა. მიდი და გაიგე ახლა, თუ რატომ გვსაყვედურობენ იმავეს მისი მტრებიც.

– პოლიტიკური თვალსაზრისით დღევანდელი საფრანგეთი თქვენთვის მისაღებია?

– არა, რა თქმა უნდა. ჩემთვის იდეალური მონარქია იქნებოდა. მონარქიული, მაგრამ ფეოდალურ-ვასალურ რეჟიმთან შეხმატკბილებული წყობილება. ასეთი რამ დღეს მსოფლიოში არ არსებობს.

– სხვა პლანეტებზე ხომ არ გიფიქრიათ გადაბარგება? – ჰკითხა ხუმრობის იშტაზე მოსულმა სატურნინმა.

– რასაკვირველია, – უპასუხა დონ ელემირიომ სრულიად სერიოზულად, – ოცი წლისამ ნასაში გავიარე ტესტები, მაგრამ ფიზიოლოგიური მიზეზების გამო ჩავფლავდი. ეს გრანდების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ძალიან გრძელი ნაწლავები გვაქვს. ამან დაუდო საფუძველი ინდულგენციებით ვაჭრობასაც.

– თქვენს საუბარში რაღაც ვერ ვხედავ მიზეზშედეგობრივ კავშირს.

– ნაწლავთა სიგრძეს თუ მივიღებთ მხედველობაში, ადვილი გასაგები გახდება, თუ რატომაა ასეთი ძნელი ესპანური სინდისის ქენჯნის მონელება. ინდულგენციებით ვაჭრობამ კი ნაწლავებსა და მონელებასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა გადაჭრა. მოკლედ, ჩემთვის სივრცეში მოგზაურობა შეუძლებელია, ამიტომაც ვრჩები პარიზში.

– მაგრამ ინდულგენციებით ვაჭრობა პარიზში ხომ მიუღებელია, დონ ელემირიო?

– ცდებით, ყოველ დილით ჩემს მოძღვარს დუკატებს ჩავუჩხრიალებ ხოლმე ჯიბეში, რათა ჩადენილი ცოდვები მომიტევოს.

– მეც ვიცნობ ერთს, რომელიც ჯიბის გასქელებაზე ცხვირს სულაც არ იბზუებს.

– შეწყვიტეთ მასხრობა, თორემ გამიწყდა აზრი. შემახსენებთ, რას ვამბობდი?

– ქალებზე მიყვებოდით. თურმე, თქვენი აზრით, ზედმეტი კეთილშობილურობის გამო მათთან პრობლემები გაგჩენიათ.

– დიახ, ქალებთან ნებისმიერი კავშირი ჩემთვის უთანასწორო იქნებოდა და მე უარი განვაცხადე დაქორწინებაზე. მაღალი საზოგადოების მიღებებზე კი, მოგეხსენებათ, ქალი მხოლოდ მომავალ ქმარს ეძებს.

„ძალიან მძიმედაა“, – გაიფიქრა სატურნინმა.

– ამიტომაც საუკეთესო გამოსავლად თანამობინადრეობა მივიჩნიე. ამ დროს ქალი აღარ ფიქრობს, რომ ცოლად შეირთავ. ის უკვე ცხოვრობს შენთან.

– რასაც ამბობთ, მაინცდამაინც ძალიან კათოლიკური ვერ უნდა იყოს.

– მართალი ბრძანდებით. მსგავსი შეცდომების დაშვებისათვის ჩემი აღმსარებელი დაჟინებით მთხოვს დუკატების ოდენობის გაზრდას.

– აი, ახლა კი დავმშვიდდი. აღიარებთ, რომ ჩემი მდაბიო

წარმოშობა დიდად არ გაწუხებთ.

– ნიბალ ი მილკარები თვლიან, რომ მათი საგვარეულოს მიღმა ყველა ადამიანი მდაბიოა. ისე, საფრანგეთში ასე მომრავლებულ თვითმარქვია არისტოკრატებს თქვენისთანა მდაბიოები მირჩევნია. ერთგვარად გულის ამაჩუყებელიც კია, როცა მავანი და მავანი ყურს გამოგიჭედავს ხოლმე აზენკურისა და ბუვინის ბრძოლებში თავისი წინაპრების გმირობით.

– ახლა მზად ვარ, დაგეთანხმოთ, მაგრამ შეგიძლიათ, მომიყვანოთ არგუმენტები, რითაც თქვენს აღმატებულობას დაადასტურებთ?

– ნიბალ ი მილკარები კართაგენელებისა და იესოს შთამომავლები არიან. ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი პატარა ფრანგული ბრძოლა.

– კართაგენელებს კიდევ არა უშავს. წავა როგორც არგუმენტი, მაგრამ ქრისტე? ნამდვილად დარწმუნებული ხართ?

– ბევრმა არც კი იცის, რომ ქრისტე წარმოშობით ესპანელი იყო.

– აჰ, გალილეველი არ ყოფილა?

– თამამად შეიძლება წარმოშობით ესპანელი, ხოლო დაბადებით გალილეველი იყო. აი, მე, მაგალითად, თქვენ წინ რომ ვზივარ და თვალებში შემომცქერით, საფრანგეთში ვარ დაბადებული, მაგრამ ჩემზე ესპანელს, ქრისტეს გარდა, ვერ მოიძიებთ.

– მაგარი ბუნდოვანი კი მეჩვენება ეს თქვენი ამბავი.

– როგორ გეკადრებათ, ქრისტეს ქცევა წმინდა წყლის ესპანური ქცევაა. ქრისტე დონ კიხოტის გაუმჯობესებული ვარიანტია. ახლა არ მითხრათ, რომ დონ კიხოტი ესპანელი არაა.

– არა, ამას არ უარვყოფ.

– ჰოდა, აიღეთ დონ კიხოტის ნიშან-თვისებანი, გადაამრავლეთ თხუთმეტზე და მიიღებთ ქრისტეს. ქრისტემ შექმნა ესპანეთი, ამიტომაც არიან ნიბალ ი მილკარები ქრისტიანული სამყაროს ჩემპიონები.

– და ვერ მეტყვით, რა ესაქმებათ თანამობინადრეებს ამ გაუგებრობაში?

– ეს ის ბედკრული ქალები არიან, – გაიხსენეთ პირმშვენიერი დულცინეა ტობოსელი! – რომლებსაც ჩემს ინტერესებს ვუმორჩილებ. ვგულისხმობ ფერმაში გაზრდილ უბრალო გოგონებს.

– ფერმაში გაზრდილი გოგონები? კარგი, ჯანდაბას. მაგრამ რაღა ამ გომბიოებს გადაეკიდეთ, როცა შეგიძლიათ უკეთეს ქალს გამოჰკრათ ხელი?

– უკეთესი ქალი გულს მირევს. ვინ გაივლებს გულში ნიბალ ი მილკარების გვართან გატოლებას? ვინ გაბედავს ამ სიმაღლეს შეეპოტინოს? ამ პრეტენზიას ისევ შემთხვევითობას ვამჯობინებ. მის უწმინდესობა შემთხვევითობას თანამობინადრეობის წყალობით ჩემთვის დღემდე იმედი არ გაუცრუებია.

– იმ თხუთმეტი ქალიდან, ალბათ, ერთმა მაინც უთუოდ იცოდა თქვენი დიდებული წარმოშობის შესახებ.

– ყველამ იცოდა. ჩემი არჩევანი შევაჩერე იმაზე, რომელსაც ჩემი ჯიშიანობის შესახებ არაფერი მოეხსენებოდა, ანუ უცოდინარზე.

– მე უკვე აღარა ვარ უმეცარი.

– გეთანხმებით, მე როგორც უპატიოსნესი ადამიანი საქმის კურსში გაყენებთ.

– და რომ მოვუსვა აქედან?

– ნება თქვენია.

– არსადაც არ წავალ. მე თქვენი არ მეშინია.

– სწორადაც იქცევით. ჩემზე სანდო ადამიანს სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვით.

– სასაცილო პასუხია. ის, ვინც გაიძახის, სანდო ვარ, სანდო ვარო, ჩემი აზრით, ყველაზე მეტ უნდობლობას იმსახურებს. ასეთი ადამიანები საშიშნი არიან.

– გეთანხმებით, მაგრამ წესები ნათელია. ამიტომ ვერ იტყვით, რომ საფრთხე გარდაუვალია. დესერტს ხომ არ ინებებთ?

– ასე შემოთავაზებული დესერტი, არც მეტი, არც ნაკლები,

მუქარის ტოლფასია.

– ეს ნამდვილად მუქარაა. მე კვერცხის გულისგან დამზადებულ კრემს გთავაზობთ.

– თავიდან ერბოკვერცხით გამიმასპინძლდით, ახლა კიდევ დესერტად ისევ კვერცხს მთავაზობთ?

– კვერცხთან თეოლოგიური გატაცება მაკავშირებს.

– და თქვენი კუჭი როგორ ეგუება კვერცხების შემოსევას?

– მონელება წმინდა წყლის კათოლიკური ფენომენია: სანამ ჩემი მოძღვარი ცოდვების მიტევებაზე უარს არ მეუბნება, შემიძლია რიყის ქვაც კი მოვინელო. აქვე შევნიშნავ, რომ წმინდა ესპანეთი ოდითგანვე ზრუნავდა კვერცხისთვის ღირსეული ადგილის მიჩენაზე. ბარსელონაში მონაზვნები იმდენ ცილას მოიხმარენ თავიანთი თავსაბურავების გასახამებლად, რომ მზარეულები იძულებული გახდნენ, ახალი რეცეპტების გამოგონებაზე ეზრუნათ კვერცხის გულის გამოყენებით.

– იმედია, მათ გამონაგონ ნუგბარს დამაგემოვნებინებთ.

მასპინძელმა კარადიდან ორი მასიური ოქროს ფინჯანი გადმოიღო და მათი სქელი, ზეთოვანი ყვითელი მასით შევსებას შეუდგა. სატურნინი გაირინდა, ამ სანახაობამ თვალი მოსჭრა, – ზეთოვანი მასა ყვითელი ბაროკოს ოქროს ფინჯანში.

– ღმერთო, რა სილამაზეა! – აღმოხდა უცებ.

დონ ელმირიომ სატურნინს ნამდვილი ინტერესით პირველად შეხედა.

– მგრძნობიარე ჩანხართ მსგავსი რამეების მიმართ.

– როგორ შეიძლება არ იყო? წითელი და ოქროსფერი, ცისფერი და ოქროსფერი, მწვანე და ოქროსფერიც კი შეუდარებელ – თუმცა კლასიკურ! – წყვილებს ქმნიან. ყვითლისა და ოქროსფრის თანხვედრა ხელოვნებაში იშვიათად გვხვდება. რატომ? ეს ხომ სინათლის ფერია? სინათლის სიმბოლო – ყველაზე მქრქალით დაწყებული და ყველაზე კაშკაშათი დამთავრებული?

კაცმა კოვზი თეფშზე დადო და რაც შეიძლებოდა საზეიმო ხმით

განაცხადა:

– მე თქვენ მიყვარხართ!

– უკვე? და ამ უმნიშვნელო მიზეზის გამო?

– უმორჩილესად გთხოვთ, დაუფიქრებელი და გაუაზრებელი სიტყვებით ნუ დაჩრდილავთ იმ არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას, რომელიც ეს წუთია ჩემზე მოახდინეთ. ოქრო ღმერთის დედაარსია. მხოლოდ ესპანეთში თუ სწვდებიან ოქროს არსს, მხოლოდ ესპანელებს თუ შეუძლიათ მისი დაფასება. დღემდე ეს ვერც ერთმა ერმა ვერ მოახერხა. ოქროს გაგება ესპანეთის, და აქედან გამომდინარე, ჩემს გაგებასაც ნიშნავს. მე თქვენ მიყვარხართ, ეს ასეა.

– კეთილი, მაგრამ მე არ მიყვარხართ.

– მოვა დრო და შემიყვარებთ.

სატურნინმა კვერცხის გულისაგან დამზადებულ კრემს გემო გაუსინჯა.

– გემრიელია, – თქვა მან.

დონ ელემირიო დაელოდა, სანამ სტუმარი კრემით პირს ბოლომდე ჩაიტკბარუნებდა.

– ახლა კიდევ უფრო ძლიერ შემიყვარდით.

– რა გახდა ამის საბაბი?

– თქვენ ერთადერთი ხართ, ვისაც არ უთქვამს, „რა გულისამრევია“, „ძალიან მსუყეა“, „მეტისმეტად ტკბილია“. თქვენ დიდსულოვანი ადამიანი ბრძანდებით.

სატურნინმა გადაწყვიტა, ხმა ჩაეკმინდა, ამ ჩემი კომენტარებით ისედაც გადარეულ დონ ელემირიოს ვნება არ გაუმძაფრდეს და მთლად დასაბმელი არ გახდესო. ესპანელის ჩვეულებისამებრ მწველი, მაგრამ ამიერიდან დაჟინებული მზერისაგან თავის დასაძვრენად დაღლილობა მოიმიზეზა, სამზარეულოდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა და თავის ოთახს მიაშურა.

* * *

მიუჩვეველი კომფორტისგან სატურნინი ლამის კომაში ჩავარდა. „მსგავსი ნეტარება ნამდვილად იმსახურებს ნებისმიერი სასიყვარულო განცხადების მოთმინებით მოსმენას და თუ საჭიროა, გაზიარებას“, – გაიფიქრა და კიდევაც მოსწყდა კისერი.

შუაგულ პარიზში ასეთ სიჩუმეზე ვერასდროს იფიქრებდა. ნამდვილი სავანე იყო. მარნ-ლა-ვალეს სიგარეტის სუნით აქოთებული დივანი წარსულს ჩაჰბარდა, სხვა სამყაროს კუთვნილებად იქცა.

როგორც ყველამ, ვისაც თვეების განმავლობაში საველე პირობებში უწევს ყოფნა, სატურნინმაც უმალ გაისიგრძეგანა, რომ ამიერიდან უფუფუნებოდ ცხოვრება ძალიან გაუჭირდებოდა. ღამით ადგა და ტუალეტისკენ გაეშურა. ფეხშიშველმა ჯერ ხის პარკეტზე გაიარა, შემდეგ კი სააბაზანოს გრანიტით მოპირკეთებულ შემთბარ იატაკზე და ამ ბოლო დეტალმა საბოლოოდ მოუღო ბოლო.

დილით სატურნინმა სარკეში ჩაიხედა. სახეზე საოცარი სიმშვიდე გადაჰფენოდა, ანათებდა. მას შემდეგ, რაც ბელგიიდან წამოვიდა, პირველად აღარ ჰქონდა გარეუბნელის დაღლილ-დაქანცული და ბრაზიანი სიფათი.

სატურნინმა თოკს ჩამოჰკრა და დამლაგებელს უხმო.

– საუზმე ოთახში ხომ არ მოგართვათ?

– შესაძლებელია?

– მაგიდასთან მიირთმევთ თუ პირდაპირ საწოლში გირჩევნიათ?

– ვგიჟდები, როცა საწოლში მივირთმევ, მაგრამ ნამცეცებს რაღა ვუყო?

– თეთრეულს ყოველდღე ვცვლით. ყავა, ჩაი, კრუასანი, კვერცხები, ხილის წვენი, რძე, ბურღულეული?

– შავი ყავა და რამდენიმე კრუასანი.

ლუვრის სკოლის გზას სატურნინი საუცხოო გუნებაზე გაუდგა, ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა, მოკლედ, შესაშურად

კარგად გრძნობდა თავს. პირველად დაეუფლა განცდა, რომ სტუდენტები, რომელთა უმრავლესობა ლამის მისი ტოლი იყო, პატივისცემითა და კეთილგანწყობით უგდებდნენ ყურს.

* * *

სატურნინი თავის ოთახში მუშაობდა, როცა მელენმა მოახსენა, მესიე ვახშამზე გეპატიჟებათო.

– რომ არ წავიდე, ვითომ რამე დაშავდება? – იკითხა მან.

– რა თქმა უნდა, ამის სრული უფლება გაქვთ. გნებავთ, ვახშამი ლანგრით აქვე შემოგიტანოთ?

თავისუფალი ქმედების უფლებამ სატურნინი ერთობ დაამშვიდა.

– მოვდივარ, – უთხრა მელენს.

როცა სამზარეულოში შევიდა, დონ ელემირიო ელექტროღუმელთან ფუსფუსებდა. დიდი წინსაფარი საშინაო სამოსზე ზემოდან გადაეცვა.

– საღამო მშვიდობისა, ფარშიანი რულეტი გამოვაცხვე.

სატურნინმა გადაიკისკისა.

– არ გიყვართ?

– როგორ არა, ძალიან მიყვარს. მაგრამ რამ მოგაფიქრათ? ეს ხომ მეტისმეტად ფრანგული კერძია, რას ვიფიქრებდი, რომ ესპანელი არჩევანს ფრანგული სუფრის კლასიკაზე შეაჩერებდა.

– ბელგიაში არ მიირთმევენ ფარშიან რულეტს?

– ერთხელ გამისინჯავს, ტურნეში, ჩემს მოხუც დეიდასთან. იცით, რას ეძახდა? „უთავო ჩიტს“. ამის გამო პირი ვერ დავაკარე. მაშინ ათი წლის თუ ვიქნებოდი. ძალით მაჭამეს. სხვა გამოსავალი არ მქონდა... და ვაღიარე, რომ იჭმებოდა „უთავო ჩიტი“. ალბათ, მხოლოდ ბელგიაში თუ უწოდებენ ასე.

– ეს რა ბარბაროსების ქვეყანა ყოფილა ბელგია.

– ყველა ვერ შეედრება წმინდა ინკვიზიციის სასამართლოს მქონე ერს.

– მართალია, – დაეთანხმა ესპანელი, ნათქვამის ირონიულობა არც შეუმჩნევია, – იმედია, ჩემს ნახელავზე უფრო ღირსეულ შეფასებას არ დაიშურებთ და აღიარებთ, რომ ის უბრალო კერძზე მეტია.

დონ ელემირიომ სატურნინს რულეტის ნაჭერი თეფშზე გადაუღო, შემდეგ წინსაფარი მოიხსნა და მაგიდას მიუჯდა.

– ისეთი გემრიელია, თითებს ჩაიკვნეტ.

– მიყვარხართ.

– თუ შეიძლება, მშვიდად ვახშმობის საშუალება მომეცით. გთხოვთ.

– მთელი დღე ველოდი თქვენთან შეხვედრას.

– და სიმარტოვე ჯადოქრებისთვის გამოტანილი ვერდიქტების კითხვაში დასძლიეთ.

– არა, როგორც მიჯნურმა, თავი ზეადამიანად ვიგრძენი: დამეუფლა განცდა, რომ მე ნამდვილად მე ვარ. გადავიკითხე დღიური, რომელსაც ბავშვობაში ვწერდი.

დონ ელემირიო იმის იმედით დადუმდა, რომ ქალი შეკითხვებს დააყრიდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. იმედგაცრუებულმა ესპანელმა განაგრძო:

– ვიცოდი, რომ რვა წლის ასაკამდე აღსარების მიცემას ვერ შევძლებდი. იმის შიშით, რომ ზოგიერთი ცოდვა დამავიწყდებოდა, ოთხი წლისამ დღიურის წერა ჩვევად გავიხადე, სადაც ვინიშნავდი ყველაფერს – ქმედებებს, ჟესტებსა და ფიქრებს. ვხელმძღვანელობდი პრინციპით, რომ სიკეთეს ბოროტებისგან ვერ გავარჩევდი, ამიტომ ვწერდი და ვწერდი. როცა რვა წლის გავხდი, როგორც იქნა, ფეხი შევდგი სააღმსარებლოში და მოძღვარს რვეულების მთელი დასტა დავუდე წინ. ჩემდა საუბედუროდ, უარი მტკიცა მათ წაკითხვაზე. ვკითხე, წარსულიდან რომელიმე ცოდვა რომ გამომრჩეს, ჯოჯოხეთში ხომ არ მოვხვდები-მეთქი. არაო, დამამშვიდა, სასიკვდილო ცოდვა არ არსებობსო. თქვენ რა აზრის ხართ?

– მე არ მჯერა ჯოჯოხეთის არსებობის.

– რა იოლად უდგებით საკითხს, მაგრამ მე სულ სხვა შეკითხვა დაგისვით. ნუთუ მართლა შეუძლებელია რვა წლის ასაკამდე მომაკვდინებელი ცოდვის ჩადენა? არადა, ჩემი დღიური უკვე ხუთი წლის ასაკიდან გაძეძგილია ცოდვებით. მაშინ დაიწყო, როცა ონანიზმი აღმოვაჩინე.

– არა ხართ ვალდებული თქვენი საიდუმლოებები მომიყვეთ. მე არა ვარ თქვენი მოძღვარი.

– გარდა ამისა, ვქურდობდი. სკოლაში ერთ უსაქმურს დავუძმაკაცდი და ვგრძნობდი, რომ ჩემ მიმართაც ჰქონდა სიმპათია. განსაკუთრებით კმაყოფილი იყო, როცა ძვირფას ნივთებს ვჩუქნიდი. მეც მეტი რა მინდოდა? სახლიდან ვერცხლეულობას ვეზიდებოდი და შესვენების დროს ვჩუქნიდი. ერთხელ სათამაშოდ ვეწვიე. მშობლებმა სადილზე მიმიპატიჟეს. შევამჩნიე, რომ სუფრაზე უჟანგავი ლითონის დანა-ჩანგალი დაელაგებინათ. დავინტერესდი, ჩემს საჩუქრებს რა უყავი-მეთქი. მითხრა, გავყიდეო. ამან მეტად დამასევდიანა და საბოლოოდ ქურდობაზეც ამაღებინა ხელი. ის უქნარაც გადამიყვარდა.

– დღეს ეს ეპიზოდი გადაიკითხეთ?

– არა, გადავიკითხე ის გვერდები, სადაც ოქროს აღმოჩენაზეა მოთხრობილი. ეგვიპტეში სანაწილე და ბარძიმი ოქროსი იყო. სხვათა შორის, დღესაც ოქროსგან ამზადებენ ამ ნივთებს. მახსოვს, ზამთარი იდგა. მოულოდნელად ლოცვა მომინდა და ეკლესიის გზას დავადექი. ინტერიერი გუმბათიდან გადმოღვრილ ჩამავალი მზის სხივებს გაევსო, საკულტო ნივთები თვალისმომჭრელად ბრდღვიალებდა. უცებ ვიგრძენი, რომ ეს უჩვეულო ნათება ღმერთის იქ ყოფნაზე მიმანიშნებდა. ტრანსში ჩავვარდი. რეალობას მაშინ დავუბრუნდი, როცა დარბაზში უკუნეთმა სიბნელემ დაისადგურა. ჩემმა რწმენამ, რომელიც ისედაც უძლიერესი გახლდათ, სამყაროსეულ მასშტაბებს მიაღწია.

– თქვენ არ მიირთმევთ?

– კი, როგორ არა. გუშინ, როცა ოქროს ფინჯანში ჩასხმული კვერცხის გულის სილამაზეს მიქებდით, სწორედ ისეთივე ტრანსში ჩავვარდი, როგორც მაშინ, შვიდი წლის ასაკში, და

მივხვდი, რომ მიყვარხართ.

– კეთილი. დასასრულს მაშინ მომიყვებით, როცა თეფშს მოასუფთავებთ. შევთანხმდით?

– თქვენ ისე მელაპარაკებით, როგორც ბავშვს, – წამოიძახა მან.

– საშინლად ვღიზიანდები, როცა ადამიანი, იმის გამო, რომ გამოუსწორებელი ყბედია, უგემრიელეს რამეებს გაცივების საშუალებას აძლევს.

– თქვენ, როგორც ვხედავ, ჭამას მორჩით. მოდი, ახლა თქვენ ისაუბრეთ.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არაფერი მაქვს მოსაყოლი და საერთოდ, ძალიან ცუდი თანამოსაუბრე ვარ.

– გულჩახვეული ადამიანი ხართ?

– მე გავურბივარ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ თავი ასეთად მოგაჩვენონ. ზუსტად ხუთ წუთში კი ეს იდუმალებით მოსილნი პირს დააღებენ და თავიანთი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ დეტალებსაც გიზიარებენ.

– შეიძლება ბევრ რამეს მოჰყვე, მაგრამ იდუმალების შარავანდედი არ შემოიძარცვო. შეიძლება, ასევე, ენას კბილი დააჭირო.

– გადაწყვიტეთ, ჩემთვის იდუმალი და ამოუხსნელი დარჩეთ?

– დიახ, მინდა თქვენთვის უცხო და ამოუცნობი ვიყო.

– რა გაეწყობა, მით უკეთესი. ვეცდები, გამოგიგონოთ.

– დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე მოიქცეოდით.

– თქვენ სატურნინ პუისანი გქვიათ. ხართ ოცდახუთი წლის და წარმოშობით ბელგიელი. ქვეყნიერებას 1987 წლის პირველ იანვარს მოევლინეთ.

– თქვენ ეს კონტრაქტში ამოიკითხეთ. იმედს გაგიცრუებთ და გეტყვით, – სულაც ვერ გამაკვირვეთ.

– სწავლობთ ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში.

– კი არ ვსწავლობ, არამედ ვასწავლი. არის ხომ პატარა განსხვავება?

– რა, შეიძლება თქვენი ასაკის ბელგიელმა ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ასწავლოს?

– თქვენ იმუქრებოდით, რომ გამომიგონებდით.

– თქვენ კნოპფის[4] სპეციალისტი ბრძანდებით და ფრანგებს მის შემოქმედებას აზიარებთ.

– ურიგო აზრი როდია, მე მიყვარს ეს მხატვარი.

– არ გეჩვენებათ, რომ თქვენი პორტრეტიც კი აქვს დახატული?

– ოოო, ეს უკვე მეტისმეტია. ძალიან შორს წახვედით.

– თქვენ ისეთივე ლამაზი ხართ, როგორიც კნოპფის ტილოებზე აღბეჭდილი პერსონაჟები. ჩემს წარმოსახვაში თქვენ მომხიბლავი ასული ხართ გეპარდის ტანით: ვისურვებდი, რომ დამგლიჯოთ და გადამსანსლოთ.

– მე არ გეახლებით ნებისმიერ ვიღაცას.

– ხართ თუ არა თანახმა, ცოლად გამომყვეთ?

– მე კიდევ ვფიქრობდი, რომ დაქორწინებას საერთოდ არ აპირებდით.

– მზად ვარ, თქვენი გულისთვის გამონაკლისი დავუშვა. მიყვარხართ. მე თქვენსავით არავინ მყვარებია.

– ყველა ჩემს წინამორბედს, ალბათ, ჰქონდა ბედნიერება, იგივე მოესმინა.

– ამას მაშინ ვამბობ, როცა ნამდვილად მიყვარდება. მაგრამ თქვენ პირველი ხართ, რომელსაც ცოლობას ვთხოვ.

– თქვენ იცოდით, რომ უარს გეტყოდით. ამიტომ ვფიქრობ, დიდად არ გაგირისკავთ.

– ჩემი რეპუტაციის გამო მისტუმრებთ უარით?

– ქალების გაუჩინარებას გულისხმობთ? არა, უარს მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ გათხოვების არავითარი სურვილი არა მაქვს. ისე, ვერ მეტყვით, რა ბედი ეწიათ იმ ქალებს?

– გრძელი ამბავია, – ჩაილუღლუღა დონ ელემირიომ იდუმალი სახით.

– გაჩუმდით. მე არ უნდა დამესვა ეს კითხვა თქვენთვის. ეგეც არ იყოს, ჩემთვის სულერთია, რაც ჩემამდე მოხდა.

– რატომ ამბობთ ამას?

– შეგატყვეთ, რომ თქვენი თავგადასავლების თხრობა გსიამოვნებთ და ეს ჩემთვის საკმარისია.

– მე მაინც მინდა გითხრათ, რომ...

– არა, არა. არ მინდა, რამე ვიცოდე. თუ მოყოლას დაიწყებთ, ჩემს ოთახში წავალ.

– რა დაგემართათ?

– ვფიქრობ, არჩევანში შეცდით. მე არა ვარ ის ადამიანი, რომელიც თანამობინადრედ გამოგადგებათ. ქალები, რომლებიც ჩემთან ერთად რიგში იდგნენ, აქ ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა. მათ მხოლოდ დაკარგულთა ბედ-იღბალი აინტერესებდათ. მე კიდევ ბინას ვეძებდი.

– მაშინ გამოდის, არჩევანში სულაც არ შევმცდარვარ.

– რომელ ბინძურ თამაშში მთავაზობთ მონაწილეობას? თქვენ ირჩევთ გასაჭირში ჩავარდნილ ქალებს, სთავაზობთ ბინას, შემდეგ კი აცდუნებთ მათ, უბიძგებთ ცოდვისკენ და ბოლოს ჩადენილი შეცდომისთვის მკაცრად სჯით.

– როგორ მიბედავთ?

– ეტყობა, ფიქრობთ, რომ იდიოტი ვარ. თქვენ თვითონ მიანიშნებთ ბნელ ოთახზე და თან აფრთხილებთ, იქ ფეხი არ შედგათო, ამასთან, აკონკრეტებთ, გასაღებით არ არის დაკეტილი, თუ ეშმაკი შეგაცდენთ და მაინც შეყოფთ შიგ ცხვირს, ეს არ დამემალება და დაუმორჩილებლობისათვის მკაცრად აგებთ პასუხსო. ასეთი დაჟინებით ყურადღება რომ არ გაგემახვილებინათ იმ ავბედით ბნელ ოთახზე, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა აზრად იქ შესვლა? წარმომიდგენია, რა სიამოვნებას განიჭებთ შემდეგ მათი დასჯა.

– ტყუილია.

– როგორი უნიჭო ხაფანგი მოგიფიქრებიათ. უნიჭო და სასტიკი. არ ვიცი, ახლა ვინ მძულს უფრო: ის უბედური ქალები,

რომლებიც მახეში გაებნენ, თუ ის ნამუსგარეცხილი მახის დამგები.

– ეს ტესტია.

– რა უფლებით უტარებთ ვინმეს ტესტებს? ვინ გგონიათ თავი?

– მე დონ ელემირიო ნიბალ ი მილკარი, ესპანელი გრანდი ვარ.

– გაჩუმდით რა! კმარა! თქვენი ტრაბახი მომაბეზრებელია.

– ცდებით. ქალთა ურდოები ნებისმიერ რამეზე მოაწერდნენ ხელს, ოღონდ ეს გვარი ეტარებინათ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ინტერესი არისტოკრატიისადმი უფრო გაამძაფრა.

– ამბობთ, რომ ის საწყლები ნებისმიერ რამეზე მოაწერდნენ ხელს თქვენი გვარის ტარების იმედით ანთებულნი. ძალიანაც ცდებით. მათ თქვენი სულელური აკრძალვის დაცვაც კი ვერ მოახერხეს.

– სამწუხაროდ, სულმდაბლობა დღეს ნორმად იქცა.

– თქვენ არაფრით ხართ მათზე უკეთესი. მოძღვარს დუკატებით უქონავთ პირს, ცოდვა რომ გამოისყიდოთ...

– ნება მიბოძეთ, აგიხსნათ, – როცა ჩემი ოქროს სიყვარული საყოველთაოდ არის ცნობილი, რაღა გასაკვირია, მიტევების სურვილი გაღებული ფულის პროპორციული იყოს.

– ამ ამბავში ერთ გონიერ ადამიანსაც ვერ ვხედავ. ყველანი იდიოტები ხართ, გარდა თქვენი მოძღვრისა.

– თქვენც. მე ვეთაყვანები თქვენს გონიერებას.

– მე სულიერად და გონებრივად ჯანმრთელი ადამიანი ვარ.

– თქვენ ნამდვილად იმსახურებთ ჩემს ცოლობას.

– თქვენ კი არა ხართ ღირსი, ჩემს ქმრად იწოდებოდეთ.

– მომწონს თქვენი გადამეტფასებისკენ ლტოლვა.

– სულაც არ ვიფასებ ზედმეტად თავს. უბრალოდ, ავადმყოფი არა ვარ. ეს არის და ეს. დღეს გვაქვს დესერტი?

– დარჩენილი კვერცხის გულის კრემი, რომლითაც გუშინ გაგიმასპინძლდით.

– ნუ შეწუხდებით. ერთხელ გავსინჯე და საკმარისია. მე მრავალფეროვნება მიყვარს.

– რის მირთმევას ისურვებდით?

– „სენტ-ონორეს“[5] სიამოვნებით გეახლებოდით, – ამაყად თქვა სატურნინმა, სანამ სამზარეულოდან გავიდოდა.

* * *

დილით სატურნინმა ისევ ლოგინში ისაუზმა. მელენს ჰკითხა, რამდენი ხანია, რაც ნიბალ ი მილკარების ოჯახს ემსახურებიო.

– უკვე ოცი წელია. ილარიონ გრიველანმაც და მძღოლმაც ჩემთან ერთად დაიწყეს.

– ერთდროულად გაგიფორმდათ ხელშეკრულებები?.

– დიახ, ბატონის მშობლების გარდაცვალებისას.

– წინა გუნდიც მათთან ერთად მიაბარეს მიწას?

– არა, – უპასუხა მელენმა აუღელვებლად, – დონ ელემირიოს მშობლებს ცხოვრების განსხვავებული ნირი ჰქონდათ, – უყვარდათ სტუმრიანობა. მოსამსახურე პერსონალიც მრავალრიცხოვანი იყო. ბატონმა კი ყველანი დაითხოვა.

– დონ ელემირიოს სურდა, მაინცდამაინც კაცი მომსახურებოდა?

– დიახ, ეს ერთ-ერთი პირობა იყო.

– და რატომ?

– ვერ გეტყვით.

* * *

როცა სატურნინმა იმავე საღამოს სამზარეულოში შეაბიჯა, უცნაურად აღელვებულმა დონ ელემირიომ ომახიანად ჰკითხა:

– აჰ, ეს თქვენ ხართ?

– აბა, ვინ უნდა ყოფილიყო? – დაინტერესდა სატურნინი.

– შეიძლება ითქვას, მთელი დღე თქვენს კომპანიაში გავატარე. შეხედეთ.

ესპანელმა მაცივრიდან ვეებერთელა „სენტ-ონორე“ გამოიტანა და მაგიდაზე დადო.

სატურნინმა აღფრთოვანებისგან შეჰკივლა.

– ესეც ჩემი ნახელავი, – გამოაცხადა დონ ელემირიომ, – პირველი მცდელობაა. ცხოვრებაში არ მომიზელია ცომი. არც შუსა და არც ნაპოლეონის. არც რამე კრემი და არც კარამელი გამიკეთებია. ყველაფერი დღეს ვისწავლე. რა თქმა უნდა, ჩემმა საგრძნეულო წიგნმა დიდი სამსახური გამიწია.

– არაჩვეულებრივია!

– კინაღამ ცდუნებამ მძლია და მდუღარე კარამელში რამდენიმე ოქროს თხელი ფირფიტა ჩავყარე. ნამცხვარს ესპანური ღირსება ხომ უნდა დასტყობოდა? მაგრამ თავი მოვთოკე და ცდუნებას გავუძელი, ამით მინდოდა თქვენთვის დამემტკიცებინა, რომ მე პატივს ვცემ სხვის გემოვნებასაც.

– მოსალოცი ამბავია.

– ეს ჩვენი მთავარი კერძია.

– ძალიანაც კარგი. ვერც შევჭამდით მანამდე სხვა რამეს. სულ „სენტ-ონორეზე“ ვიფიქრებდით. შამპანურზე თუ იფიქრეთ?

– უკაცრავად?

– ასეთ „სენტ-ონორეს“ კაცმა შამპანური უნდა მიაყოლოს, თანაც ძვირფასი, უბრალო კი არა.

– უხერხულად ვგრძნობ თავს. არა მაქვს შამპანური.

– მე ვიპოვი, – თქვა სატურნინმა.

დონ ელემირიომ ვერც კი მოასწრო, მისი შეყოვნება, – თქმა და მისი გარეთ გავარდნა ერთი იყო. ასეთ დროს სატურნინი ძნელად თუ იპოვიდა ღია გასტრონომს. ბოლოს კაფეში შევიდა, ბარმენს გაეპრანჭა, „ლორან-პერიეს“ ერთი ბოთლი მამასისხლად იყიდა და ნადავლით სულ ქოშინ-ქოშინით დაბრუნდა სასახლეში.

– თან ჩაცივებულია, – გამოაცხადა მან.

დონ ელემირიომ ტოლედოური ბროლის ფუჟერები გამოიტანა.

– არ ვიცოდი, შამპანური თუ ასე გიყვარდათ, – წაილუღლუღა მან.

– თქვენ კი არ გიყვართ?

– არ ვიცი.

– აბა, რაში გადგებათ ამდენი სიმდიდრე, თუ ხარისხიანი შამპანურით არ ჩაიტკბარუნებთ პირს. თქვენ, რომელსაც ოქრო აკვიატებად გქცევიათ, ნუთუ არ იცით, რომ შამპანური ოქროს თხევადი ვერსიაა?

სატურნინმა შამპანურის ბოთლს საცობი მარჯვედ მოაძრო, ფუჟერები პირთამდე გაავსო და ესპანელს შესთავაზა.

– რისი სადღეგრძელო დავლიოთ?

– ოქროსი, რა თქმა უნდა.

– დიდება ოქროს! – თქვა დონ ელემირიომ მგზნებარედ.

შამპანურმა ორივე მოადუნა.

– ახლა კი შეგვიძლია თქვენს „სენტ-ონორეს“ ღირსეული პატივი მივაგოთ.

ესპანელმა ტორტს ორი ულუფა ჩამოაჭრა. არც ერთი ჩავარდნილა და არც მეორე. კარგადაც გაჟღენთილა. ესპანელი სიამაყით ბრწყინავდა.

– ნამდვილი განცხრომაც ამას ჰქვია! – ვერ დამალა აღფრთოვანება ქალმა, – ბრავო! მე ვერ შეგაფასებთ როგორც არისტოკრატს, თქვენი წონა-ფასი ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ როგორც მზარეულმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეთ. კი მაგრამ, რა დაგემართათ? თქვენ ცრემლები მოგდით.

– პირველად დამეუფლა განცდა, რომ მოგწონვართ. ისე, მე ძალიან მგრძნობიარე, ძალიან ემოციური მამაკაცი ვარ.

– კარგი რა, ძალიან შორს ნუ შეტოპეთ. თქვენი გამომცხვარი ტორტი მომეწონა, ეს არის და ეს! გთხოვთ, ცრემლები შეიშრეთ.

– არა, არა, ვგიჟდები, როცა ლამაზი ქალის წინ ცრემლს ვღვრი.

უზომოდ მსიამოვნებს, როცა მას განცხრომას ვჩუქნი.

– თქვენ აუტანელი ხართ. თქვენთან ერთად სადმე წასვლა მართლაც წარმოუდგენელია.

– ხედავთ? ამიტომაც ვარ ამ ცხრაკლიტულში გამოკეტილი და სწორადაც ვიქცევი.

– როცა ვფიქრობ ყველა იმ ქალზე, რომლებიც თქვენთან შეხვედრას ნატრობენ... მაინტერესებს, რა რეაქცია ექნებოდათ, როცა შეიტყობდნენ, გულჩვილი ბანოვანივით წამდაუწუმ ცრემლად რომ იღვრებით და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, შინ წვეთი შამპანურიც კი არ მოგეძევებათ.

– ამ ხარვეზს როგორმე გამოვასწორებ. თქვენ უკვე მომაქციეთ თქვენს ზნეზე. საიდან ეს ჩვევა?

– ჩვევა? მგონი, ხუმრობის ხასიათზე დადექით. ყოველდღე კი არ ვიბრუჟები შამპანურით, სულ რამდენჯერმე თუ დამილევია. მაგრამ როგორც კი გემო გავუსინჯე, მივხვდი, რომ ამაზე უკეთესი ამქვეყნად არაფერია. საოცარია, რომ ეს სიამოვნება გამოგრჩათ.

– ვფიქრობ, მაღალი საზოგადოებისთვის ჩვეულმა პირობითობებმა ამიცრუა შამპანურზე გული. სიმართლე გითხრათ, ოცი წელია, რაც ამ სასმელს არ გავკარებივარ.

ამ წლების ხანგრძლივობამ სატურნინს სხვა რამ გაახსენა.

– მსახურებად, როგორც შევატყვე, მხოლოდ მამაკაცები აგყავთ. რატომ?

– ჩემთვის დაუშვებელია იმის გაფიქრებაც კი, რომ დამამცირებელ სამუშაოს ქალი ასრულებდეს. პატარაობისას, როცა ვხედავდი, თუ როგორ რეცხავდა მოსამსახურე გოგო იატაკს, სირცხვილით ვიწვოდი.

– და როცა მამაკაცი ხეხავს პარკეტს, ეს არ გაწუხებთ?

– ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მამაკაცები ბინძური და ჭუჭყიანი სამუშაოსთვის არიან დაბადებული. ქალებთან მომთხოვნი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ მათგან ბევრად მეტს ველი.

– თქვენი ქადაგება ორაზროვნებას ნამდვილად არ არის

მოკლებული. ქალებს უფრო მაღლა მხოლოდ იმიტომ აყენებთ, რომ უკეთესად დასაჯოთ.

– საიდან მოიტანეთ, რომ მე მათ ვსჯი?

– თქვენი სიტყვებიდან, – თუ შავ ოთახში ცხვირს შეყოფთ, შედეგზე თავად აგებთ პასუხსო, თუ რაღაც ამდაგვარი.

– ეს ფრაზა არ ნიშნავს, რომ მე საერთოდ ვინმეს ვსჯი. დააკვირდით, ის არაფერს აკონკრეტებს.

– ვხედავ, სიტყვებით თამაში გიყვართ.

– თუ გგონიათ, რომ ასეთი უკეთური ვარ, ვინ გაიძულებთ აქ დარჩენას? რა ძალა გადგათ, რატომ არ გაეცლებით აქაურობას?

– იმიტომ, რომ აქ საუცხოო კომფორტით დატკბობის უფლება მაქვს. კიდევ იმიტომ, რომ თქვენი ბნელი ოთახი სულ არ მაინტერესებს. ჰო, კიდევ იმიტომ, რომ ხვალიდან ჩემთვის ძვირფას შამპანურს შეუკვეთთ.

– ესე იგი, მაფასებთ.

– მსგავსი არაფერი მითქვამს. მაგრამ თქვენი არ მეშინია.

– ჭეშმარიტებას ბრძანებთ. მე არა ვარ ის ადამიანი, რომელსაც უნდა უფრთხოდეთ.

– რას ფიქრობს ამის შესახებ ჩემი წინამორბედი რვა ქალი?

– ეს კითხვა თავად დაუსვით მათ.

– მეტისმეტად პირქუში იუმორი გაქვთ.

– ნება მომეცით, ყველაფერი გიამბოთ.

– კიდევ ერთხელ გიმეორებთ – არ მინდა თქვენი ამბების ცოდნა.

– რა უსამართლო ხართ!

– არც თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ სამართლიანობის ეტალონი.

შეფიქრიანებულმა დონ ელემირიომ „სენტ-ონორეს“ რამდენიმე ლუკმა ნაძალადევად გადაყლაპა და ბოლოს ეჭვიანად თქვა:

– ისე, ფაქტები ნამდვილად არ ასხამს ჩემს წისქვილზე წყალს.

– ნათელგონიერებამ შემოგიტიათ? – სიცილით ჰკითხა სატურნინმა.

– მეტად არასწორი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე. პირდაპირ გული მიკვდება, როცა ვფიქრობ, რომ ჩემი თავზარდამცემი რეპუტაცია ამდენ ქალს ანდამატივით იზიდავს. შეგიძლიათ ქალების ეს ახირება ამიხსნათ?

– ქალების უმრავლესობას ბუნებაში უძევს მაზოხიზმის ერთგვარი ფორმა: არაერთი ქალი მინახავს, ბინძური გარყვნილები რომ იზიდავენ. ციხეში ლანდრიუს[6] მიმდევრები შეყვარებული თაყვანისმცემლებისგან ათასობით წერილს იღებენ. ზოგიერთი მათ ცოლადაც კი მიჰყვება. ვფიქრობ, ეს არის ქალურობის ირაციონალური, ბნელით მოცული მხარე.

– თქვენ არა ხართ ასეთი. საინტერესოა, რატომ?

– მე ასე არ დავსვამდი კითხვას. საინტერესო ის არის, თუ რატომ გიჟდებიან სხვები.

– ქალები კაცებზე უკეთესი ან უარესნი არიან. ეს ლაროშფუკომ თქვა.

– პირველად იშველიებთ ფრანგი კლასიკოსის ციტატას.

– ესპანელებს ვერაფერს დაესესხები. მათ მხოლოდ ქალის ტრაგიკული იდეალიზება შეუძლიათ. არც მე ვარ გამონაკლისი.

– კაცმა ქალი კვარცხლბეკზე არასდროს არ უნდა აიყვანოს. ეს საჩუქარი ნამდვილად არ არის.

– საჩუქარი არა, მაგრამ შანსი ნამდვილად არის საიმისოდ, რომ განსაკუთრებული და გამორჩეული წარმოჩნდეს.

– მაგრამ თუ ერთი ფეხი დაუცდა უბედურს, მტრისას. ისე დაანარცხებენ ძირს, ისე გაასწორებენ მიწასთან, წელში ვერც ვერასდროს გაიმართება.

– არა, ერთ პატარა ფეხის აცდენაზე ნამდვილად არა.

– გაჩუმდით. ყველაფერი გავიგე. სულელი ნუ გგონივართ. თქვენი ქმედებები გაუმართლებელია.

– თუ ეს თქვენი მოსაზრებაა, რაღას ელოდებით, დამასმინეთ პოლიციაში.

– არა, თქვენ მართლა თავს გაგივიდათ, ჩამშვებთა ხროვას არ მივეკუთვნები. მიბრძანდით და თვითონ განაცხადეთ თქვენი დანაშაული.

– მე ანგარიშვალდებული მხოლოდ ღვთის წინაშე ვარ.

– მეტად მარჯვე პოზიცია კი აგირჩევიათ.

– არა, ვერ დაგეთანხმებით, სულაც არა.

– ღმერთი, რომელიც თქვენი მოძღვრის შუამდგომლობით ფულის სანაცვლოდ მოგიტევებთ.

– ფულის? არა, ოქროსი.

– კმარა, გთხოვთ.

– ფული და ოქრო დიამეტრულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ფული საძაგლობაა და ჩემს პატივისცემას არ იმსახურებს, ოქრო კი წმიდათაწმიდაა.

– და ეს საკმარისია თქვენი სინდის-ნამუსი რომ განიწმინდოს? სარკეში როცა იცქირებით, ნამდვილად კარგად გრძნობთ თავს?

– მე ერთი უბრალო, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ადამიანი ვარ.

– თქვენ ნამდვილად ჰგავხართ არაფრით გამორჩეულს. სამართალი რომ არსებობდეს, თქვენისთანებს ისეთი სიფათი უნდა ჰქონდეთ, როგორსაც იმსახურებენ.

– მე ისეთი სახე მაქვს, როგორსაც სავსებით ვიმსახურებ და ვარ რიგითი.

– თქვენ ახლა, ალბათ, მოჰყვებით ბოროტების ბანალურობაზე ლაპარაკს. მე კი მძულს ეს თეორია.

– სხვის ნააზრევს მე ნუ მომაწერთ, სულაც არ ვაპირებდი თქვენთან ამ თემაზე საუბარს... ახლა, როცა თქვენ კარგად იცნობთ ჩემს კულინარიულ ნიჭს, გამომყვებით თუ არა ცოლად?

– ეტყობა, მასხარაობაა თქვენი მოწოდება და არა კულინარია.

– მე სავსებით სერიოზულად გეკითხებით.

– არა, არ გამოგყვებით ცოლად. არ გამიგია, ტორტის გამო ქალი კაცს მისთხოვებოდეს.

– ისე, ქორწინების საბაბი ნამდვილად ლამაზი იქნებოდა.

– ყოველ შემთხვევაში, მე არ ვაპირებ გათხოვებას. ვერც თქვენ გამოგყვებით და ვერც ვერავის.

– რატომ?

– ეს ჩემი უფლებაა.

– კი მაგრამ, მაინც რატომ?

– არა ვარ ვალდებული, აგიხსნათ!

– გემუდარებით, ამიხსენით.

– თქვენც გაქვთ ბნელი ოთახი, სადაც ვერავინ შეყოფს ცხვირს. მატრიმონიალური სურვილის უქონლობა ჩემი ბნელი ოთახია. გასაგებად გითხარით თუ არა?

– კავშირს ვერ ვხედავ.

– ნებისმიერს შეუძლია, იქ გადამალოს თავისი საიდუმლო, სადაც მოეპრიანება.

– თქვენ ვერაფერი გაგიგიათ. ნამდვილად გამიცრუეთ იმედი.

– თავი მართლა იდუმალი ნუ გგონიათ. ბნელი ოთახით მე ვერ დამაბოლებთ.

– ახლა კი მართლა ღრმა იმედგაცრუებას ვგრძნობ.

– ძალიანაც კარგი.

– სამწუხაროდ, იმედგაცრუებას სიყვარულიც ვერ კურნავს.

– თქვენი ტორტის ნაჭერი მე რომ დავამთავრო, განიკურნებით სიყვარულისგან?

– არა, ამისგან შეიძლება სიყვარულის სენი უფრო დამიმძიმდეს.

– აბა, სად არის ფუჟერი? საშინლად მომინდა ისევ შამპანური.

– მიდი, დალიეთ, მე არაფერი მიშველის. სიყვარულმა სულ დამაკარგვინა თავი.

– გადმოგიღოთ ისევ?

– არა, არ შემიძლია. ძალიან დათრგუნვილი ვარ.

სატურნინმა წამში გამოუყვანა წირვა დარჩენილ „სენტ-ონორეს“. როცა კარგად გამოძღა, საუბრის გაგრძელების იშტაზეც მოვიდა.

– გუშინწინ, როცა პირველად გნახეთ, ძალიან სასოწარკვეთილი მეჩვენეთ.

– დეპრესიაში ვიყავი და იმიტომ. ამ დროს მხოლოდ სასიყვარულო ექსტაზი თუ მშველის.

– ექიმისთვის არასდროს მიგიმართავთ?

– ბინის გაქირავება უფრო ეფექტური და მომგებიანი მგონია.

– აი, კიდევ რა არის ეფექტური და მომგებიანი გამოსავალი, – თქვა სატურნინმა და ფუჟერები შეავსო.

დონ ელემირიომ გადაკრა და ღრმად ამოიოხრა:

– თქვენ არაჩვეულებრივი, ჭკვიანი, ლამაზი და ჯანმრთელი ხართ. მე კიდევ ისე არ მიმართლებს ქალებთან, ისეთი უბედური ვარ. შეიძლება გავაფრინო.

– დამშვიდდით. სამუდამოდ კი არ ვაპირებ აქ დარჩენას. შეიძლება ერთხელაც გადაეყაროთ შერეკილ თანამობინადრეს, რომელიც შეგიყვარებთ.

– მე კი ვისურვებდი, რომ თქვენ სამუდამოდ დარჩენილიყავით, – განაცხადა ესპანელმა საზეიმოდ.

– გაჩუმდით, თქვენი სიტყვები მზარავს.

– რაც მთავარია, მადა არ დაგიკარგავთ.

– ძალზე გალანტური კია თქვენგან ამის აღნიშვნა.

– ვგიჟდები ამდენს რომ ჭამთ და წონაში კი არ იმატებთ. ისეთი ტანწერწეტა ხართ.

– ამას ახალგაზრდობა ჰქვია. ისე, თუ გახსოვთ თქვენი

ახალგაზრდობის წლები?

– როგორ არ მახსოვს. ახალგაზრდას თავი დაუმარცხებელი ჰგონია. მაგრამ შეიძლება უეცრად რაღაც გამოტყვრეს და გრძნობ, რომ ყველაფერი დასრულდა.

– კარგი რა, გეყოფათ, – თქვა სატურნინმა და დარჩენილი შამპანური დაისხა, – როცა ამ სიცოცხლის ელექსირს მიირთმევ, მელანქოლია იოტისოდენაც არ უნდა გაიკარო. მოკლედ, სთხოვეთ მელენს და ხვალვე შეუკვეთოს „ლორან-პერიე“, „როდერერი“, „დომ პერინიონი“ ან კიდევ სხვა რომელიმე ამ ბანდიდან. ჩამოყაჭეთ ცოტაოდენი ფული. თქვენ გაქვთ ამის საშუალება. ოღონდ გაფრთხილებთ: ვარდისფერი შამპანური არ დამანახვოთ. ვერ ვიტან.

– თავისთავად ცხადია, ოქროს მისტიკურობის ვარდისფერი შამპანურის გულისამრევ სიტკბოში გაცვლა სრული აბსურდი იქნებოდა.

– ვარდისფერი შამპანურის გამომგონებელმა ალქიმიკოსებისაგან განსხვავებული შედეგი მიიღო – ოქრო ბროწეულის წვნად გარდაქმნა.

ამ ტირადით სატურნინი სამზარეულოდან აორთქლდა.

* * *

შაბათს სატურნინმა კორინს დაურეკა და თავისი ახალი ადგილსამყოფლის დასათვალიერებლად მიიპატიჟა.

– მართლაც შეიძლება გეწვიო?

– რამ უნდა შეგვიშალოს ხელი? ხომ არ გეშინია?

მეგობარი ნაშუადღევს ჩავიდა პარიზს. სატურნინმა სასახლის ყველა ოთახი დაათვალიერებინა და ერთ ადგილას შეყოვნდნენ.

– ეს არის ბნელი ოთახი? – იკითხა კორინმა.

– კი.

– ნეტავ რა იმალება შიგ?

– მაინცდამაინც გინდა გიპასუხო? ჩემზე კარგად იცი.

– საშინელებაა, როგორ შეგიძლია ამ ფსიქოპათთან ცხოვრება?

– ამ ტიპს სხვათა შიში ასულდგმულებს. განსაკუთრებით ქალები ჰყავს ამოჩემებული. უნდა ვაჩვენო, რომ მე ვერ შემაშინებს.

– და რატომ არ გამოიძახებ პოლიციას?

– რა უცნაურია, მანაც იგივე მირჩია. მგონი, ქვეცნობიერად უნდა კიდეც მართლმსაჯულებას გადასცენ.

– სინდისი მთლად სუფთა ვერ უნდა ჰქონდეს.

– ასე გგონია? თვითონ კი დარწმუნებულია, რომ მოძღვრისთვის ოქროს ჩაჩხრიალება სრულიად საკმარისია, რომ სინდისმა არ შეაწუხოს.

– ოთახში შესვლის ცდუნებას როგორ უძლებ?

– მე უფრო ცნობისმოყვარეობა მკლავს, მაგრამ არ მიჭირს მისი მოთოკვა. დარწმუნებული ვარ, იქაურობა სათვალთვალო კამერებითაა გაძეძგილი. სულაც არ მინდა იმ უბედურების გზას გამიყენოს.

– მე კი, ალბათ, მაშინ შევიდოდი, თუ ლუნატიზმი შემომიტევდა... სატურნინ, წადი აქედან, გეხვეწები.

– ჯობია, მე გამომყვე.

მასპინძელი სტუმარს თავისი ოთახისკენ გაუძღვა. კორინს მოულოდნელობისგან სუნთქვა შეეკრა.

– ფეხზე გაიხადე და სააბაზანოში გაიარე.

სტუმარი მასპინძლის ბრძანებას დაემორჩილა.

– იატაკი თბება!

– წამოწექი ლოგინზე.

კორინმა ნეტარებისგან ამოიკვნესა.

– ყური უგდე სიჩუმეს.

– და ეს ბედნიერება მხოლოდ ხუთასი ევრო ღირს, – თქვა კორინმა, რომელიც ვალ-დე-მარნის სულ რაღაც 30-

კვადრატულმეტრიან ბინაში ორმაგს იხდიდა.

სატურნინმა თოკი ჩამოქაჩა და მელენი წამში გამოცხადდა.

– მეგობარი მყავს სტუმრად. შეგიძლიათ ჩაი მოგვართვათ?

ხუთი წუთის შემდეგ მელენი დაბალ მაგიდაზე უკვე აწყობდა მოთუხთუხე ჩაიდანს, ორ ოქროსვარაყიან ფინჯანსა და ცუკატებიან კექსს.

სანამ მელენი ოთახიდან გავიდოდა, კორინს ხმა არ ამოუღია.

– ახლა კი მიგიხვდი. იმ ტიპს შენი ცოლად შერთვა უნდა? დათანხმდი, მერე კი გაუშვი გაღმა...

– როგორც ვხვდები, მირჩევ, მას მივბაძო?

– იმ კაცმა რვა ქალი უკვე გაამგზავრა საიქიოს!

– მე შურისძიების სასტიკი წინააღმდეგი ვარ.

– დიდი ახირებული ვინმე ხარ.

– სულაც არ მინდა ციხეში ამომაყოფინონ თავი.

– და უზადო დანაშაული რომ ჩაგედინა?

– ასეთი რამ არ არსებობს.

– მაშ, რას იზამ, გულზე ხელს დაიკრეფ და ამ დარეხვილთან იცხოვრებ?

– სანამ აქა ვარ, ახალი მსხვერპლის რისკი გამორიცხულია.

– თავის ზვარაკად შეწირვა გადაწყვიტე?

სატურნინმა მეგობარს ოთახის მდიდრულ მოწყობილობაზე ნიკაპით ანიშნა.

– მე ამას ზვარაკად თავის შეწირვას არ დავარქმევდი.

სატურნინმა კორინს ჩაი დაუსხა, შემდეგ კექსს ორი ნაჭერი ჩამოაჭრა. სანამ თავისას თეფშზე გადაიღებდა, ყურადღებით დააკვირდა და თქვა:

– შეხედე, როგორი გამჭვირვალეა ხილის დაშაქრული ნაჭრები. ალუბალი ბადახში გეგონება, ანგელოზა კი ზურმუხტი. გამჭვირვალე ცომში მიმოფანტულ ამ ხილს რომ ვაკვირდები,

პატიოსანი თვლები მახსენდება. ეს ძვირფასი ქვებისგან აწყობილი ვიტრაჟია. გადმოგაქვს ერთი ნაჭერი ოქროს თეფშზე და გეუფლება განცდა, რომ მთელი საგანძური გადმოიღე.

– შეიძლება ერთი ლამბაქი გავაყოლო ხელს?

– არა.

– ცუდია. ერთი-ორ ბანკნოტს მაინც გამოვადენდი.

სატურნინს გაეღიმა. სიამოვნებდა მეგობრის სიახლოვე. ესპანელმა ხომ თითქმის თავი მოაბეზრა. შეუჩერებლივ იქაქანეს რამდენიმე საათი. თავიდან ოცდახუთი წლის ყმაწვილ ქალებს ჰგავდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა და რაც მეტად აიქაფეს პირი, წლები აკლდებოდათ, 22 წლის გოგონებს დაემსგავსნენ, მერე – თვრამეტისას. აი, როცა მელენმა კარზე დააკაკუნა, თორმეტზე მეტს ვერ მისცემდით.

– ბატონი გთხოვთ, ვახშამი მასთან ერთად გაიზიაროთ.

– გავიქეცი, – თქვა კორინმა.

– არა, დარჩი, ჩემთან ერთად წამოხვალ.

– მე რა შუაში ვარ, არავის დავუპატიჟებივარ.

– მე გეპატიჟები.

– მეშინია.

– კარგი რა, გული არ წაგივიდეს.

სატურნინმა მეგობარს ხელი ჩაავლო და ორივენი სამზარეულოსკენ გაემართნენ. კორინს მოულოდნელობისა და შიშისგან თვალები გაფართოებოდა.

– დონ ელემირიო, გაიცანით კორინა, ჩემი ბავშვობის მეგობარი.

– საღამო მშვიდობისა, შამპანურს ხომ დალევთ?

– საქმე ის არის, რომ... სახლში უნდა დავბრუნდე. მირჩევნია, დროზე დავიჭირო თადარიგი, სანამ საგარეუბნო მატარებლები ჯერ კიდევ დადიან.

– ჩემი მძღოლი წაგიყვანთ.

– აბა, რა გეგონა? – ჩაერია სატურნინი.

– ვახშმად მესამე კაცს, ალბათ, არც ელოდით... იქნებ ზედმეტი ულუფა არც გაქვთ, – დუდღუნებდა კორინი.

– არა, როგორ გეკადრებათ! ამას უკვე აღარ ჰქვია სერიოზული ლაპარაკი, – შეეპასუხა მასპინძელი პროტესტის ნიშნად.

– როდიდან იბზუებ ცხვირს შამპანურზე? – ჰკითხა სატურნინმა კორინს, შემდეგ ყინულით სავსე სათლიდან ბოთლი ამოიღო და წარწერას დააკვირდა:

– „ლორან-პერიე დიადი საუკუნე“.[7] საუცხოო არჩევანია. უნდა გავხსნა! რას ველოდებით?

ამ სერიულ მკვლელს შეთამამებული მეგობრის ლაპარაკის ტონმა კორინი დაზაფრა. დალევის იშტაზე მოსულმა სატურნინმა კი ტოლედოური ბროლის სამი ფუჟერი შამპანურით შეავსო.

– რის სადღეგრძელოს ვსვამთ? – იკითხა დონ ელემირიომ.

– ოქროსი, რა თქმა უნდა, როგორც გუშინ.

ამ ჩემმა მეგობარმა მასპინძელივით ხომ არ გააფრინაო, უფრო დაფეთდა კორინი. ეს უცნაური რიტუალი, სატურნინის პათეტიკური ტონი, რომელიც მისთვის ადრე არასდროს შეუნიშნავს, ეს ფუფუნება და ოქრო-ვერცხლით გამოძეძგილი სახლი, კაცი, რომელიც ისე მიშტერებოდა მის მეგობარს, თითქოს ძვირფას ჩარჩოში ჩასმული ღვთისმშობელი ყოფილიყოს, – მოკლედ, ამ ყველაფერმა კორინი ისე დაზაფრა, გააოგნა, რომ ლამის ლაპარაკის უნარი წაერთვა. ესპანელმა სუფრაზე მესამე თეფში და დანა-ჩანგალი დააწყო ასთაკვებისგან მომზადებული კერძიც გამოიტანა.

ისედაც შეშინებული კორინი, მთლად დაიბნა.

– მორიელები, – შეჰკივლა მან.

– რა მოგივიდა, ასთაკვები არასდროს გიჭამია? – გახალისდა სატურნინი.

– კი, გამისინჯავს.

სამივენი ჭამას შეუდგნენ. კორინი საგონებელში ჩავარდა: ვერაფრით აცილებდა ქერქს კიბოსებრთა ოჯახის ამ ცნობილ წარმომადგენელს. სატურნინმა გადაწყვიტა გასაჭირში

ჩავარდნილ მეგობარს წაშველებოდა, მაგრამ დიდი ფხიანობა ვერც მან გამოიჩინა, – მარწუხების მოგლეჯისას ასთაკვის წვენი დონ ელემირიოს პირდაპირ თვალებში მიაშხეფა. სატურნინს სიცილი აუტყდა.

– უმორჩილესად გთხოვთ, მომიტევოთ – შეჰყვირა კორინმა ხმის კანკალით.

– არა უშავს, არა უშავს, საბოდიშო არაფერი მომხდარა, – დაუყვავა მასპინძელმა, – რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს იცნობთ?

– ათენეუმში სწავლის პერიოდიდან.

– ვერ გავიგე...

– ათენეუმი საშუალო სკოლას ჰქვია ბელგიაში, – განუმარტა სატურნინმა.

– საუცხოო სახელწოდებაა – ათენეუმი! გამოდის ორივეს ათენა გმფარველობდათ.

– დიახ, – დაეთანხმა სატურნინი, – ათენა ნიჭიერების ქალღმერთია. გვიფრთხილდით, დონ ელემირიო.

– რას საქმიანობთ? – ჰკითხა კორინს ესპანელმა.

– „ევროდისნეიში“ ვმუშაობ.

– სად? მთლად კარგად ვერ გავიგე.

– ატრაქციონების პარკია, მე წესრიგს ვიცავ საშინელებათა სასახლეში.

– რა უცნაური ბედი გქონიათ? ათენას კულტს ჩამოგაშორათ და საშინელებათა სასახლეში გადაგისროლათ.

– ჯერ ჩვენთან, ბელგიაში, ვალიბის პარკში ვმუშაობდი, მოგვიანებით „ევროდისნეიში“ გადავედი. იქ უკეთესად მიხდიან.

– მოგწონთ, რასაც აკეთებთ?

– არა.

– მაშინ რა ძალა გადგათ? რატომ არ დაანებებთ თავს?

– „კარფურში“ მოლარედ მუშაობას ნამდვილად სჯობს.

დონ ელემირიო ორივეს დაჟინებით დააკვირდა, თითქოს უნდოდა, გამოეცნო, რა საერთო ჰქონდათ. სატურნინს მასპინძლის დაჟინებული მზერა არ მოეწონა და სახეზე აშკარად გამოეხატა სიძულვილი. შემცბარი მეგობრის დანახვაზე კორინმა სიტუაციის განმუხტვა სცადა.

– თორმეტი წლის სატურნინი კლასში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. პირველობას არავის უთმობდა. მე კიდევ უქნარა ვიყავი და ყველაზე ბოლოს მივჩანჩალებდი.

– მეც პირველი ვიყავი, ოღონდ ბოლოდან.

– თქვენ შეგეძლოთ ბოლოდან პირველობაზე გქონოდათ პრეტენზია. რით არის ეს ცუდი? – თქვა კორინმა.

სატურნინმა გადაიხარხარა.

– უკაცრავად, რამე უზრდელობა ხომ არ წამომცდა?

– უზრდელობა კი არა, ჭეშმარიტება წამოგცდა.

კორინს ლუკმა კინაღამ სასულეში გადასცდა და ჭამას თავი მიანება.

– შეიძლება მოვწიო? – იკითხა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა მასპინძელმა.

კორინმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელა დააძრო და თანამეინახეებს შესთავაზა. სატურნინმა და დონ ელემირიომ თითო ღერი სიგარეტი მოიმარჯვეს, სიამოვნებით ეწეოდნენ და თან ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. ეს მომენტი სამივესთვის უცნაურად სასიამოვნო აღმოჩნდა.

გამომშვიდობებისას კორინმა სატურნინს შეჰბედა:

– როგორ ელაპარაკები დონ ელემირიოს?

– უკეთეს არც იმსახურებს, ასე არ არის?

– იცი, მე ეგ კაცი სიმპათიურიც კი მეჩვენა.

– მართლა?

– და რომ შეგიყვარდეს?

– ავად ხომ არა ხარ?

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

კორინი „ბენტლიში“ ჩაჯდა და მანქანა გაქროლდა.

– ძალიან მომეწონა თქვენი მეგობარი, – გამოუცხადა სატურნინს დონ ელემირიომ მეორე დღის საღამოს.

– თქვენი რა მიდის, რო?

– ვერ მიმიხვდით სათქმელს. ესეც, ალბათ, ბელგიური გამოთქმაა.

– არა, საფრანგეთში ვისწავლე. ეს ნიშნავს, რომ შეგიძლიათ თავს კორინის შეფასების უფლება მისცეთ; მოკლედ, არაფერს რისკავთ და შესაძლო შედეგზეც შეგიძლიათ არ იდარდოთ.

დონ ელემირიომ თავი მოიკატუნა, თითქოს სატურნინის უკმეხი პასუხი არც გაუგია.

– როცა ისურვებს, შეუძლია მოვიდეს, – თქვა მან.

– დიდი იმედი მაქვს, რომ ამის სურვილი გაუჩნდება.

– არ გიყვართ, არა?

– თქვენ ვერაფერს დაგიმალავთ კაცი.

– რატომ?

– ექიმი პეტიო[8] გამახსენდა, რომელიც ახალგაცნობილ ქალს იმავეს ეკითხებოდა.

– დღეს კვირაა, წირვაზე კი არ მომიკრავს თქვენთვის თვალი.

– მე არ მწამს ღმერთის.

– როგორ შეიძლება?

– განა იწამებდით ღმერთს, მისგან მიტევებას რომ არ მოელოდეთ?

– მე ყოველთვის მწამდა.

– ეს თქვენი აღზრდის შედეგია.

– არა, ეს ბუნებრივია, ანუ შინაგანი.

– ამ შინაგანმა რწმენამ გიკარნახათ იმ თქვენი ბნელი ოთახის კარი გაგეღოთ?

– ვერ ვხედავ კავშირს.

– რატომ არ დაიცავით ის ქალები? რატომ არ გააფრთხილეთ, თავისთვის არ ევნოთ? კათოლიციზმი ხომ ის რელიგიაა, რომელიც მხოლოდ სიყვარულს ქადაგებს, არა?

– სიყვარული შინაგანი რწმენის საკითხია, რელიგია კი რისკი. მე არ შემეძლო ამ რისკის გაუქმება. განა იგივე არ ჩაიდინა ღმერთმა სამოთხის ბაღში. მან შეიყვარა, რაც შექმნა, მაგრამ რისკის გაუქმებაზე არ უფიქრია.

– საკმაოდ უცნაური ლოგიკაა.

– არა, პატივისცემის უზენაესი გამოვლინებაა. სიყვარული პატივისცემას ნიშნავს.

– გამოდის, თავს ღმერთად მიიჩნევთ?

– გიყვარდეს, ნიშნავს, აღიარო, რომ ხარ ღმერთი და ღმერთია შენში.

– მგონი, უკვე საგიჟეში წასაყვანი ხართ.

– რას ნიშნავს თქვენთვის სიყვარული?

– არ ვიცი.

– ხედავთ? თქვენ აკრიტიკებთ, მაგრამ შემოსათავაზებელი არაფერი გაქვთ.

– მირჩევნია, როცა არაფერს ვთავაზობ.

– არასდროს გყვარებიათ?

– შეიძლება ასეც ითქვას.

– აი, ნახავთ, რაც მოგივათ, როცა შეგიყვარდებათ. საკუთარ თავს ვეღარ იცნობთ.

– ალბათ, მაგრამ მე არ ვიქნები ისეთი, როგორიც თქვენ ხართ.

– რატომ ხართ ამაში დარწმუნებული?

– მე შემხვედრია შეყვარებული ადამიანები, ყველანი ურჩხულები როდი იყვნენ.

– თქვენ შემიყვარებთ.

– როგორ შეგიძლიათ ასეთი თავდაჯერებული იყოთ?

– გიყვარდეს, ნიშნავს იყო ღმერთი და აღიარო შენში ღმერთი.

– მე ეს ასე მესმის: გიყვარს, ესე იგი, შენც უყვარხართ.

– არა, ღმერთი ყოველთვის როდი უყვართ. მაგრამ თქვენ... ისეთი დიდებული ხართ, ისეთი ამაღლებული, წარმოუდგენელია, ღმერთი არ შეგიყვარდეთ.

– მოდი, გავიზიაროთ თქვენი ლოგიკა. თუ შეგიყვარებთ, სრული უფლება მეძლევა, თავი ღმერთად მივიჩნიო. და თუ ღმერთი ვიქნებოდი, თქვენ დაუყოვნებლივ ჯოჯოხეთის გზას გაგიყენებდით. ჩემგან განსხვავებით თქვენ კი გწამთ ჯოჯოხეთის.

– არა, თუ თქვენ ღმერთი იქნებოდით, აუცილებლად შეგეცოდებოდით.

– თქვენ შეიცოდეთ ის უბედური ქალები?

– რა თქმა უნდა.

– იეზუიტო!

– იეზუიტებს დიდ პატივს ვცემ, თუმცა წმინდა ინკვიზიციის სასამართლოს ვამჯობინებ.

– გამეცინებოდა თქვენს მოსაზრებებზე, რომ არ ვიცოდე მათი ავბედითი შედეგები.

– რას იტყვით მეტისმეტ ცნობისმოყვარეობაზე?

– ვხვდები, რაზეც მიმანიშნებთ.

– მიპასუხეთ.

სანამ პასუხს გასცემდა, სატურნინმა ამოიოხრა.

– მძულს ზღვარგადასული ცნობისმოყვარეობა, ეს სიმდაბლეა.

– ხედავთ?

– თუმცა მოურიდებელ ცნობისმოყვარეობაზე უარესიც არსებობს. არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სრული უფლება აქვთ, ცნობისმოყვარენი დასაჯონ.

კაზუისტიკაში თქვენ ვერ დამამარცხებთ. იცით, კიდევ რა, მძულს შემწყნარებლობა საკუთარი თავის მიმართ, მეზიზღება თვითტკბობა და თავმომწონეობა.

– თქვენ რას იზამდით?

– ჩავკეტავდი იმ კარს გასაღებით, რომლის გაღების სურვილი არასდროს გამჩენია.

– თქვენ უარს ამბობთ ნდობაზე, რომელსაც თამაშში მონაწილეობისთვის გიცხადებენ.

– არ მწამს ფრთაშესხმული ანგელოზებისა. მე ჩვეულებრივი ადამიანის ბუნებას ვაღიარებ.

ესპანელმა შეფიქრიანებული იერით მოსვა 1976 წლის „დომ პერინიონი“ და განაგრძო:

– ისეთი ახალგაზრდა ხართ და ამდენ რაღაცაში გათვითცნობიერება უკვე მოგისწრიათ.

– ხედავთ თქვენმა ნეტარმა ოპტიმიზმმა სადამდე მიგიყვანათ?

– კეთილი. დავუშვათ, ყურად ვიღე თქვენი რჩევა და ბნელი ოთახი გასაღებით ჩავკეტე. თანამობინადრე, დარწმუნებული ვარ, არ მოისვენებდა, მთელ სახლს გადააქოთებდა, ყველა კუთხე-კუნჭულს მოივლიდა, საბოლოოდ მაინც მიაგნებდა გასაღებს და შევიდოდა ბნელ ოთახში. აი, თქვენ როგორ მოიქცეოდით ამ შემთხვევაში?

– არაფერსაც არ ვიზამდი.

– როგორ თუ არაფერს არ იზამდით?

– იმედი გამიცრუვდებოდა, გავცოფდებოდი ან სევდა მომეჯარებოდა, მაგრამ სხვას ვერაფერს მოვიმოქმედებდი.

– ჩვენ გვესმის ერთმანეთის.

სატურნინს სახე მოერღვა.

– მსოფლიოში საუკეთესო შამპანურს რომ არ ვსვამდეთ ერთი წამიც არ დავრჩებოდი ამ ოთახში – ამდენ ფარისევლობას, ორპირობასა და უცხვირპირობას ვერ გავუძლებდი.

– მაგრამ ვინ გაიძულებთ აქ დარჩენას, წაიღეთ ბოთლი და

თქვენს ოთახში განაგრძეთ სმა.

– მარტო დალევას ისევ საძაგელ კომპანიონთან შეამხანაგება მირჩევნია.

– როგორ გიყვართ ყველაფრის აღმატებით ხარისხში აყვანა.

– ამ საღამოს ჭამაზე უარი ვთქვათ?

– არა. გუშინდელი მორიელები კიდევ დარჩა, თუ თქვენი მეგობრის ლექსიკონს დავესესხებით. თუ დღეს არ შევჭამეთ, ხვალ უკვე გადასაყრელი იქნება.

დონ ელემირიო მაცივრისკენ ასთაკვების გამოსატანად გაეშურა.

– ჯანდაბას, თანახმა ვარ მორიელებზე.

– იცით, რა მხიბლავს თქვენში? თქვენი ტონი. მიყვარხართ, როცა ბრძანებლობთ, განაგებთ. თქვენ შეგიძლიათ მიბრძანოთ, შამპანური მოგართვათ. გამოაცხადოთ, „ჯანდაბას, იყოს მორიელები“. ისე მსიამოვნებს, როცა გემორჩილებით. ეს ჩემთვის პირდაპირ განცხრომაა.

– ასეთი მხოლოდ თქვენთან ვარ.

– ესე იგი, რჩეული ვარ.

– თქვენ განმაწყობთ, ასე მოვიქცე.

– იქნებ ეს დიდი სიყვარულის შესავალია?

– ვეჭვობ, მაგრამ უზომოდ მსიამოვნებს, რომ თქვენი არ მეშინია და რომ ამის დამტკიცებას ვახერხებ.

– თუ გგონიათ, ჩემი ვინმეს ეშინია, ძალიან ცდებით. მე ისე თბილი, მორჩილი და ბატკანივით უწყინარი ვარ.

– ხუმრობთ? კორინს თქვენი შიშით მუხლები ეკვეთებოდა; გიყურებდათ და ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.

– ის ათენას მიმდევარი თრთოდა? ის საშინელებათა სასახლის ვესტალი?

– არადა, ვერ იტყვი, რომ მშიშარა გოგოა. თქვენი ყველა ქალს ეშინია. მათ უფრო ეს შიში იზიდავს და არა თქვენი გრანდობა.

– თქვენ ჩემი არ გეშინიათ, გრძნობთ, რომ უწყინარი ვარ.

სატურნინი წამით ჭერს მიაშტერდა, მერე ისევ ასთაკვის მარწუხებს შეუტია.

– საიდან ეს თქვენი ლამაზი სახელი?

– ღმერთი სატურნიდან. სატურნი ბერძნული კრონოსის ლათინური ანალოგია, ტიტანის, ზევსის მამის.

– თქვენს ქვეყანაში არანაირ ფუფუნებას არ იკლებენ.

– თქვენ მაინც არ უნდა ამბობდეთ ამას. სატურნიდან ნაწარმოები ზედსართავი სახელი სევდიანსა და მელანქოლიურს ნიშნავს, რაც დიამეტრულად ეწინააღმდეგება ჩემს მხიარულ ბუნებას. სატურნი მუდამ მოწყენილი იყო, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. მის ვაჟს კი, იუპიტერს, სრულიად განსხვავებული ზნე ჰქონდა. მარად მხიარულმა შეიძულა მამა თავისი მომაკვდინებელი მელანქოლიის გამო და ერთ დღესაც განდევნა ციდან მხცოვანი სატურნი.

– მიდი და იყოლიე ახლა შვილები. თქვენ თვითონ ხართ თუ არა მელანქოლიური?

– არა.

– შეიძლება მოგვიანებით გახდეთ.

– რას ნიშნავს ელემირიო?

– არ ვიცი. არაბულ ეტიმოლოგიას ძნელად თუ ჩასწვდება ადამიანი.

ესპანელმა ქალს ისევ გაუვსო ფუჟერი. სატურნინი უმალ დაეწაფა საყვარელ სითხეს.

– ეს შამპანური კი არა, ხავერდია. ოქროს ხავერდი. დაუჯერებელია, – თქვა მან.

* * *

მეორე დღეს ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლიდან დაბრუნებულმა სატურნინმა თავის საწოლზე მოზრდილი

მუყაოს კოლოფი იპოვა. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა მისი გახსნა არ დაახანა. ოქროსფერი ხავერდის გრძელი ქვედაკაბა ბარათითურთ, რომელზეც ამოიკითხა: „გუშინდელი შამპანურის მოსაგონებლად, იმედია, ზომა გამოვიცანი. დონ ელემირიო ნიბალ ი მილკარი“.

სატურნინი მხოლოდ რამდენიმე წამით დაფიქრდა. შეეძლო თუ არა ასეთი საჩუქრის მიღება? ერთი წუთის შემდეგ კი თავს უსაყვედურა: „საიდან მოგდის თავში ასეთი არაადამიანური აზრები?“ ძვირფასი ქსოვილი მასში აღძრავდა წადილს, რომელიც ახლავე უნდა დაეკმაყოფილებინა, თორემ თვალზე მომდგარ ცრემლს ვერ შეიკავებდა. სატურნინმა ტანთ გაიხადა. კარადიდან შავი კორსაჟი გამოიღო, მოირგო, შემდეგ კი სუნთქვაშეკრულმა ქვედაკაბა ჩაიცვა. საუცხოოდ მოადგა წელზე. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს საყვარელმა მამაკაცმა წელზე ღონიერი მკლავი შემოაჭდო. მაღალქუსლიანმა მოკლეყელიანმა ჩექმამ ანსამბლს დასრულებული იერი შესძინა.

სარკეში ჩაიხედა. საკუთარი თავი ვეღარ იცნო. „ასე ელეგანტური სამოსი არასოდეს მცმია“, – გაიფიქრა. დიდხანს აკვირდებოდა საკუთარ ანარეკლს. ბევრი ეფერა ხავერდს. სიამოვნებისაგან პირდაპირ თრთოდა: ოქროსფერი ხავერდი ლივლივებდა, ელვარებდა, თავბრუდამხვევად ბზინავდა.

როცა მელენმა ვახშამზე მიიწვია, სატურნინი სირბილით გავარდა ესპანელთან შესახვედრად. მოკაზმული თანამობინადრის დანახვაზე დონ ელემირიომ გაოცებისაგან თვალები გადმოკარკლა:

– ცხადია თუ მეჩვენება? შეუდარებელი ხართ, – შესძახა კაცმა.

– თქვენ ზუსტად გამოიცანით ჩემი ზომა. ნამდვილი მექალთანე ხართ, რა.

– ნეტავ იცოდეთ, როგორ არ შემეფერება ეს ტერმინი.

– როგორც ვიცი, რვა ქალი მაინც გყოლიათ. რვა ქალი ხუმრობა ხომ არ გგონიათ?

– რას ეძახით „ქალის ყოლას“?

– ამ თემაზე საუბარი ახლა უადგილოა. სად იპოვეთ ეს დიდებული ქვედაკაბა?

– აი, ამ ხელებით შევკერე.

სატურნინს გაოცებისგან ენა მუცელში ჩაუვარდა, ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ მომესმაო?

– კერვა ჩემი ერთ-ერთი გატაცებაა. როგორც კი გარე სამყაროს დავემშვიდობე და ამ სასახლეში ჩავიკეტე, საკერავი მანქანა ვიყიდე. თანამედროვე სამოსი თავისი ვულგარულობით პირდაპირ სასოწარკვეთილებაში მაგდებს. ალბათ, მეტყვით, რასაც თქვენ იცვამთ, უსახურია და დღევანდელს არაფრით სჯობსო, მაგრამ ოცი წლის წინ ეს არაფრით გამორჩეული ჭინჭები დიდი დეფიციტი იყო. შარვალი, რომელიც მაცვია, სულ რაღაც სამ საათში შევკერე... გუშინ დილით ილარიონი გავგზავნე ქალაქში და ვთხოვე, ოქროსფერი ხავერდი მოეძია, თან გავაფრთხილე, საუკეთესო ქალისთვის მჭირდება-მეთქი. ხუთი საათის შემდეგ მელენს ვუბრძანე, ჩემი ნახელავი თქვენს საწოლზე დაედო. შეგვეძლო ჩემი ნახელავი „ქვედაკაბა-შამპანურად“ მოგვენათლა.

– მე „ქვედაკაბა-დომ პერინიონს“ დავარქმევდი.

– ხუთსაათიანი კერვის შემდეგ ძალა აღარ მეყო სამზარეულოში საფუსფუსოდ. მელენმა გემრიელი რამერუმე მოგვიტანა პეტროსიანის მაღაზიიდან: ხიზილალა, ბლინები, არაჟანი და არაყი. ხომ არ დაგწყდებათ გული, თუ ამ საღამოს შამპანურის დალევაზე უარს ვიტყვით?

– არა, რას ამბობთ. მე ოცნებად მქონდა გადაქცეული ვახშმად ხიზილალა და არაყი.

– თქვენი კაბა შეასრულებს შამპანურის როლს. ჰო, შევნიშნე, რომ მაცივრით არ სარგებლობთ. ის ხომ მხოლოდ თქვენს განკარგულებაშია; იქ ნახავთ ჩვენი შამპანურის მარაგის ნაწილსაც.

დონ ელემირიო ადგა და მაცივრის კარი გამოაღო, – საუკეთესო მარკების უამრავი შამპანურის ბოთლი გამოჩნდა.

– შამპანურის მაცივარი, – შესძახა სატურნინმა.

– შეგიძლიათ მიირთვათ, როცა მოგინდებათ. კიდევ ერთი რამ მინდა გირჩიოთ, – დასძინა მან, – არ არის აუცილებელი ჯერ ხიზილალა მიირთვათ და მერე არაყი დააყოლოთ. იდეალურია, როცა ქვირითს კბილებით ჭყლეტთ ცივ სასმელთან ერთად.

სატურნინი ხალისით შეუდგა პროტოკოლის მუხლების შესრულებას.

– მართალს ბრძანებთ, ასე ბევრად უკეთესია. მაგრამ თუ ამ ტემპით გავაგრძელებთ, ცოტა ხანში გამოვიბრუჟებით.

– ვერაფერს გავაწყობთ, წმინდა რუსეთი გვაიძულებს, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა დონ ელემირიომ.

სატურნინი მთელი არსებით მიეცა ხიზილალითა და არყით ტკბობას. ასეთ ვახშამზე აღმგზნები არაფერია. ნახევარი საათის შემდეგ ის უცნაურმა ეიფორიამ შეიპყრო.

– თქვენ მდიდარი კაცი ხართ, გაქვთ მეფის საკადრისი სასახლე შუაგულ პარიზში; ამზადებთ უგემრიელეს კერძებს და კერავთ ისე, ჯადოსნური ფერია თქვენთან რა სახსენებელია. მოკლედ, იდეალური მამაკაცი იქნებოდით, თქვენი... თქვენი ერთი ნაკლი რომ არა.

– ინდულგენციებით ვაჭრობას გულისხმობთ?

– ჰო, აბა, რა! რა სწრაფად მიმიხვდით სათქმელს, – თქვა ქალმა სიცილით.

– ჩამონათვალს ჩემი ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვისება აკლია – მე ხომ სამყაროს უკეთილშობილესი მამაკაცი ვარ.

– ამ თვისების ხსენება კი არ დამვიწყებია, მე ის უბრალოდ თქვენს ნაკლოვანებათა სიაში გავამწესე. მე თქვენი კეთილშობილება, სიმართლე გითხრათ, სულაც არ მაღელვებს. მაგრამ საშინლად ვღიზიანდები, როცა ამით ამაყობთ. ჩემთვის ეს ღრმად გამჯდარი გამოუსწორებელი ხინჯია. მითხარით, გეთაყვა, სამოსს იმ ქალებსაც უკერავდით?

– ცხადია, რატომაც არა! სხეულისა და სულის შემოსვა, თარგის მოფიქრება, აკინძვა და მთლიანობის შექმნა სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტი სექსუალური აქტი.

ალკოჰოლმა თავისი ქნა. სატურნინი მოდუნდა და შეპასუხების სურვილი გაუნელდა, კაცს ყბედობის სრული უფლება მისცა.

– ყოველ ქალს განსაკუთრებულად ერთი კონკრეტული სამოსი უხდება. სწორი არჩევანი გამძაფრებულ ყურადღებას საჭიროებს: უნდა უსმინო, დააკვირდე, ქალს შენი გემოვნება

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახვიო თავს. აი, ემელინისთვის დღის ფერი იყო ზედგამოჭრილი. ეს დეტალი იმ ცნობილი ზღაპრიდან, „ვირის ტყავი“, თვითონაც აკვიატებული ჰქონდა. მაგრამ ერთ სირთულეს გადავაწყდი – უნდა დამედგინა, სადაური დღის ფერი იქნებოდა მისთვის უპრიანი – პარიზული დღის ფერი, თუ ჩინური და საერთოდ, წელიწადის რომელი დროის დღის ფერი. საბედნიეროდ, აღმომაჩნდა „კოლორიტთა უნივერსალური კატალოგი“, მეტაფიზიკოს ამელი კაზუს ბელის 1867 წელს შედგენილი ტაქსინომია; პროზერპინა კიდევ კალეს მაქმანებისგან შეკერილმა შაპოკლიაკმა[9] პირდაპირ დახატა. თავიდან თმა ამოვიგლიჯე, რათა რბილი ქსოვილისთვის სიმკვრივე შემეძინა, თან შაპოკლიაკისთვის დამახასიათებელი მოქნილობა შემენარჩუნებინა. გავბედავ და გეტყვით, რომ მე ეს ჩინებულად გამომივიდა. სევრელი სევერინი, ოდნავ მკაცრი იერის, მაგრამ სევრის ფაიფურივით თხელი და სიფრიფანა; უნაზესი სილურჯის ქსოვილისაგან მე მისთვის შევქმენი გრძელი მოსასხამი, რომელსაც „კატალპა“ დავარქვი. შეხედავდი და ეს ძვირფასი ხე მოგაგონდებოდათ, შემოდგომაზე ცისფერი ყვავილებით გადაპენტილი.

ინკარნადინი ცეცხლის ასული იყო. ამ ნერვალისეულმა[10] ქმნილებამ ალისფერი პიჯაკი დაიმსახურა, ეს იყო ორგანდის[11] პიროტექნიკის ზეიმი. ჩაიცვამდა და აგიზგიზდებოდა. რამდენჯერ მიფიქრია, ცეცხლის ენები მეც არ გადმომწვდეს-მეთქი. ტერებენტინი დისერტაციას წერდა ჰევეაზე. მე საბურავი გადავადნე და იქიდან დრეკადი სუბსტანცია ამოვკრიფე, რათა მისთვის ქამარი-კორსეტი გამეკეთებინა. ესეც გამომივიდა. ჩემი ნახელავი მის სხეულს საოცრად ახოვანსა და მიმზიდველს ხდიდა. მელუზინს თვალები და სილუეტი გველისა ჰქონდა. მას ჩემგან ძღვნად გრძელი, უსახელო მაღალსაყელოიანი კაბა-ფუტლარი ერგო. ამ სამოსში გამოპრანჭულს რომ ვუყურებდი, მზად ვიყავი, ფლეიტაზე დაკვრაც კი მესწავლა, ოღონდ ის მომენუსხა. ალბუმინმა, მიზეზთა გამო, რომელთა ჩამოთვლა ახლა უადგილოა, შთამაგონა ბლუზა, სახელწოდებით „კვერცხის ნაჭუჭი“, პენოპოლისტიროლის საყელო-მერენგათი – ეს იყო ნამდვილი ჟაბო. მე მომხრე ვარ, რომ ესპანური ჟაბოები ისევ შემოვიდეს მოდაში. ქალის ნაკვთების სილამაზეს მსგავსად არაფერი წარმოაჩენს. რაც შეეხება დიჟიტალინს, შხამიან

მშვენიერებას, მე მას „საზომი ხელთათმანები“ მივართვი. ალისფერი თავთის ხელთათმანები, ისეთი გრძელი, იდაყვებსაც რომ უფარავდა, პარაცელსუსის ლათინური გამოთქმის საილუსტრაციოდ გრადუსებად დაყოფილი: Dosis sola facit venenum[12] – საწამლავი მხოლოდ მაშინ წამლავს, თუ დოზა დაცულია. რა გაცინებთ?

– პროგნოზი გასაგებია. ჩემ შემდეგ თქვენს თანამობინადრეს, ალბათ, მარგარინი ერქმევა და საგანგებოდ მისთვის სუფთა ქონისგან მუფთას დაამზადებთ.

– თქვენთვის წმინდა არაფერი არსებობს.

– მომიტევეთ, მგონი, არაყი ზედმეტი მომივიდა. გამოდის, მშვენივრად გახსოვთ თქვენი ქალები.

– რას ნიშნავს ჩემი ქალები? მე ვლაპარაკობ იმ ქალებზე, რომლებიც უზომოდ მიყვარდა.

– ისინი თქვენი თანამობინადრეები იყვნენ, ხომ ასეა?

– დიახ, თანამობინადრე იდეალური ქალია. მოდი, ვთქვათ, თითქმის იდეალური.

– ეს თქვენი „თითქმის“ ავის მომასწავებელი ლიტოტესია.[13] როდიდან დაიწყეთ ბინის გაქირავება კლიენტებზე, ანუ თანამობინადრეებზე, როგორც თქვენ მათ უწოდებთ?

– თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ. 20 წელია, რაც ამ სახლიდან არ გავსულვარ. ქალების უკმარისობამ მალევე იჩინა თავი, პირდაპირ ვიტანჯებოდი: გამოსავალი უნდა მეპოვა, და თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად შემთხვევით მივაგენი: გაზეთის კითხვისას, რასაც ჩემს საყვარელ საქმიანობას ვერ დავარქმევ, განცხადებების განყოფილებაში თვალი მოვკარი რუბრიკას, სათაურით „თანამობინადრეობა – ქირავდება ბინა“. გაკვირვებისგან წარბები შუბლზე ამივიდა. ისღა დამრჩენოდა, განცხადება გამომექვეყნებინა. ამდენ მსურველს ნამდვილად არ ველოდი.

– მშობლები ოცი წლის წინ გარდაგეცვალათ, ასე არ არის?

– დიახ, ეს იყო ტრაგიკული უბედური შემთხვევა. მამაჩემი, დეოდატო ნიბალ ი მილკარი გიჟდებოდა სოკოების მოკრეფაზე. იმ დღეს ფონტენბლოს ტყეში მთელი კალათა

გაავსო ქოლგა-სოკოთი და თავადვე მოამზადა.

– კლასიკური შემთხვევაა. სოკო, რომელიც მომაკვდინებლად შხამიანია, მაგრამ საჭმელად ვარგისს ჰგავს. თქვენ ცხადია, თქვენ პირი არ დაგიკარებიათ.

– პირიქით, უფრო მეტი მივირთვი, ვიდრე მშობლებმა, მაგრამ მე ინდულგენციებმა გადამარჩინა.

– ვერ გავიგე.

– მე ერთხელ უკვე აგიხსენით: თუ მოძღვარს ოქროს ჩავუჩხრიალებ, ქვასაც კი ვინელებ. გვიან ღამით დედაჩემი კუჭის გაუსაძლისმა ტკივილმა გამოაღვიძა; სოკო კარაქში იყო შემწვარი და აწყინა. ვერც მამაჩემი გრძნობდა თავს ყოჩაღად, მაინც ადგა და სამზარეულოში საჭმელი სოდის საძებნელად წავიდა. საქმე ის არის, რომ სოდის ნაცვლად ძილ-ბურანში ნიტრატები გადმოიღო, რომელსაც ვარდების გასანოყიერებლად იყენებდა, კარგა მოზრდილი დოზა ცოლს დაალევინა და თვითონაც გადაუძახა თავისი წილი. რამდენიმე წუთის შემდეგ სახლი ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა: ჩემი მშობლები გასკდნენ.

– მართლა?

– მართლა, აბა, ხომ არ ვიგონებ? ეს სულისშემძვრელი სანახაობა იყო; ესპანელი გრანდების ნაფლეთები ჭაღსა და საწოლის გავალაკზე კონწიალებდნენ. ამის შემდეგ დავითხოვე მოჯალაბენი. როგორ გინდა პატივისცემას ელოდო მოსამსახურეებისგან, რომლებიც მშობლების ნაკუწებს გიგროვებდნენ.

შუბლშეკრული სატურნინი ცოტა ხნით ფიქრს მიეცა. შემდეგ კი თქვა:

– თქვენი არ მჯერა, უფრო დამაჯერებელი სიცრუე მაინც შეგეთითხნათ. თქვენ თვითონ დახოცეთ მშობლები!

– სულ გადაირიეთ! მე, რომელიც ვგიჟდებოდი მშობლებზე, მე დავხოცე ისინი? მე აღვმართე ხელი ჩემს კეთილშობილ მამაზე? მე გავიმეტე სასიკვდილოდ ჩემი წმინდანი დედა?

– თქვენ უარესის ჩადენა შეგიძლიათ.

– კმარა ფანტაზიორობა. თქვენ შეურაცხმყოფთ. მე ჩემი

მშობლები შარონის სასაფლაოზე მოკრძალებით მივაბარე მიწას. მაშინ უკანასკნელად დავტოვე სასახლე...

– თქვენს ამბავს ვერც თავს გაუგებს კაცი და ვერც ბოლოს, თქვენ ხომ მკვდარ მამას ვერაფერს ჰკითხავდით. მაშ, დაგესიზმრათ, რომ საჭმელი სოდის დალევა უნდოდა?

– მოუნელებლობის დროს მხოლოდ სოდა თუ შველოდა.

– თქვენ არ გაგაჩნიათ არანაირი მტკიცებულება, რომ მას მაინცდამაინც სოდის დალევა უნდოდა და შემთხვევით ნიტრატებში აერია.

– არა, მაგრამ ეს აშკარაა.

– მართლა ასე ფიქრობთ?

– ნიტრატები სოდის გვერდით იდგა, ზუსტად ისეთივე ქილაში.

– უცნაურად კი შეულაგებიათ ეს შესახედავად ერთნაირი, მაგრამ შიგთავსით განსხვავებული ქილები.

– მე ასე არ ვიტყოდი. ვარდები ტერასაზე ხარობდა, ზუსტად სააბაზანოს გვერდით.

– პოლიციამ თუ გამოიკვლია ეს საქმე?

– რა თქმა უნდა და საჭმლის მოუნელებლობა დაადასტურა.

– პოლიციასაც ხომ არ ჩაუჩხრიალეთ ოქროს მონეტები?

– ბოდიში მომითხოვია. ეს არ არის საოხუნჯო თემა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მე ზუსტად ვიცოდი, რომ მათგან განსხვავებულად ვიცხოვრებდი. ისინი ხშირად მიდიოდნენ სტუმრად და სახლშიც უამრავ ადამიანს მასპინძლობდნენ; მე ამის არც ძალა და არც სურვილი არ გამაჩნდა. მე განდეგილის ცხოვრება ვარჩიე. ერთი მიზანი მქონდა – გავმხდარიყავი კვერცხი.

– და სწორედ მაშინ გექცათ ქალები აკვიატებად არა?

– აკვიატება გადაჭარბებული სიტყვაა. ვთქვათ უბრალოდ – კვერცხს გამოჩეკა სჭირდება.

– ოჰ, ეს მეტაფორები როგორ არ გელევათ?

– როცა პირველი განცხადება გამოვაქვეყნე, ოთხი გოგონა

გამომეხმაურა.

– ამ კასტინგებმა ძალაუფლების განცდა გაგიჩინათ, არა?

– კაცმა რომ თქვას, მე არასოდეს ამირჩევია. როგორც თქვენს შემთხვევაში, არჩევანი დღესავით იყო ნათელი და ის ერთადერთი გახლდათ. ემელინი ნამდვილად არ იყო ყველაზე ლამაზი. ის იყო ერთადერთი და ლამაზი. აქვე გეტყვით, რომ იმხანად ჯერ კიდევ არ მქონდა სკანდალური რეპუტაცია დამკვიდრებული. თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი ქალთა მოდგმისთვის ჩემთვის კალთები ჩამოეხია.

– იმ დროისთვის არცთუ ისე ბევრს, ალბათ?

– ცხადია. მე შემიყვარდა ემელინი. მეც შევუყვარდი. ისე, მინდა გითხრათ, რომ ყოველი თანამობინადრე ჩემს შეყვარებას უფრო სწრაფად ახერხებდა, ვიდრე მე მჭირდებოდა ამ ფრაზის სათქმელად. თქვენ კერკეტი კაკალი გამოდექით. ზოგჯერ ვფიქრობ, ალბათ, იმიტომ, ბელგიელი რომ არის-მეთქი.

– დიდი პატივია ჩემი ქვეყნისთვის.

– ხომ ამბობენ, ბელგიაზე ბრტყელი ქვეყანააო? „Plat Pays“ – ზედსართავი „პლატ“ ბრტყელთან ერთად უმარილოსაც ნიშნავს. უმარილო ხუმრობა გამომივიდა, არა?

– სხვაგვარ ხუმრობას თქვენგან არც ველოდი.

– მეგონა, ეს ბედნიერება მარადიული იქნებოდა. ემელინი ფაგოტისტი იყო. ფაგოტს სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების გარეშე ვერასდროს მოისმენთ. ქალები – ეს ორკესტრია, რომლის ჟღერადობას დიდხანს შეგიძლია ნეტარებით უსმინო. მერე მოულოდნელად გსურს ერთი შემსრულებელი სხვებისგან გამოყო. და შემდეგ, უცბად, ფაგოტისტზე შეაჩერებ არჩევანს. ის იმდენად დახვეწილი და გრაციოზულია, გინდა ამიერიდან მხოლოდ ამ მუსიკას უსმინო. სიმფონიურ ორკესტრშიც მხოლოდ ფაგოტი თუ სწვდება თქვენს სმენას. მალე ვიოლიონოები, ფორტეპიანო და ხმები შენთვის მხოლოდ კაკოფონიაა; მიდიხარ ფაგოტისტთან და ემუდარები, გეწვიოს სახლში და მარადიული სოლო მხოლოდ შენთვის დაუკრას.

– მაშინ ხომ არ დაგებადათ საბედისწერო აზრი „ბნელი ოთახის“ შექმნაზე?

– თქვენ ამარტივებთ საგნებს.

– რაც უნდა იფიქროთ, ფოტოები წმინდა წყლის მონაჩმახია. არასდროს მინახავს, როგორ იღებთ ფოტოებს.

– შთაგონებას ველოდები.

– თქვენ არა გაქვთ ფოტოგრაფის ამბიციები. მე გაკვირდებოდით. თქვენ არასდროს აფიქსირებთ კადრს მზერით. მოწონებული კადრის პირისპირ გარინდება თქვენთვის უცხოა. არ ჩერდებით, ყბედობთ და ყბედობთ უსასრულოდ. სანაძლეოს ვდებ, რომ ფოტოაპარატს არასოდეს გაჰკარებიხართ.

– ეშმაკური პროვოკაციაა საიმისოდ, რომ ჩემი ნეგატივები გაჩვენოთ.

– თქვენ ეჭვი არასდროს არაფერში გეპარებათ, პირადად მე თვითკმაყოფილებას დავბეგრავდი.

– დიახ, აზრი „ბნელი ოთახის“ შესახებ თავში სწორედ იმხანად მომივიდა. ეს ლოგიკურია, უცოლო კაცს ის არ სჭირდება. საჭიროება მაშინ ჩნდება, როცა საყვარელ ადამიანთან ცხოვრების გაზიარებას გადაწყვეტ. ასე მგონია, თქვენ არასდროს გყვარებიათ; არც სასიყვარულო თანაცხოვრების გამოცდილება გქონიათ. ეს არც ისე ადვილია, რომ იცოდეთ.

– როცა ქოხმახი ოცდაათამდე ოთახს ითვლის, როგორც აქ, ეს მაინცდამაინც ძნელი არ უნდა იყოს. მართალს არ ვამბობ?

– მე თუ მკითხავთ, ყველაფერი რთულდება. მიდი და გაიგე, სად მთავრდება თქვენი ტერიტორია და სად იწყება სხვისი? სიყვარულს ისეთი გეოგრაფია აქვს, რომ სამხედრო კარტოგრაფებს არც კი დაესიზმრებათ. ვფიქრობ, ერთოთახიან ბინაში კრიზისის საშიშროება იმდენად დიდია, რომ წყვილს თავიდანვე უწევს უზარმაზარი ძალისხმევის გაწევა: ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

– თქვენთან ნამდვილად დგას სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. დაამტკიცეთ, რომ ყველაფერი ხასიათზეა დამოკიდებული და არა საცხოვრებელ ფართზე.

– თქვენ თვითონ ნახავთ, როცა ყველაფერს საკუთარ ტყავზე გამოცდით. ამბობენ, რომ სიყვარული შერწყმას ნიშნავს. ერთ

ჭერქვეშ ეს ნაკლებად გამოდის.

– ყველაფერი თქვენი ბრალია. ასე სულელურად სახლში ჩაკეტვა რომ არ გადაგეწყვიტათ, მეორე ადამიანი თქვენთვის შემაწუხებლად მძიმე ტვირთი არ გახდებოდა.

– მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი ex cathedre[14] მსჯელობის უნარით ისეთ თემაზე, რომელზეც იოტისოდენა წარმოდგენაც კი არა გაქვთ. ფიქრობთ, რომ ყოველ ადამიანს არა აქვს უფლება თავისი „ბნელი ოთახი“ ჰქონდეს?

– მე ის მაშფოთებს, რომ ეს თქვენი ბაგეებიდან მუქარად გაისმის.

– ყოველი უფლება, დარღვევისა და ბოროტად გამოყენების შემთხვევაში სასჯელს გულისხმობს. ეს ასეა.

– სასჯელი ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს; თქვენს სისტემაში სასჯელი ჩადენილ დანაშაულზე უარესია.

– ეს ჩემი ბრალი არ არის.

– ამიტომ არ მსურს თქვენთან საუბრის გაგრძელება. საქმე იმით დამთავრდება, რომ გენეტიკას ვირწმუნებ. პირდაპირ კართაგენულია თქვენი გულმრუდობა. თუ დამნაშავე თქვენ არა ხართ, მაშინ ვინღაა? თუ ბრალი თქვენ არ მიგიძღვით, მაშინ ვინ დავადანაშაულოთ?

– ის, ვინც აკრძალვას არაფრად დაგიდევთ.

– საშინელი პასუხია. არაადამიანური.

– პასუხი ისეთია, როგორიც არისტოკრატს შეშვენის.

– თქვენს საქციელზე ერთი ამბავი გამახსენდა. ეს ბელგიაში მოხდა, რამდენიმე წლის წინ. ბავშვებმა თამაშ-თამაშში სიმინდის ყანა გადათელეს. გაცოფდნენ ფერმერები, ზოგიერთი კარაბინით შეიარაღებული მოვარდა. მოკლედ, რამდენიმე მოზარდი მძიმედ დაიჭრა. საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტის კითხვაზე: „როგორ ესროლეთ ბავშვებს? ეს ხომ სისასტიკეა?“ და ერთ-ერთმა გამძვინვარებულმა მიწათმოქმედმა უპასუხა: „არ გადაეთელათ ყანა და არაფერიც არ მოუვიდოდათ!“ თქვენს საქციელში არისტოკრატიული არაფერია. ასე მხოლოდ გლახაკი თუ მოიქცევა.

– ვატყობ, ბელგიური ტელევიზია ზრუნავს მაყურებლის გართობაზე. მოსაწონია, მოსაწონი.

– შეკითხვას ყოველთვის არიდებთ თავს და ნებისმიერი სიტუაციიდან მშრალი გამოდიხართ. ეს აუტანელია! მე წავედი დასაძინებლად.

სატურნინი წავიდა. არც უცდია, გაერჩია, რას დუდღუნებდა თავისთვის დონ ელემირიო.

– არაფერსაც არ ვარიდებ თავს, ეს თქვენ გარბიხართ თავქუდმოგლეჯილი... და როგორ ადარებთ ჩემს საიდუმლოებებს სიმინდს? ამ საღამოს მაინც მე გავიმარჯვე: ხომ ჩაიცვით ჩემი ნაჩუქარი ქვედაკაბა? თუმცა, ამას თითოეული ჩვენგანი განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

რა არის სიყვარული? როგორ უყვარდება ადამიანს? ეს დედამიწის ზურგზე ყველაზე იდუმალებით მოცული მოვლენაა, ერთი ნახვით შეყვარება კი ამ სასწაულის ყველაზე აუხსნელი ვარიანტი: თუ აქამდე შეყვარებული არასდროს ვყოფილვართ, მხოლოდ იმიტომ, რომ საყვარელი ადამიანის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ გვქონია.

შენელებული მოქმედების „მეხის დაცემა“ სხვა არაფერია, თუ არა გონიერების უდიდესი გამოწვევა. დონ ელემირიოს თავდავიწყებით შეუყვარდა სატურნინი, როცა ამ უკანასკნელმა ყვითელი ფერისა და ოქროს შერწყმით აღფრთოვანება გულწრფელად გამოხატა. გასაგებია მისი გაღიზიანება: შეიძლება მხოლოდ ამის გულისთვის შეგიყვაროს მამაკაცმა? ისე, ვერც ესპანელს დავადანაშაულებთ ვერაფერში. სიყვარულს ხომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. ვერ გაიგებ, როდის დაგადგება თავს.

სატურნინი ოთახში დაბრუნდა და ქვედაკაბა გაიხადა. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება სარჩულს: დონ ელემირიოს უნატიფესი ყვითელი ქსოვილი აერჩია. გაახსენდა თავისი მოსაზრებაც ოქროსა და ყვითელი ფერის თანხვედრაზე და უნებლიეთ მის სხეულში რომელიღაც მექანიზმი გაითიშა, რაღაც გაიჭედა.

სატურნინი საწოლზე ჩამოჯდა და სარჩულს ხელი ნაზად გადაუსვა. უცნაურმა მღელვარებამ შეიპყრო. ქვედაკაბის სარჩული ამოატრიალა და მთელი მისი სიყვითლე

გამოამზეურა. მის თვალწინ საოცარი შიგთავსი გადაიშალა, – შეცბუნებულმა ჯერ ხელებით ეფერა უნაზეს ქსოვილს, მერე კი ლოყებზე მიიდო.

შემდეგ სატურნინმა ყურადღებით დაათვალიერა თერძის ნახელავი. ნაკერები მისი ოსტატობისა და გრძნობის იდეალურ წონასწორობაზე მეტყველებდა. სარჩული უზადოდ იყო გამოკერებული, მაგრამ შეუძლებელი იყო, გამოცდილ თვალს ვერ შეენიშნა ვნებათაღელვის ზონები. თეძოების ღუნთან ან წელის ჩაღრმავებაში ის განცდა გაიხსენა, რამდენიმე საათის წინ რომ დაეუფლა ელვის შეკვრისას. მაშინ ხომ აშკარად იგრძნო, თუ როგორ მოხვია ხელი წელზე უხილავმა არსებამ. დაუჯერებელია. ის საკერავი მანქანა ჯადოსნური ხომ არ არის?

სასოწარკვეთილმა სატურნინმა კაბა გარდერობში დაკიდა და გადაწყვიტა, საჩუქარზე მეტი აღარ ეფიქრა. ლოგინში ჩაწვა, ჩააქრო შუქი და... გონებაში ისევ ესპანელის ნახელავი ამოუტივტივდა. „როგორი დახვეწილია და ნატიფი. რამდენი გრძნობა და ყურადღებაა შიგ ჩაქსოვილი! – მოულბა გული სატურნინს, მაგრამ წუთში ისევ ბრაზი მოერია, – არასდროს შემძულებია ისე, როგორც ამ საღამოს. ხომ კარგად მოვაკეტინე, როცა სიმინდის ყანის ამბავს მოვუყევი! არისტოკრატიზმი ჰქვია ერთიმეორის მიყოლებით იმ უბედური ქალების დახოცვა, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ზედმეტად დაინტერესდნენ ამ ნაძირალათი და ასე სულელურად შეიყვარეს!“

სატურნინის შინაგანი მონოლოგი მთელი ღამე გაგრძელდა, ყველა წვრილმანი აწონ-დაწონა და დაიმშვიდა თავი ილუზიით, რომ ვითარების ბატონ-პატრონი თვითონ იყო. როცა შეყვარებული ხარ, საკუთარ თავთან დავას გვიან იწყებ, თითქოს ჯერ კიდევ შეგიძლია ამ აბსურდისა და გაუგებრობისგან თავის დახსნა. არ გაუმართლა: ფრიად საეჭვო ადამიანი შეუყვარდა. ამიტომაც გასაგებია, რატომ იყო საკუთარ თავთან კინკლაობა ასეთი მშფოთვარე, ხმაურიანი და ფუჭი. ვერაფერს გააწყობ, გამოუსწორებელი უკვე მოხდა.

* * *

მეორე დილას სატურნინს ზედმიწევნით ჰქონდა გააზრებული

შეყრილი სენის მთელი სიმძიმე. ცხადია, საკუთარი თავი ზედმეტად შეაფასა, როცა ფიქრობდა, რომ ამ კაცთან ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრებით არაფერს რისკავდა. „აბა, სად ჩანს განსხვავება ჩემსა და იმ იდიოტ ქალებს შორის? მეც მაგარი შტერი ვარ“, – ცოფდებოდა სატურნინი.

მისი ფიქრები გამუდმებით მომხდარს დასტრიალებდა. „ამ ქვედაკაბას ამიერიდან აღარ ჩავიცვამ. მორჩა!“ – შეჰფიცა საკუთარ თავს მეტროთი მგზავრობისას.

ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ცხელ გულზე ერთი ამბავი დააწია სტუდენტს, რომელიც კუთხეში თავისთვის ეწეოდა.

– რა დაგემართათ? – დაინტერესდა ყმაწვილი.

– აქ მოწევა აკრძალულია, აი, ეს დამემართა!

– აქამდე მილიონჯერ დაგინახავთ, რომ ვეწეოდი, მაგრამ არაფერი გითქვამთ.

– მილიონმეერთე დანახვაზე გამიჩნდა სურვილი, წესრიგისკენ მოგიწოდოთ, – დაცეცხლა განრისხებულმა ლექტორმა გაოცებისგან ენაჩავარდნილი სტუდენტი.

სატურნინი საკუთარ თავს ვეღარ იტანდა ასეთი ფხუკიანობისა და თავშეუკავებლობისთვის. შინ დაბრუნებული საწოლზე გაიშხლართა და გადაწყვიტა, აზრი მოეკრიბა, ყველაფერი გაერკვია, მაგრამ ფიქრის სურვილი აღარ ჰქონდა; დიდხანს იჭყლიტა უკვე ტვინი ამაოდ და თეთრად გატარებული ღამის შემდეგ თვალები თავისით დაეხუჭა და ძილში გადაეშვა, რომლის სიღრმიდან მის სმენამდე აღწევდა ფრაზები: „სიკვდილი გაუჩინარებას არ ნიშნავს“, „საიდან მოიტანეთ, რომ მე მათ ვსჯი?“, „მე კრავივით უწყინარი ვარ“, „მე უვნებელი ვარ“.

სატურნინმა თვალები გაახილა და თავის თავს ხმამაღლა უთხრა: „სინამდვილეში, მე მისი არ მეშინია! და მართალი თუ ვარ?“

უეცრად სატურნინი თვალებგაფართოებული წამოიმართა საწოლზე: „ის ქალები არ დაუხოცავს. თანამობინადრეები უბრალოდ გაქრნენ და ეს მათი არჩევანია! ალბათ, არც იცის მათი ადგილსამყოფელი, ისინი შევიდნენ ბნელ ოთახში და

ამით იმედი გაუცრუეს მასპინძელს, მაგრამ მას ისინი არ დაუსჯია: ეს ქალები თვითონ წავიდნენ. მათ ესპანელის სიძულვილს ვერ გაუძლეს. დიახ, ზიზღმა აიძულა სასახლიდან წასულიყვნენ!“

სატურნინმა გონებაში ყველა საუბარი გაიხსენა, რომელიც ბოლო დღეებში დონ ელემირიოსთან ჰქონდა. ავისმომასწავებელი ფრაზა, თუ ეშმაკი შეგაცდენთ და მაინც შეყოფთ შიგ ცხვირს, ეს არ დამემალება და დაუმორჩილებლობისათვის მკაცრად აგებთ პასუხსო, ახლა არა მუქარად, არამედ გაფრთხილებად ეჩვენა. თუ აკრძალვის უგულებელყოფამ იმ ქალებს უბედურება დაატეხა თავს, დონ ელემირიო არაფერ შუაშია. მაინც რა არის იმ დაწყევლილ ბნელ ოთახში? ყოველ შემთხვევაში, არა ის რვა გვამი, რაშიც აქამდე იყო დარწმუნებული. ალბათ, რაღაც საშინელი საიდუმლოა. რა, ესპანელს ვინმემ წაართვა უფლება ერთი საშინელი საიდუმლო ჰქონდეს?

სატურნინს ერთი რამ მაინც აღუძრავდა ეჭვს: შეიძლება კაცი თავზარდამცემ საიდუმლოს მალავდეს, თუ ის სინამდვილეში დამნაშავე არ არის? სატურნინი რატომღაც ფიქრობდა, რომ დონ ელემირიოს თავისუფლად შეეძლო იმ ოთახში, მაგალითად, საშინელი ძალადობის ან თავდასხმის მამხილებელი ნივთები გადაემალა. ან ვთქვათ, შეექმნა სიბილწის ამსახველი ხელოვნების ნიმუში, რომელსაც ვერავის გაუზიარებს, მაგრამ აუცილებელია მისი სულიერი წონასწორობისთვის. სატურნინს წარმოსახვა აღარ ეყო, რათა ყველა შესაძლო ჰიპოთეზა ჩამოეთვალა.

რამდენჯერ ეცადა დონ ელემირიო თანამობინადრე თავის უცოდველობაში დაერწმუნებინა? სატურნინს არასდროს გასჩენია მისი ზღაპრების მოსმენის სურვილი. პირიქით კი მოხდა. სატურნინმა აიძულა ესპანელი, ხმა ჩაეკმინდა, დადუმებულიყო. რამდენი თათხა და ლანძღა, დასცინა, ხშირად უმიზეზოდაც. მას ხომ ერთი მამხილებელი საბუთიც კი არ გააჩნდა? დონ ელემირიომ მედგრად გაუძლო ამ გაუგონარ ცილისწამებას. არც კი აღელვებულა... და სატურნინმა დაასკვნა, რომ შეუყვარდა სულიერად ავადმყოფი, თვითკმაყოფილი მამაკაცი, სრულიად უთავბოლო და დაულაგებელი ტიპი, მაგრამ არამც და არამც მკვლელი. ამ აზრმა არათუ დაამშვიდა, არამედ აქამდე მისთვის უცნობი

სიამოვნებითა და სიხარულით აღავსო.

„შეინარჩუნე საღი აზროვნების უნარი, – ჩასჩიჩინებდა თავს, – ნუ გადავარდები ერთი უკიდურესობიდან მეორეში. უდანაშაულობის პრეზუმფცია მშვენიერი რამ არის, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვერაფერში იქნები. შენთვის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება არსებობს – შენ არ იცი, ვისთან გაქვს საქმე, ამიტომ მოუხმე გონებას. ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დონ ელემირიო ერთ რამეში არ ცდებოდა: სატურნინს ნამდვილად ათენა მფარველობდა.

* * *

როცა ვახშამზე უხმეს, სატურნინმა სცადა, სამზარეულოში რაც შეიძლება აუღელვებლად და ბუნებრივი იერით შეებიჯებინა. დონ ელემირიომ ისე გამოხედა თანამობინადრეს, რომ ქალს პირველად არ მოსჩვენებია მისი ეს მზერა უჩვეულოდ და უცნაურად.

– დღეს ქვედაკაბა არ ჩაიცვით?

– ყოველ საღამოს ერთსა და იმავეს ხომ არ ჩავიცვამ, – უთხრა უცხვირპიროდ სატურნინმა.

„ვინ გაიძულებს ასეთი უტიფარი იყო?“ – დატუქსა მაშინვე თავი.

– ამოირჩიეთ შამპანური. თქვენ საკუთარ სახლში ხართ.

სატურნინმა მაცივარი გამოაღო და ინტერესით შეუდგა იარლიყების ხმამაღლა კითხვას.

– „ტეტენჟე კონტ დე შამპანი“, – გამოაცხადა მან, – ვხსნი!

– თქვენი ნებაა.

სატურნინმა შამპანური ფუჟერებში ჩამოასხა და დაინახა, როგორ აციმციმდა და აბრჭყვიალდა ბროლი. ჩვეული სადღეგრძელო თქვეს და სასმელი დააგემოვნეს.

– ეს ჩემი საყვარელი შამპანურია, – უთხრა ესპანელმა არისტოკრატმა.

სატურნინს შამპანური კი მოეწონა, მაგრამ უცნაური, ცოტა არ იყოს, ხისტი და აგრესიული ეჩვენა, მაგრამ არაფერი უთქვამს. გრძნობდა, რომ ეს ესპანელის აღფრთოვანებას ცივ წყალს გადაასხამდა.

– სარსუელა მოვამზადე, – გამოაცხადა ესპანელმა.

– არასდროს გამიგია ეს სახელი. რა არის ეს?

– უბრალოდ გეტყვით, რომ იგივე პაელიაა, ოღონდ უბრინჯოდ. ჩვეულებისამებრ, ამ კერძში ჯერ ასთაკვს ყრიან, მაგრამ რადგან ჩვენ ორჯერ ზედიზედ გვქონდა მათი მირთმევის ბედნიერება, ასთაკვები პრასით ჩავანაცვლე.

– კავშირს ვერ ვხედავ...

– რომც ეცადოთ, ვერ იპოვით, უბრალოდ მინდოდა ზმნა „ჩანაცვლების“ აბსურდულობაზე გამემახვილებინა ყურადღება. ჩანაცვლების კონცეფცია უდევს საფუძვლად კაცობრიობის კრახსა და უბედურებას. გაიხსენეთ, მაგალითად, იობი.

– ვერც ახლა ვხედავ კავშირს. მაპატიეთ...

– ბლომად უნდა გადმოგიღოთ, რადგან ვამჩნევ, რომ ქალთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, თავს არ იკატუნებთ, თითქოს მადას უჩივით და ჩიტივით იკენკებით.

სატურნინს, ორი წამის წინ უგონოდ შეყვარებულს, სულაც არ ჰქონდა მადა, მაგრამ გადაწყვიტა, ეს გულმოდგინედ დაემალა.

– თქვენ იობი ახსენეთ?

– დიახ, მას ღმერთმა ცოლი და ბავშვები წაართვა; თავიდან ამბოხის სურვილმა შეიპყრო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მისი არავის არაფერი მართებდა და თქვა: „დიდება მაღალ ღმერთს“. როცა ღმერთმა ჩათვალა, რომ იობმა საკმარისად იტანჯა, ცოლ-შვილი კი არ დაუბრუნა, არამედ უბრალოდ ცოლი და შვილები. იობს წუწუნი არ დაუწყია. მიიღო ჩანაცვლება; აქედან უკვე შეიძლება დასკვნის გამოტანა. კაცობრიობა იმ უხსოვარ დროშიც მოუწყობელი და გაუმართავი იყო.

– თქვენ სულით ხორცამდე კათოლიკე ხართ და როგორ ეგუებით ამ საშინელებებს ბიბლიაში?

– ეს ის წიგნია, რომელიც რეალობას ასახავს. მომწონს, რომ ჩვენი წმინდა წიგნი ილუზიებით არ კვებავს ადამიანის ბუნების თაობაზე.

– და ეს წიგნი ღმერთს რომ ნაძირალად წარმოაჩენს, არ გაწუხებთ?

– მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი რწმენით ღმერთი მხოლოდ ცდიდა იობს. თავად იობი იყო სულელი და ყეყეჩი, „ჩანაცვლებას“ რომ დათანხმდა.

– არა, იობი უბრალოდ დაფრთხა. მან კარგად იცოდა, როგორი ღრმად მანკიერი იყო ღმერთი და პროტესტისგან თავი შეიკავა. ფიქრობდა, თუ ახლა ავწუწუნდი, მაღალი ღმერთი უარეს დღეში ჩამაგდებსო. ისე, მე თუ მკითხავთ, აღმაშფოთებელია, როცა ღმერთი თავის პირმშოს ცდის.

– ცდიან იმათ, ვინც უყვართ.

– არა. ვინც უყვართ, მფარველობენ.

– ამას დედობრივი სიყვარული ჰქვია. ის ბავშვებისთვის თუ გამოდგება, ღმერთი კი ზრდასრულ კაცობრიობას მიმართავს.

– აი, თურმე რატომ იქცევა ასე ბავშვურად? ის ბუტია, ჭირვეული და რევანშისტია.

– ეს ძველ აღთქმაში, ახალში იდეალურია.

– იდეალური იესოა. ღმერთმა ის ჯვარს აცვა.

– ის ადამიანებმა აცვეს ჯვარს.

– ღმერთი თვლის, რომ ეს ცოდვების გამოსყიდვის საფასურია. ის, არც მეტი, არც ნაკლები, ნაძირალა, გულღრძო და მევახშეა.

– იქნებ შეწყვიტოთ მკრეხელობა.

– რატომ? მე ხომ არაფერს ვრისკავ?

– თქვენ ღმერთს შეურაცხყოფთ.

– ის მეც მაყენებს შეურაცხყოფას. თუ თავის დარად შემქმნა, მეც იგივე უფლებები მაქვს, რაც მას. ამაში ნამდვილად

დარწმუნებული ვარ, რომ არ შემეწინააღმდეგებით. თქვენ ხომ თავს ღმერთად მიიჩნევთ.

– მხოლოდ მაშინ, როცა მიყვარს.

ამაზე სატურნინმა საპასუხო ვერაფერი მოიფიქრა და გამოსავალი სასაუბრო თემის შეცვლაში იპოვა.

– უგემრიელესია თქვენი სარსუელა, არ ვიცი, როგორი იქნებოდა ასთაკვებით, მაგრამ აშკარაა, რომ პრასი ძალიან მოუხდა.

– იმიტომ, რომ მე არ ვიზიარებ „ჩანაცვლების“ კონცეფციას. აი, შეხედეთ, მე თქვენ შემიყვარდით. ჩემი მეცხრე თანამობინადრე ხართ. თქვენ გგონიათ, იმ წინამორბედ რვა ქალს ჩაენაცვლებით? მე ისევ ისე მიყვარს ისინი, როგორც უწინ. ყოველ ჯერზე ეს ახალი სიყვარულია. კარგი იქნებოდა, ყოველ ჯერზე ახალ ზმნაზე მეფიქრა. ვერ ვიტყვი, რომ სიტყვამ „სიყვარული“ თავი ამოწურა, ის ჯერ კიდევ გამოდგება, მასში იგრძნობა შინაგანი მუხტი, დაძაბულობა, რომელიც ნებისმიერი სახის სიყვარულისთვისაა დამახასიათებელი. ამის გადმოცემა მხოლოდ სიტყვა „სიყვარულს“ ძალუძს.

სატურნინი თვალებგაფართოებული უსმენდა, თუ როგორ აღწერდა ესპანელი საკუთარ მდგომარეობას.

– როცა თქვენი მშობლები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, გიყვარდათ ვინმე?

– ვიწყებდი. ის ბიჭუნა უნდა შემყვარებოდა, რომელსაც ვერცხლის დანა-ჩანგალს ვჩუქნიდი. ხედავთ, ასეთი გასაცოდავებული სიყვარულიც გადამხდომია თავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – მხოლოდ თანამობინადრეებთან გავიგე, თუ რას ნიშნავს სიყვარული; ნამდვილ სიყვარულს ვგულისხმობ. მე არ ვიცი, სხვები რას შვრებიან. თანამობინადრეობა ამ საკითხში იდეალური სქემაა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

– მამათქვენის სიცოცხლეში შეძლებდით ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას?

– ვეჭვობ. ნება რომც დაერთო, ვერ გავბედავდი. უნდა ვაღიაროთ, რომ მშობლები ყველაზე ანტიეროტიკული ინსტანციაა ამქვეყნად.

სატურნინი ფიქრობდა, რომ ასეთი მსჯელობა ესპანელს სულ უფრო საეჭვოსა და საშიშს ხდიდა. სინანულით ისიც აღიარა, რომ გულის სიღრმეში მის გამართლებასაც კი ცდილობდა.

– პრასი შემთხვევით არ ამირჩევია, – განაგრძო დონ ელემირიომ, – მე თქვენ პრასს მაგონებთ. ხართ მაღალი და თხელი. თქვენი სურნელი არც ერთ სხვა სურნელში არ აერევა ადამიანს, თქვენი სახის სრულყოფილებას დედამიწის ზურგზე სხვა ვერავინ გაუტოლდება.

ქათინაურმა, რომელსაც შეიძლებოდა გუშინ საშინლად გაეღიზიანებინა, დღეს უკიდურესად ააღელვა სატურნინი. რა საშინელებაა, როცა შეყვარებული ხარ! უმწეობის დამთრგუნველი განცდა დაეუფლა, თითქოს გაატყავეს. „ღმერთო, ეს რა უბედურებაა ჩემს თავს“. სატურნინმა ხსნა შამპანურში პოვა. იმედი ჰქონდა, სასმელი ვერ შემისუსტებს თავდაცვის მექანიზმებსო.

– ვერ ვიტყვი, რომ დღეს ძალზე სიტყვაუხვი ხართ.

– ცუდი თანამოსაუბრე ვარ-მეთქი, ხომ გაგაფრთხილეთ? ნუ ღელავთ, საშიში არაფერია. სამაგიეროდ, თქვენ ყბედობთ ოთხის ნაცვლად.

– ვყბედობ მაშინ, როცა შეყვარებული ვარ. „კეთილ კაცს თავისი გულის კეთილი საუნჯიდან გამოაქვს კეთილი და ბოროტ კაცს თავისი გულის ბოროტი საუნჯიდან გამოაქვს ბოროტი, რადგანაც გულის სისავსისგან მეტყველებს მისი ბაგე“, – ნათქვამია ბიბლიაში.

სატურნინს მშვენივრად ესმოდა მისი. გრძნობდა, რომც არაფერი ჰქონოდა დასამალი, მაშინაც ზუსტად ასევე მოიქცეოდა. საკმარისი იყო სარქვლის ახსნა, სიტყვები უწყვეტ ნაკადად რომ გადმოღვრილიყო. „როცა ხელთ მექნება მისი უცოდველობის დამამტკიცებელი საბუთი, მე გუდას თავს მოვხსნი“, – შეჰპირდა თავს, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო მტკიცებულება, წარმოდგენა არ ჰქონდა.

– როგორ გაიქარვეთ დარდი და ნაღველი იმ რვა ქალის გაქრობის შემდეგ, რომლებიც ასე გიყვარდათ? – იკითხა ქალმა.

– როცა ერთმანეთს პირველად შევხვდით, ნუთუ ვგავდი იმ მამაკაცს, რომელმაც დარდი და ნაღველი მოინელა? აი, ჩემი

პასუხი. დარდისგან ჯერ კიდევ ვერ გავმართულვარ წელში.

– ახლა ძალიანაც გამართული ჩანხარ.

– არა, ჩემი ჭრილობები მოუშუშებელია და მიუხედავად ყველაფრისა, მე თქვენ მიყვარხართ. ეს ჩემი ენერგიის მთელ მარაგს იწირავს. ამჟამად ეს სიყვარული სალბუნივით ედება ჩემს სევდას, მაგრამ საბოლოოდ ვერ განმკურნავს.

– რა სამწუხაროა.

– სულაც არა. მიხარია, რომ წარსულ ბობოქარ სიყვარულს უვნებელი ვერ გადავურჩი. მიხარია, რომ ამ გატაცებებმა ჩემში კვალი დატოვა. მაგრამ ეს სულაც არ მიშლის ხელს, ისევ მიყვარდეს. წარსული ასულდგმულებს თქვენდამი ჩემს სიყვარულს. ეს წყალობაა მგლოვიარე კაცისთვის.

სიტყვა „გლოვამ“ ქალი გააოგნა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი თავს არწმუნებდა, „გლოვა“ ყოველთვის როდია სიკვდილთან დაკავშირებულიო. საკმარისი იყო კითხვა დაესვა და კაცი ყველაფერს აუხსნიდა. ადრე არც სურდა რამე ეკითხა მისთვის, იმიტომ, რომ მისი უცოდველობისა არ სჯეროდა. არც ახლა ეკითხებოდა რამეს, რადგან ძალიან უნდოდა უდანაშაულო აღმოჩენილიყო.

– მატყუარა ხართ?

– მე არასდროს ვცრუობ, – იყო კაცის მყისიერი პასუხი.

– დამთრგუნველი პასუხია. ამიერიდან თქვენს სიტყვასა და საქმეს შორის უმნიშვნელო აცდენაც თუ შევამჩნიე, აღარასდროს დაგიჯერებთ.

– არა, სიმართლეს ვამბობ. მე არასდროს ვცრუობ.

– კარგი რა, ადამიანები ცრუობენ და ვერც კი ამჩნევენ ამას. მაგალითად, მე რამდენჯერ მითქვამს, კარგად მეძინა-მეთქი, არადა, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. რა თქმა უნდა, სულაც არ მინდოდა, მეცრუა, უბრალოდ მსურდა, თავი დაენებებინათ ჩემთვის, არავის შევეცოდებინე. ყველა ასე ცრუობს.

– რა საინტერესოა. რატომ მე არ ვცრუობ, როგორც ყველა?

– თქვენ არ მეხმარებით. რა წყალში უნდა გადავვარდე, რომ

დამიჯეროთ?

– ეს საკითხი დიდი ხანია გადაჭრილია. თქვენ ჩემი არ გჯერათ.

– ცდებით, ამ საღამოს გადავწყვიტე, რომ ამიერიდან დაგიჯეროთ. „ესეც ასე. მე გამოვუტყდი, მაგრამ სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ ვერაფერს მიხვდება“.

დონ ელემირიო სატურნინს მიაშტერდა. უსაშველოდ დიდხანს დუმდა, ბოლოს კი ამოღერღა:

– გმადლობთ... და რა მოხდა ასეთი ამ საღამოს?

– მე ქვედაკაბის სარჩული ვნახე, ჩემთვის რომ შეკერეთ.

ესპანელმა გაიღიმა.

– თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი ტიტანური შრომაა ეს.

– კერვა...

– არა, ფერი. რაღა „ლამაზი სარჩული“ გითქვამს და რაღა „ლამაზი გოგონა!“ – სრული უაზრობაა. სილამაზე ისეთივე მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა, როგორიც ყვითელი ფერი.

– ხომ გაქვთ IX საუკუნის დროინდელი კატალოგი, ამას წინათ რომ მითხარით?

– ჩემი აზრით, კაზუს ბელის კლასიფიკაციაში ყვითელი არასრულადაა წარმოდგენილი. ის ფერთა შორის უნატიფესია. ალბათ, იმიტომ, რომ ყველაზე ახლოს დგას ოქროსთან. კაზუსი ყვითელი ფერის ნაირსახეობებს გამოარჩევს და ყოველ მათგანს თავის სახელს არქმევს.

– ამ ჩამონათვალში თუ იპოვეთ, რასაც ეძებდით?

– დიახ, სამი ვარიაცია ვიპოვე: ბანანისფერი, კვერცხისგულისფერი, ბაია.

– და ისინი ერთმანეთში აურიეთ?

– ეს უმეცართა ილუზიაა, რომლებსაც სჯერათ, რომ სამი მიახლოებითის ერთმანეთში არევით იდეალურ ფერს მიიღებენ. ცნობილია, რომ ფერთა აღრევა მხოლოდ საზიზღარ პიურეს იძლევა. ფერის სისუფთავე ღვთიური რამაა. თქვენთვის მე რიგით ოთხმოცდამეშვიდე ყვითელი

გამოვიგონე: თქვენი კაბის სარჩულის ფერი. ამ შედეგს მათემატიკური – ასიმპტოტად[15] წოდებული ხერხის გამოყენებით მივაღწიე. ფერი მრუდე ხაზია, ასიმპტოტა კი – სწორი, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება. ასე და ამგვარად, ჩემი პირადი პალიტრა ასიმპტოტური ყვითლით გამდიდრდა. ასეთ ფერს მეტაფიზიკასთან მივყავართ გვაფიქრებინებს: მე სასწაულის დაფიქსირება შევძელი. აცეტატის სიჭრელე ზედგამოჭრილია ამ ახალი ფერის მატერიალიზაციისათვის.

„ნაძლევი უნდა დამედო, – გაიფიქრა სატურნინმა, – დარწმუნებული ვარ, ვერაფერიც ვერ გაიგო. ახლა სულ გადაირია, ფერების მეტი არაფერი ახსოვს“.

– რა საოცარია, – თავაზიანად თქვა მან.

– მართლაც. იცოდით თუ არა, რომ ყვითელი პრინცესა კლეველის საყვარელი ფერი იყო?

– თქვენ ფრანგ კლასიკოსებსაც კითხულობთ? – ძლივს ამოშაქრა სატურნინმა, მორგებულ როლს მთლიანად რომ არ დასცილებულიყო.

– მხოლოდ იმათ, რომელთა პერსონაჟები ჟაბოებს – ესპანური გენიის სიმბოლოს ატარებენ. მოკლედ, ნემურის ჰერცოგი პრინცესას რჩეული ფერის სამოსს იცვამდა. ამით მიხვდა ბანოვანი, რომ ჰერცოგს უყვარდა. შემდეგ კი აი, რა მოხდა: ჰერცოგი უთვალთვალებდა პრინცესას, როცა ის თავის ოთახში ყვითელ ლენტებს ამაგრებდა იმ ხელჯოხზე, რომელიც ჰერცოგს მოჰპარა. შესანიშნავი ის არის, რომ მამაკაცს დიდხანს არ უმკითხავია ბანოვანის უცნაური საქციელის მიზეზის მისახვედრად: პრინცესა კლეველს შეუყვარდა იგი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ის ასიმპტოტური ყვითელი, რომელიც მე ხელახლა აღმოვაჩინე, გნებავთ, გავაცოცხლე.

„შეიძლება შევცდი და ამ კაცმა ყველაფერი მშვენივრად მოტვინა“, – გაიფიქრა სატურნინმა.

– თქვენ, თქვენებურად, რა თქმა უნდა, დიდად არ განსხვავდებით იმ ცნობილი ბანოვანისგან, – დაასკვნა ფერთა ჯადოქარმა.

ორივემ დანაღმულ ტერიტორიაზე შეტოპა. სატურნინმა

დაღლილობა მოიმიზეზა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

სატურნინმა ის ღამეც თეთრად გაათენა და შედეგმაც არ დააცანა, – ისე გადაეშვა ძილში, გეგონებოდა, ვიღაცამ ხელი ჰკრა და ჭაში ჩააგდოო. დილით, როცა თვალები გაახილა, მიხვდა, რომ საღი აზროვნების უნარი დაჰბრუნებოდა.

„გუშინ საღამოს ის ბევრად საეჭვო მეჩვენა, ვიდრე ოდესმე. მე უნდა ვაღიარო რეფერენციების მისეული სისტემა, თორემ ჩემთვის სამუდამოდ გამოუცნობი დარჩება“, – გაიფიქრა სატურნინმა.

ლუვრის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ლექციებს როგორც კი მორჩა, სატურნინი ნიბალ ი მილკარის სასახლეში დაბრუნდა და დაათვალიერა ყველა ოთახი, სადაც შესვლა ნებადართული იყო. ყველაფერს გულისყურით აკვირდებოდა. ცდილობდა, უმნიშვნელო დეტალიც კი არ გამორჩენოდა. ლაშქრობით ისეთი უკმაყოფილო დარჩა, რომ ვერ მოითმინა, პირდაპირ დონ ელემირიოს კარს მიადგა და ნერვიულად დააკაკუნა.

როცა ოთახში შევიდა, თვალებს არ დაუჯერა, ესპანელი იდგა და დირიჟორს განასახიერებდა, ოღონდ უმუსიკოდ. „მაგარი დარეხვილია“, – გაიფიქრა სატურნინმა. დონ ელემირიოს „რეპეტიცია“ წამითაც არ შეუწყვეტია, ამით სტუმარს სრული თავისუფლება მისცა, აუჩქარებლად დაეთვალიერებინა ყველა კუთხე-კუნჭული. სატურნინმა სააბაზანოსა და კარადებშიც კი შეიჭყიტა.

* * *

საღამოს, ვახშმობისას, კაცმა უთხრა:

– თუ მხედველობა არ მღალატობს, დღეს ნაშუადღევს მოგკარით თვალი.

– დიახ, დღეს მთელი ნაშუადღევი სასახლის დათვალიერებას მივუძღვენი; ვნახე თქვენი ოქროს აბჯარ-აბგარი. ჟაბოების კოლექცია, ფანტასტიკური ინკუნაბულები.[16] სამწუხაროდ, ვერ მივაგენი იმას, რასაც ვეძებდი.

– გასინჯეთ ჩემი გამოგონილი მორიგი კერძი – ზეთში შემწვარი

გველთევზა.

სატურნინმა უხმოდ გადმოიღო კერძი.

– თქვენ არასდროს ცრუობთ, ესე იგი, ნამდვილად ფოტოგრაფი ხართ. ვცდილობ, თქვენი ტვინით ვიფიქრო, რაც არც ისე ადვილია: მე რომ ფოტოგრაფი ვყოფილიყავი და ეს რვა ქალი თავდავიწყებით მყვარებოდა, აუცილებლად აღვბეჭდავდი მათ ფოტოფირზე. ამ სახლში ქალის ერთი ფოტოსთვისაც არ მომიკრავს თვალი, არც სხვა ფოტოებისთვის, სხვათა შორის.

– ფოტოები ბნელ ოთახშია, – უპასუხა დონ ელემირიომ.

– ბნელი ოთახი ის ადგილია, სადაც ფოტოებს ამჟღავნებენ.

– მე მათ იქვე გამოვფენ ხოლმე.

– თქვენ იქ შესვლა აკრძალეთ.

– ჩემი ყველაზე დიდი ღირსებაც ეს არის. თქვენ ასე არ ფიქრობთ? მომაკვდინებლად მოსაწყენი არიან ის ფოტოგრაფები, რომლებიც ვერ ისვენებენ, სანამ თავიანთ ნაწარმოებებს არ გადმოგილაგებენ. ასე რომ უწოდებდნენ თავიანთ შემოქმედებას, კიდევ არაფერს ვიტყოდი! არა, მათ თავიანთი ნახელავის ჩვენება კი არ უნდათ, არამედ გაიძულებენ ისინი გაიზიაროთ. ეს აუტანელია!

– ძალიან მინდა თქვენი გადაღებული ფოტოები ვნახო.

– მე ხომ გითხარით, შეუძლებელია-მეთქი.

– კეთილი, იმ ქალების გარდა, სხვა რამისთვის თუ გადაგიღიათ სურათი?

– აი, აზრიც ამას ჰქვია. არა, რა თქმა უნდა.

– ხელის გასავარჯიშებლად მაინც.

– ცნება „შავი მასალა“ გულს მირევს თავისი ვულგარულობით. მე ვამაყობ, რომ სიცოცხლეში მხოლოდ რვა ფოტო გადავიღე. არც მეტი, არც ნაკლები.

– თითო სურათი ერთ ქალზე. დარწმუნებული ხართ, რომ მეტი არა?

– სავსებით. ჭეშმარიტი სიყვარულის დასტური ერთადერთი და

განუმეორებელი ფოტოს შექმნაა და არა სახეების ტირაჟირება.

– ქალი ისეთი მრავალსახოვანია. წარმომიდგენია, საყვარელი ქალი როგორი მრავალწახნაგოვანია. როგორ გინდათ, ყურადღება ერთ წახნაგზე შეაჩეროთ და დანარჩენები კი უგულებელყოთ?

– ვინც იცის ლოდინი, აუცილებლად მოუწევს რიგი.

– გამოუცნობი ადამიანი ხართ. მეც მომიწევს არა, რიგი?

დონ ელემირიოს გააჟრჟოლა.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– თქვენ წამდაუწუმ ჩამჩიჩინებთ, მიყვარხარო. ეს იმას ნიშნავს, რომ მეც გადამიღებთ სურათებს. ადრე თუ გვიან, თქვენს მეთოდს საკუთარ ტყავზე გამოვცდი.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა.

– არ გწყდებათ გული, რომ ამ ფოტოებს ვერავინ იხილავს?

– გული რომ მწყდებოდეს, არ დავმალავდი. თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ყველაზე საძაგელი მომენტი ურთიერთობაში მაშინ დგება, როცა დასათვალიერებლად საოჯახო ალბომს გადმოგიღებენ.

– ეს მოსაწყენი მხოლოდ მაშინ არის, როცა მთელი საგვარეულოს ფოტოებს მოგაყრიან. თქვენს შემთხვევაში კი მხოლოდ რვა ცალზეა ლაპარაკი.

– რვა შანსი რვა სისულელის მოსასმენად.

– იქნებ მე ვარ იდეალური დამთვალიერებელი?

– ასეც რომ იყოს, რას მომცემს ეს?

– როგორ რას? გარეშე ადამიანის აზრს თქვენს შემოქმედებაზე. ეს ხომ ნებისმიერი ხელოვანისთვის აუცილებელია.

– არა, ყველაზე ნაკლებად ეს ხელოვანს სჭირდება. ამ ხელოვნებას იდუმალება უფრო უხდება. მუსიკოსი ან ქორეოგრაფი დაიტანჯება, თუ თავის ხელოვნებას პუბლიკას არ გაუზიარებს. მწერლები გიჟდებიან, როცა მკითხველები მათ ტექსტებზე ლაპარაკობენ. ფოტოგრაფი ნამდვილ სიამოვნებას

მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისგან იღებს. დიახ, საკუთარი მზერა მისთვის ყველაზე ძვირფასია.

– ეს რა აუტისტური აღქმაა ფოტოხელოვნებისა!

– ყველა ფოტოგრაფი აუტისტია. ეს შეგნებული რომ ჰქონდეთ, არაერთ ვერნისაჟს აგვაცილებდნენ.

სატურნინმა ჭამას თავი დაანება და შეფიქრიანდა.

– თუ აკრძალვა მხოლოდ იმ რვა ქალს ეხება, მაშინ გკითხავთ: სასჯელი ფოტოების ნახვაა?

– სხვისი ფოტოების ნახვა ყოველთვის სასჯელია.

– ნუ იცავთ თავს ბანალური ფრაზებით. მე მინდა ვიცოდე, საშიშროება ფოტოგრაფიის მიღმაა თუ თვით ფოტოგრაფიაა მუქარა?

– თქვენ ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობთ. თქვენ რა, ხელოვნებათმცოდნეობას ხომ არ აპირებთ?

– დარწმუნებული ვარ, მშვენივრად გაიგეთ, რისი თქმაც მსურს.

– თქვენ ჩემს გონებრივ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ. ფოტოგრაფიას ინტუიციურად მივდევ. მხოლოდ ის ვიცი, რომელი გრძნობა უნდა გავაღვიძო ჩემში.

– ხშირად შედიხართ ბნელ ოთახში, რათა თქვენი ქმნილებების ცქერით დატკბეთ?

– არა.

– გამოდის, ამ ფოტოებს ვერავინ ხედავს.

– ვინ გითხრათ, რომ ფოტოს მაყურებელი სჭირდება?

– თუ ასეა, ნურც გაამჟღავნებთ.

– არა, ერთმა დიდმა ფოტოგრაფმა განავითარა ეს თეორია. რა ერქვა იმ კატალონიელს, რომელიც ამბობდა: „მე ვიცი, რომ კადრი უკვე გადაღებულია. მე იმდენი ვიმუშავე მის დაყენებაზე, რომ აღარ მჭირდება იმის დანახვა, თუ როგორ გამოიყურება“?

– ციფრული ფოტოგრაფიის წინამორბედი ყოფილა.

– ვერ გავიგე...

– ციფრულ ფოტოგრაფიაზე არასდროს არაფერი გსმენიათ?

– და რას ნიშნავს ეს?

– თქვენ უმეცრებაშიც მშვენივრად გრძნობთ თავს. კომპიუტერი გაქვთ?

– არა.

– მობილური ტელეფონი?

– რაში მჭირდება? მე არასდროს გავდივარ სახლიდან.

– მუსიკას ხომ უსმენთ, რას იყენებთ მოსასმენად?

– ნიბალ ი მილკარების ვინილის ფირფიტების კოლექცია ჯერ კიდევ შესანიშნავ მდგომარეობაშია!

– გაითვალისწინეთ, რომ ვინილის ფირფიტები ისევ მოდური ხდება. DVD-ის უყურებთ?

– ჩემს მშობლებს ჰქონდათ ტელევიზორი. შევინახე, სხვათა შორის. ზედგამოჭრილია „სალამანკელი მადონების“ კოლექციის შემოსაწყობად.

– რა კავშირია DVD-ისა და ტელევიზორს შორის?

– მაინცდამაინც კავშირი უნდა დაინახოთ?

– მოსწრებული პასუხია. სანამდე გაგრძელდება ეს კუკუდამალობანა?

– 1991 წლიდან გარეთ ცხვირი არ გამიყვია. ათვლის წერტილად ეს პერიოდი მივიჩნიოთ.

– ოთხმოცდათერთმეტში და უფრო ადრეც უამრავ ადამიანს უკვე ჰქონდა კომპიუტერი.

– გრანდები მათ გარეშეც გადასარევად გრძნობდნენ თავს.

– გრანდები... კარგი, თავი დავანებოთ ამას. თანამობინადრეები ამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ერთმანეთს რომ ენაცვლებოდნენ, სარგებლობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებით?

– მათ არაფერი ეკრძალებოდათ.

– არ უცდიათ თქვენც ეზიარებინეთ?

– შესაძლოა. შეიძლება მე ვერ მივხვდი, რას მთავაზობდნენ.

– რომელი მარკის ფოტოაპარატი გაქვთ?

– „ჰასელბლადის“. ფირების დიდი მარაგი მაქვს. მოხმარებით, ცხადია, ძალიან ცოტას მოვიხმარ.

– ეს აპარატი ცნობილია ხანგრძლივი დაყოვნებით, ასე არ არის? ძნელია ამ აპარატით მუშაობა პორტრეტული გადაღებისას.

– მართალია, მაგრამ რვა სეანსში შესაშურ პროგრესს მივაღწიე.

სატურნინს ყელში ნერწყვი გაეჩხირა და ხველება აუტყდა, რომელიც სლოკინით დააგვირგვინა.

– მხოლოდ რვა სეანსი მთელი სიცოცხლის განმავლობაში? ესე იგი, თქვენ მხოლოდ რვაჯერ გადაიღეთ?

– ღილაკს მხოლოდ რვაჯერ დავაჭირე თითი.

– ფოტოგრაფიისა არაფერი გამეგება, მაგრამ ღილაკზე მე უფრო ხშირად დამიჭერია თითი.

– შეიძლება ამის გამოც არაფერი გაგეგებათ ფოტოგრაფიისა. თქვენ არ გქონდათ გააზრებული ამ ჟესტის მნიშვნელობა. ნებისმიერ დისციპლინაში მთავარია ასკეზა.[17] მას, ვისაც წერა გადაუწყვეტია, ცოტაოდენი ქაღალდი უნდა მისცე; დამწყებ მზარეულს მხოლოდ სამი ინგრედიენტი უნდა შესთავაზო. დღეს ათასი ჯურის დებიუტანტს თავზე საყრელად აქვს სხვადასხვა საშუალება. ეს მათ დიდ სამსახურს ვერ გაუწევს.

– რვა ქალი ცოტა კი არ არის.

– სიყვარულისთვის თუ ფოტოხელოვნებისთვის?

– ამ ორი დისციპლინიდან, რომელია თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

– მე მიჭირს მათ შორის ზღვრის გავლება. მე რომ მკითხოთ, სიყვარულის მიზანია, საყვარელ ქალს ხორცი შეესხას ერთადერთ აბსოლუტურ ფოტოში. ფოტოგრაფიის მიზანია ერთადერთ ფოტოში წარმოაჩინო სიყვარული, რომელსაც განიცდი.

– თქვენ იმ რვა ფოტოს ნახვის სურვილს უფრო და უფრო მიმძაფრებთ.

– თქვენ მათ ვერ ნახავთ.

– თქვენ გიყვარვართ. თქვენ მე გადამიღებთ. ყოველ შემთხვევაში, გავიგებ, როგორ აკეთებთ ამას.

მასპინძელმა ამაზე უარის გამომხატველი გამომეტყველებით უპასუხა.

– პატარა ვიყავი, როცა „პოლაროიდი“ მაჩუქეს. ეს აპარატი ყველაზე მეტად გამომადგა. რომ იცოდეთ, რა სიამოვნებაა.

– უცნაურია, რომ ამას მე მიყვებით, – უთხრა დონ ელემირიომ აღელვებული ხმით, – დედაჩემი მიღებდა ფოტოებს „პოლაროიდით“. უფლებას მაძლევდა, მე თვითონ ამომეღო სურათი, რომელიც ნელ-ნელა ამოსრიალდებოდა ხოლმე. მერე ერთად ვაკვირდებოდით მის გამჟღავნებას. არა, გამოსახულებად გარდაქმნის პროცესზე საიდუმლო მე სიცოცხლეში არაფერი მინახავს. მოლოდინში კანკალი ამიტანდა ხოლმე; ფოტოზე ვიღაც იკვეთებოდა. ჩემთვის ეს პროცესი ლიმბზე[18] კათოლიკური თეორიის მატერიალიზაცია იყო. ბავშვის სახე ნაკვთებს რომ იძენდა... მე გამოვდიოდი ლიმბიდან.

– „პოლაროიდი“ ქრისტიანული დოგმების სამსახურში – ამას მხოლოდ თქვენ თუ იტყოდით. საინტერესოა, რომელი დოგმის საილუსტრაციოდ შეიქმნა „ჰასელბლადი“?

– სულის უკვდავებისა, – უპასუხა ესპანელმა ნათქვამის უტყუარობაში დარწმუნებული ადამიანის ხმით, – და ასევე სხეულთა აღდგომის.

* * *

სატურნინს შუაღამისას გამოეღვიძა. როგორ მოუსმინა ასე მორჩილად, როგორ არ შეეპასუხა? გონება აუდუღდა და ვეღარ წყნარდებოდა. არა, ვახშმამდე მოთმინება აღარ ეყოფოდა, ვეღარ დაიცდიდა, რათა დონ ელემირიოსთვის კითხვა დაესვა.

„ბოლოს და ბოლოს, ხომ ვიცი, სადაცაა მისი ოთახი, – გაიფიქრა

სატურნინმა, – რა მიშლის ხელს, რომ ახლავე თავს დავადგე? აბა, სხვა მამაკაცი ყოფილიყო, თუ არ შემეშინდებოდა, სიტუაციით არ ისარგებლოს-მეთქი. ეტყობა, დონ ელემირიო ამ მეთოდით არ სარგებლობს.

გეგმა უსაფრთხო ნამდვილად არ ჩანდა, მაგრამ თუ არ ცდიდა, დარწმუნებული იყო, დილამდე ჭკუიდან გადადგებოდა. რისკი ნამდვილად ღირდა გარჯად. სატურნინმა ღამის პერანგზე კიმონო მოიცვა და ბნელ დერეფნებში ბოდიალს მოჰყვა. როცა ესპანელის აპარტამენტებში შეაბიჯა, ლამის საგულედან ამოვარდნოდა.

დონ ელემირიო პირაღმა იწვა. ხელები მიცვალებულივით დაეწყო. სახის ნაკვთები გასაოცრად მშვიდი და წყნარი ჰქონდა. პირღია არ ეძინა, ამიტომ მის სახეს მძინარეთათვის ჩვეული სულელური გამომეტყველება სულაც არ გადაჰფენოდა. სატურნინმა პირველად გაიფიქრა, ეს დონ ელემირიო ლამაზი კაცი ყოფილაო. თუმცა ის აქ ესპანელის მიმზიდველობისა და ახოვანების შესაფასებლად არ მოსულა, ამიტომ მასპინძელი მოურიდებლად, უხეშად გააღვიძა.

დონ ელემირიომ შუქი აანთო და საწოლზე წამოჯდა: სტუმარმა შენიშნა, რომ კაცს ისეთი თეთრი ღამის პერანგი ეცვა, როგორშიც მამაკაცებს უხსოვარ დროში ეძინათ.

მოულოდნელობისგან გაოგნებულმა ესპანელმა კედლის საათს შეხედა:

– რას აკეთებთ ჩემს ოთახში ღამის ორ საათზე? იცით თუ არა, რომ ნებისმიერ სხვა მამაკაცთან მსგავსი საქციელით თავს დიდ საფრთხეში ჩაიგდებდით?

– მგონი, თქვენთან სრულიად სხვა ხასიათის საფრთხეში ვიგდებ თავს. გუშინ სუფრასთან თქვენ სხეულის აღდგომაზე ლაპარაკობდით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სამოთხეში ადამიანი ახალგაზრდობის სხეულში აღდგება?

– ღამის ორ საათზე იმიტომ გამაღვიძეთ, რომ ქრისტიანულ დოგმებზე მესაუბროთ? მიპასუხეთ.

– შეიძლება ასეც ითქვას. თუმცა, რომ აღდგეს, ჯერ უნდა მოკვდეს. ხომ ასეა?

– თავისთავად ცხადია.

სატურნინი სავარძელში ჩაეშვა და ღრმად ამოისუნთქა.

– აღიარებთ თუ არა, რომ ის რვა ქალი მკვდარია?

– მე ეს თქვენთვის არ დამიმალავს.

– პირდაპირ არაფერი თქმულა, ჩვენ მხოლოდ გაუჩინარებაზე ვსაუბრობდით.

– ჩემთვის პირდაპირ რომ გეკითხათ, გიპასუხებდით.

სატურნინმა ხორცის ასაქნელი დანა, რომელიც სამზარეულოდან საგანგებოდ წამოიღო, ჰაერში ასწია.

– მთელ სიმართლეს ნუ გადმომილაგებთ, თორემ ამის დანიშნულებისამებრ გამოყენებას არაფერი უდგას წინ.

– ერთი ამას დამიხედეთ, არ დამიწყო ორიგინალურის გათამაშება. ჩვეულებისამებრ, ადამიანებს იარაღით ემუქრებიან, რათა ყველაფერი ჩამოყაჭონ. თქვენ პირიქით მოქმედებთ. თუ არაფრის შეტყობა არ გინდოდათ, რაღაზე გამაღვიძეთ ღამის ორ საათზე?

– მინდოდა, გამეგო, ის ქალები ნამდვილად მკვდრები არიან თუ არა.

– მათ გამო ძალიან დამწუხრებული ჩანხართ. რისი იმედი გქონდათ?

– იმის, რომ ქალებმა აკრძალულ ოთახში ისეთი საშინელი რამ ნახეს, რომელსაც ვერ გაუძლეს, და ვიფიქრე, ამიტომ გაუჩინარება ხომ არ ამჯობინეს-მეთქი.

– თქვენს ნათქვამში არის ჭეშმარიტების მარცვალი.

– მაგრამ არა სრული ჭეშმარიტება. ხომ ასეა?

– ნამდვილად.

სატურნინმა ხელები სახეზე აიფარა. დანის ბასრი პირის ლოყაზე შეხებამ ის შავბნელ რეალობას დააბრუნა.

– გამოდის, უდანაშაულო არ ხართ.

– თქვენ ჩემი უდანაშაულობა გსურდათ? მადლობას მოგახსენებთ.

ესპანელს სახეზე მომაჯადოებელი ღიმილი გადაეფინა. სატურნინს ზიზღი მოერია.

– თქვენ კიდევ გაქვთ შანსი უდანაშაულოდ წარმომიჩინოთ თავი, ოღონდ ერთი პირობით, თუ იმ ქალებმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.

– თვითმკვლელობა დანაშაულია! – გააპროტესტა ესპანელმა.

– შესაძლოა, მაგრამ ეს არ იქნება თქვენი ჩადენილი დანაშაული.

– არ მოგცემთ უფლებას დანაშაულში ამხილოთ ქალები, რომლებიც მიყვარდა და დღემდე მიყვარს.

– როგორ გიხდებათ მათი დამცველის როლში ყოფნა, – შეუბღვირა სატურნინმა.

– იმ ქალების რეპუტაციის დაცვა, რომლებიც დავხოცე, პრინციპის საკითხია. ისინი ხომ სწორედ ჩემ გამო თავად ვერ გაიმართლებენ თავს.

– როგორ მინდოდა, მკვლელი არ გამომდგარიყავით. მაგარი იდიოტი ვარ, ნამდვილი იდიოტი. თანამედროვე სტილის. ამას წინათ გამოვიდა მსოფლიო ბესტსელერი, სადაც გვიმტკიცებენ, რომ თურმე არსებობენ როგორც ბოროტი, ასევე კეთილი და სრულიად უცოდველი ვამპირები. ადამიანებს არ მოსწონთ, როცა უმტკიცებ, ქვეყნად ბოროტება არ არსებობსო. არა, რას ამბობთ, ეს ბოროტები ნამდვილი ბოროტები კი არ არიან, სიკეთის ქმნა მათაც მოსწონთო, გიმტკიცებენ. როგორ დავკნინდით ადამიანები. ისე დავეცით, რომ ვეღარასდროს გავიმართებით წელში. კრეტინები ვართ, აბა, რა, როცა ამ ყველაფერს ვყლაპავთ, მეტიც, აღფრთოვანებას ვეღარ ვმალავთ ამ დებილური თეორიების გამო. მეც კინაღამ გამოვტვინდი, როგორც ბევრი სხვა.

– ყოველ შემთხვევაში, კეთილშობილური მიზეზი გქონდათ, რომ თავი ილუზიებით გამოგეკვებათ.

– შეყვარებას თქვენ კეთილშობილურ მიზეზს უწოდებთ? – შეჰყვირა განრისხებულმა სატურნინმა.

– გიყვარდეს ვინმე ყოველთვის კეთილშობილურია.

– კმარა სისულელეების როშვა!

– შეიძლება ბოროტებაც გიყვარდეს. რა დიდი გაგება უნდა ამას?

– გაჩუმდით! – იკივლა ქალმა და დანა მოიქნია.

– იმის მტკიცება, რომ მე ბოროტების განსახიერება ვარ, სულ ცოტა, გადაჭარბებული მეჩვენება.

სატურნინი საწოლს მიუახლოვდა და დანის წვერი ესპანელს პირდაპირ ყელზე მიაბჯინა.

– გიბრძანებთ, ხმა ჩაიკმინდოთ!

– რა ჩემი ბრალია, თუ თქვენი საქციელი ასე აღმაგზნებს.

– მიპასუხეთ მხოლოდ მაშინ, როცა შეგეკითხებით. ისე ხმა არ გავიგო თქვენი.

– ისე, ვისურვებდი, გეთქვათ, რა გსურთ იცოდეთ და რა არა?

იმის დასამტკიცებლად, რომ არ ეხუმრებოდა, სატურნინმა ესპანელს საფეთქელზე დანა მსუბუქად ჩამოჰკრა და დანის დასისხლიანებული მჭრელი პირი ცხვირწინ გაუქნ- გამოუქნია. მონუსხმულმა დონ ელემირიომ წაიდუდღუნა:

– შევერცხლილი ჭიაფერი – მეორე ალიანსი ჩემს რჩეულ ფერთა სიაში.

ქანცგაწყვეტილი სატურნინი გასისხლიანებული დანით საწოლზე ჩამოჯდა.

– ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს უბიწოება წამართვით.

– ცრუობთ, თქვენ ისინი არ დაგიხოცავთ. თქვენ ეს არ შეგიძლიათ.

– მოკვლა ნებისმიერს შეუძლია.

– სისხლით მოსვრილი დანისპირი თქვენ არასდროს გინახავთ, ეს აშკარაა.

– მათ ვერაფერს ვავნებდი. უბრალოდ, არ შემეძლო. ფოტოსეანსისთვის მათი ინტაქტურობა მჭირდებოდა. ისინი უვნებელნი უნდა ყოფილიყვნენ.

– მკვდრებს გადაუღეთ სურათი?

– ცოცხალი ადამიანის გადაღება მეტისმეტად ძნელია. ერთ პოზაში ვერ გააჩერებ, სულ მოძრაობს.

– აი, თურმე რატომ არ გიშლიდათ ხელს „ჰასელბლადის“ ხანგრძლივი დაყოვნება!

– ხომ ხედავთ, ნებისმიერ ტექნიკურ შეფერხებას შეიძლება გამოსავალი მოეძებნოს.

სატურნინმა წარბი შეიკრა და სელის ზეწარზე დანის მჭრელი პირით კაკუნს მოჰყვა.

– რა ინტერესია მიცვალებულის გადაღებაში?

– ხელოვნების როლი ბუნების შევსებაში მდგომარეობს, ბუნებისა კი – ხელოვნების მიბაძვაში. სიკვდილი ის ფუნქციაა, რომელიც ბუნებამ გამოიგონა, რათა ფოტოგრაფიისთვის მიებაძა. ხოლო ადამიანებმა ფოტოგრაფია იმიტომ შექმნეს, რათა ის ბრწყინვალე სტოპ-კადრი დაეფიქსირებინათ, გარდაცვალების მომენტი რომ ჰქვია. უპრიანი იქნებოდა დაფიქრება, თუ რა აზრის მატარებელი იყო სიკვდილი ნისეფორ ნიეპსის[19] გამოჩენამდე.

– ახლა ვხვდები, რატომ არ მინდოდა თქვენი აღსარების მოსმენა. აუტანელი თვითკმაყოფილებით შეგიძლიათ ნებისმიერი რამის აღიარება. როგორ დახოცეთ ისინი?

– ბნელ ოთახში არის ერთი მექანიზმი, რომელიც შესვლამდე უნდა გაითიშოს. თუ მექანიზმი არ გამოირთვება, კარი ავტომატურად დაიკეტება და კომპრესორი ჩაირთვება, რის გამოც ოთახის ტემპერატურა მინუს ხუთ გრადუსამდე დაეცემა.

– ისინი სიცივისგან დაიხოცნენ. თქვენ წარმოუდგენლად სასტიკი ადამიანი ხართ.

– ვაღიარებ, რომ მკვლელობა სიამოვნებისმომგვრელი ნამდვილად არ არის. ძალიან ვწუხვარ. ჰიპოთერმია სხეულს არ აზიანებს.

– ეს რა ნარცისიზმია! სიკვდილით დასაჯო ადამიანი იმის გამო, რომ შენი ფოტოები დაათვალიერა.

– საკუთარი ფოტოების ჩვენება უფრო მეტი თავმომწონეობაა.

– ოდნავ მაინც თუ გაქვთ წარმოდგენილი, როგორ აწამეთ ის ქალები, რომლებიც ვითომ გიყვარდათ? სიცივით გამოწვეულ სიკვდილზე უარესი შეიძლება რამე იყოს?

– ის ქალებიც მარწმუნებდნენ, რომ ვუყვარდი. განა დასაშვებია საყვარელი ადამიანის საიდუმლოს უპატივცემულობა?

– თქვენ არ ხართ ის ადამიანი, რომელიც პატივისცემას იმსახურებს.

– სამაგიეროდ, ჩემი საიდუმლო იმსახურებს. ნებისმიერი საიდუმლო იმსახურებს პატივისცემას.

– რატომ?

– საიდუმლოს უფლებას ვერავის წაართმევ.

– ეს რამხელა პათეტიკა იფრქვევა მკვლელის პირიდან!

– მკვლელი თავიდან როდი ვიყავი. უბრალოდ, ვიყავი ადამიანი, რომლისთვისაც საიდუმლო ძვირფასზე უძვირფასესია.

– მკვლელი თქვენ ჯერ კიდევ როდის იყავით. თქვენ დახოცეთ მშობლებიც.

– გაჩუმდით. თქვენ იცით, რომ სიმართლეს ვამბობ. მე არ დამიხოცავს მშობლები.

– დავუშვათ, არ დაგიხოცავთ. არა მგონია, ამას დღეს თქვენთვის მნიშვნელობა ჰქონდეს.

– არა, ცდებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია. როცა მელენს ჩემი საიდუმლო გავანდე, მე სუფთა ვიყავი. ჩემი სიტყვები იმსახურებდა ანგარიშის გაწევას... და მერე დედ-მამის მოკვლა უბრალოდ ესთეტიკური შეცდომა იქნებოდა.

სატურნინმა ისევ მიაბჯინა დონ ელემირიოს დანა ყელზე, მაგრამ ამჯერად არ დაუჭრია. ესპანელი მოთმინებით დაელოდა, სანამ განრისხებული თანამობინადრე დამშვიდდებოდა და დანას გასწევდა. შემდეგ ყელსა და კეფაზე მოისვა ხელი.

– კინაღამ გავათავე, – ამოიოხრა კაცმა, – რას მიპირებთ?

– არც არაფერს. არ ვაპირებ პოლიციაში თქვენს დასმენას. არა

ვარ ასეთი ადამიანი. მაგრამ... მაგრამ აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ჯერ ერთი, სულაც არ მეშინია თქვენი, და მეორე, ჩემი აქ ყოფნით ხელს შეგიშლით ახალი თანამობინადრის შემოტყუებაში. სანამ აქ ვცხოვრობ, ვერც ერთი ქალი ვერ გახდება თქვენი მსხვერპლი.

– თქვენ შემდეგ ვერავის შევიყვარებ.

– განსაკუთრებით საზიზღარი და საძაგელი მაშინ ხართ, როცა ამაზე ლაპარაკობთ. პირწავარდნილი ჰენრი VIII ხართ.

– როგორ ბედავთ ტიუდორების იმ გაუთლელ და უხეშ ნაშიერს შემადაროთ?

– იქნებ საკუთარ თავს დაუსვათ კითხვა, რატომ ვბედავ? თქვენი აზრით, რა დასკვნა უნდა გამოიტანოთ ამ შედარებიდან?

– ეს უსამართლობაა. მისი მოტივაციები უკიდურესად ვულგარული იყო.

– გინდათ თქვათ, რომ თქვენი კეთილშობილებითაა აღბეჭდილი.

– ბედნიერი ვარ, რომ ეს თქვენგან მესმის.

– მეზიზღებით. გულს მირევთ. იმედია, აქ დარჩენით ოდნავ მაინც გაგიმწარებთ სიცოცხლეს.

– თითქმის შიშველ ტანზე კიმონომოცმული ღამის ორ საათზე ჩემს ოთახში შემოვარდნით, ცივი იარაღის ტრიალითა და დამუქრებით, მერწმუნეთ, სიცოცხლეს ვერაფრით ვერ გამიმწარებთ. ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს.

განრისხებული სატურნინი ოთახიდან გავარდა. დანა სამზარეულოს კარადაში შეინახა, მერე მაცივრიდან რძე გამოიღო, ჭიქა გაალიცლიცა და სულმოუთქმელად გამოცალა. მის გაღიზიანებას მაინც არაფერი ეშველა.

* * *

„ვახშმობა მამაკაცთან, რომელსაც ღამით კინაღამ დანა გავუყარე ყელში, ხიბლს მოკლებული არ უნდა იყოს“, –

გაუელვა თავში სატურნინს, როცა პლექსიგალასის მაგიდას უნდა მისჯდომოდა.

– მშრალი „კრუგ გრან კიუვე“ ამ საღამოსთვის აუცილებელიც კი იყო. მე ასე ვფიქრობ, – გამოაცხადა დონ ელემირიომ.

– შესანიშნავია. გუშინ საღამოს შამპანურისთვის პირი არ დაგვიკარებია და ხომ ნახეთ, რაც მოვიმკეთ.

– მე ვერაფერს დამაბრალებთ. ჯერ კიდევ როდის მოგიწოდეთ სურვილების გამოხატვისკენ.

– ასეც მოვიქეცი, მაგრამ ჩემებურად.

– თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მომეწონა. დილამდე ანგელოზივით მეძინა.

დონ ელემირიომ ფუჟერები გაავსო და ორივემ ოქროს დღეგრძელობისა დალიეს.

– ასეთი სიმშვიდე მხოლოდ საუკეთესო ხარისხის შამპანურმა თუ შეიძლება მოგგვაროს, – ამოიოხრა სატურნინმა.

– საბრალო პატარა, თურმე სიმშვიდე სჭირდება. ჰოდა, გონივრულად მოვქცეულვარ. მე მოვამზადე დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი სიმშვიდისა და შვებისმომგვრელი კერძი – ერბოკვერცხი.

– ისევ კვერცხი?

– ერთი კვირა მიიწურა მას შემდეგ, რაც კვერცხი არ გვიჭამია. კვერცხი ჩემი ახირებაა. რომ მიმიშვას კაცმა, ამის მეტს არაფერს გეახლებოდით. ოცი წლისამ ერთი ექსპერიმენტი ჩავატარე: გადავწყვიტე, ორი კვირა მხოლოდ კვერცხი ად ლიბიტუმ[20] მეჭამა. ჩემი ყოველდღიური ექვსი კვერცხი პირდაპირ ტრანსში მაგდებდა. სამწუხაროდ, კვირის თავზე იძულებული გავხდი, ექსპერიმენტი შემეჩერებინა: სახეზე წითელი ალერგიული ლაქები გამომაყარა.

ესპანელმა სუფრაზე თითქმის შეუმწვარი ერბოკვერცხით პირთამდე სავსე ორი ღრმა თეფში გამოიტანა და სატურნინმა გუნებაში აღიარა, რომ ეს პირსისხლიანი მკვლელი იმავდროულად შეუდარებელი მზარეულიც იყო.

– არ შეგიძლიათ რამე ნორმალურად გააკეთოთ?

– ვერ გავიგე...

– ნაცვლად იმისა, ოცი წლისას გოგოებში გერბინათ, კვერცხებით სკდებოდით? მოწიფულობაში კი ქალებს ყინავდით, რათა მათთვის სურათები გადაგეღოთ?

– თქვენ ყველაფრის საოცრად გამარტივება გჩვევიათ. თუმცა, შეიძლება მართალიც იყოთ. ზოგჯერ ქუჩაში ულამაზეს გოგონებს გადავეყრებოდი ხოლმე. როგორც კი წარვუდგებოდი, ისინი სიცილით იხოცებოდნენ. პირველ შეხვედრაზევე შინ მიპატიჟების მერიდებოდა, ამიტომ ეკლესიაში წირვის მოსმენას ვთავაზობდი; მეგონა, ეს უფრო მართებული იყო, მაგრამ მაშინვე ზურგს შემომაქცევდნენ და გარბოდნენ.

– წვეულებაზე ან საღამოებზე თუ დადიოდით?

– დიახ... და ეს საშინელება იყო. გამაძლიერებლების ხმაურს ვეღარ ვუძლებდი. ნახევარ საათში იქიდან გავრბოდი. ვერც ვერასდროს გავიგე, როგორ იტანდნენ ადამიანები ამ გნიასს. მოკლედ მოვჭრი – კაცად 26 წლის ასაკში ვეკურთხე თანამობინადრეობის წყალობით.

– ემელინთან არა, თუ კარგად მახსოვს?

– დიახ, ეს იყო ემელინი, დასავლეთის მარგალიტი.

სატურნინმა შამპანური მოსვა და თქვა:

– იმხანად, ალბათ, ფოტოებს ჯერ კიდევ არ იღებდით და არც ბნელ ოთახში მალავდით საიდუმლოს. რატომ მოკალით ემელინი?

– ბნელი ოთახი მაშინ აბსოლუტური საიდუმლოს საბრძანებელი გახლდათ. ემელინმა აღმოაჩინა ის და ამიტომაც მოკვდა.

– გამოდის, ბნელი ოთახი რვა ფოტოს გარდა კიდევ რაღაცას მალავს.

– არა.

– ვერ გაგიგეთ...

– როცა ემელინი საცხოვრებლად აქ გადმოვიდა, გაგიჟებით

შემიყვარდა. ეს მდგომარეობა ჩემთვის იქამდე უცნობი იყო. ბობოქარმა გრძნობამ დამიმონა, სპაზმები დამეწყო. მე განმარტოება მჭირდებოდა. მხოლოდ ერთი ოთახი იყო ცარიელი. კედლები და კარი შიდა მხრიდან შავად შეღებე და იქ განვმარტოვდებოდი ხოლმე. მხოლოდ ერთ ნათურას ვანთებდი. მე არსად არ ვიყავი, მე უმყოფობა შევქმენი. არაარსებობა და მივხვდი, რომ ეს აღმოჩენა არავისთვის არ უნდა გამეზიარებინა. ამიტომაც დავაყენე ავტომატური საკეტი კრიოგენური მექანიზმით. დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი ამუშავების აუცილებლობა არასდროს დადგებოდა. ფრიად სამწუხარო შეცდომა დავუშვი. ის-ის იყო, ემელინს საიდუმლო გავანდე, რომ ის უკვე გარბოდა მის ამოსახსნელად.

– ხომ შეიძლებოდა თქვენი აღმოჩენა ვინმესთვის გაგეზიარებინათ?

– ასეთი იყო ჩემი სურვილი.

– რატომ?

– სურვილისთვის კითხვა „რატომ“ არ არსებობს.

– ემელინი ხომ ის ქალი იყო, რომელიც გიყვარდათ.

– მე ის ისევე მიყვარს, როგორც უწინ.

– დავუშვათ ეს ბნელი ოთახი თქვენ სიამოვნებას განიჭებდათ. რა შეიძლება იმაზე ბუნებრივი იყოს, რომ კაცმა თავისი სიამოვნებანი საყვარელ ადამიანს გაუზიაროს?

– ეს არ ეხება ყველა სიამოვნებას.

– კიდევ ერთხელ დავუშვათ, მაგრამ სიკვდილით დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაგემორჩილათ?

– მე კიდევ ერთხელ გიმეორებთ – სიკვდილის მექანიზმის დამონტაჟებისას არც კი გამივლია გულში, რომ ის ოდესმე ჩაირთვებოდა.

– აშკარად შეცდით. ამ მექანიზმმა რვა ქალი გამოასალმა სიცოცხლეს. ერთის სიკვდილი განა საკმარისი არ იყო იმის მისახვედრად, რა ხდებოდა?

– ვხვდები, რისი თქმაც გსურთ.

– გასაგებია, რომ ხვდებით, მაგრამ ეს პასუხისგან არ გათავისუფლებთ.

– მე არ შემეძლო სიკვდილის მექანიზმზე უარის თქმა, რადგან ძალიან სჭირდებოდა ჩემს სიამოვნებას. ეს აუცილებლობა უსაფრთხო როდია. როცა გადაწყვეტ, საკუთარი თავი მიიღო ისეთი, როგორიც ხარ, მაშინ უნდა აღიარო მონარქიც, რომელიც შენში ბინადრობს. ემელინი მთელი არსებით მიყვარდა და მიყვარს. ჩემში ჩაბუდებულ ტირანსაც თავდავიწყებით უყვარდა. მეტსაც გეტყვით, ამ შეყვარებული ტირანის წყალობით მეც მგზნებარე მიჯნურად გარდავიქმნები.

– რომელსაც შეუძლია მკვლელობასაც მოაწეროს ხელი.

– მათ ბნელ ოთახში შესვლას არავინ აიძულებდა.

– დავუბრუნდეთ პირველ შემთხვევას. მომიყევით, როგორ და რა ვითარებაში შეიტყვეთ ემელინის სიკვდილი?

– კვირა დილა იყო. წირვიდან ვბრუნდებოდი, ამაღლებულ განწყობაზე გახლდით. როგორც ყოველ ცისმარე კვირას, მინდოდა, ემელინი ამბორით გამეღვიძებინა, მაგრამ ლოგინი ცარიელი დამხვდა. დავუძახე. არ გამომეხმაურა. ვიფიქრე, ალბათ, სადმე გავიდა-მეთქი, ავიღე ლულიუსის „Ars Magna“, წამოვწექი და კითხვას შევუდექი. პირადად მე ლათინურ ენაზე კითხვას ვამჯობინებ. სამწუხაროდ, მე არაბულად ვერ ვკითხულობ. ამ ავტორის კატალონიური ბრწყინვალეა, მაგრამ მე ის კატალონიელი ვარ, რომელმაც ესპანელობა არჩია. „Ars Magna“ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნია. ვერც ერთი ტექსტი ვერ გადმოცემს ასე ოსტატურად და დახვეწილად იმას, რასაც ამაღლებული და უზენაესი ჰქვია; კანტმა დაწერა „ტრაქტატი ამაღლებულზე“ – სათაური გრანდიოზულია, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინს ვერ ამართლებს. ალქიმიის მცოდნე ლულიუსი კი გაბედულია და ამ თემაზე გასაოცარი სითამამითა და სიზუსტით მსჯელობს. მე მზად ვარ კიდევ ათასჯერ გავიმეორო, რომ ალქიმია ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული მისტიკური მიგნებაა. მოკლედ, ნაშრომს მთელი ხუთი საათის განმავლობაში ვერ მოვწყდი.

სატურნინმა თვალები დახუჭა და თქვა:

– როგორც ვხვდები, თქვენ შეგეძლოთ ემელინი სიკვდილისგან გეხსნათ. ადამიანი ღამის პერანგის ამარა მინუს ხუთ

გრადუსზე მყისიერად არ კვდება. ლულიუსის კითხვას რომ შელეოდით და დროზე დაგეწყოთ ძებნა, ემელინს ყინულის მარწუხებს გამოგლეჯდით. თქვენ გონს მხოლოდ ხუთსაათიანი კითხვის შემდეგ მოეგეთ. ამ დროისთვის საწყალი, ცხადია, უკვე მკვდარი იყო.

– მართალია. მე იმდენად დიდ პატივს ვცემდი ემელინს, რომ ფიქრადაც კი ვერ გავივლებდი, ასეთ უხეშ შეცდომას თუ დაუშვებდა. დღის პირველი საათი იქნებოდა, როცა შიმშილმა ლულიუსს მომწყვიტა. მოულოდნელად ემელინის არყოფნამ ამაღელვა. მთელი სახლი გადავაქოთე, სანამ ბნელ ოთახზე ვიფიქრებდი. როცა კარი შევაღე, მისი ცხედარი იატაკზე ეგდო. საშინელებისა და უსასოობისგან შევბღავლე. ხელში ავიყვანე და საწოლზე დავასვენე. ახლა უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მკვდარი იყო: მისი სხეული უსულო და უმოძრაო იყო. შეიძლება ის დაბალი ტემპერატურისგან გაიყინა. უნდა ვაღიარო, რომ ემელინი ასეთი ლამაზი არასოდეს მინახავს. მისთვის ღამის პერანგის გახდა არ გამჭირვებია, თუმცა სხეულის სიმკვრივის გამო გამიძნელდა გვამისთვის დღისფერი კაბა ჩამეცვა, რომელიც საგანგებოდ მისთვის შევკერე. შემდეგ „ჰასელბლადის“ მოსატანად წავედი და სიცოცხლეში პირველი ფოტოც გადავიღე. უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილი შედევრი გამომივიდა. ემელინის პორტრეტზე აღბეჭდილი სილამაზე ნებისმიერი თამამი წარმოსახვის შესაძლებლობებს სცილდება. ასეთი ფოტო რომ გამოგივა, შეიძლება გაღებული საზღაური აღარც ინანო. ფოტოპორტრეტი ბნელი ოთახის კედელზე დავკიდე, რომელიც უკვე აღარ იყო ჩემი საიდუმლო არყოფნის ადგილი. თუმცა ხშირად შევდიოდი, რათა განმარტოებულს ემელინი მყვარებოდა.

– თუ მკაცრად შევაფასებთ ყველა დეტალს, ასეთ სიკვდილს შეიძლება უბედური შემთხვევა ვუწოდოთ.

– მე ვერ მივცემდი ასეთ კვალიფიკაციას. ვერც სხვა სიკვდილებს, რომლებიც მოჰყვა.

– მიამბეთ.

– მიხარია, რომ უარს არ ამბობთ ჩემს მოსმენაზე. ემელინის გარდაცვალებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ ისევ გაიღვიძა ჩემში ქალისკენ ლტოლვამ და ისევ გამოვაქვეყნე განცხადება თანამობინადრეობაზე. დაინტერესებულთა შორის

პროზერპინაც იყო. მოხდა სასწაული. შეიძლება ითქვას, ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი. იმ ოთახში დაბინავდა, სადაც ახლა თქვენ ცხოვრობთ. ორი კვირის თავზე პროზერპინამ ჩემი სარეცელი გაიზიარა.

– ბნელ ოთახში კრიოგენული მოწყობილობა ისევ ჩართული დატოვეთ?

– დიახ.

– თქვენ ხომ იცოდით უკვე, რომ მექანიზმი მეტად სახიფათო იყო?

– მე ბუნებით დიდსულოვანი ადამიანი გახლავართ: ერთი ქალის შეცდომის გამო ვერ ვიფიქრებ, რომ ყველა ქალი დამნაშავეა.

– დიდსულოვანი? მე სხვა სიტყვას გამოვიყენებდი. დავუშვათ, თქვენ არისტოტელეს მოძღვრების ადეპტი ხართ. ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

– მომწონს, რომ არისტოტელეს მიმდევრად მიმიჩნევთ. ნუთუ ასეთი პატივმოყვარე ვჩანვარ?

– არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რაც მინდა ვიცოდე: რამდენი მერცხალია საჭირო, რომ თქვენ ბოლოს და ბოლოს გაზაფხულის მობრძანება გამოაცხადოთ.

– წინასწარ ძნელია თქმა. ვნახოთ.

– დაახლოებით რამდენ ხანს გრძელდებოდა თქვენი იდილია აკრძალულის სასიკვდილო დარღვევამდე?

– ეს წესებს არ ექვემდებარებოდა. არც ერთხელ ექვს თვეზე მეტი. არც ერთხელ სამზე ნაკლები. ერთნი უფრო მომთმენნი იყვნენ, ვიდრე სხვანი.

– სამი თვე ცოტაა გიჟური სიყვარულისთვის.

– ექვსიც. გიჟური სიყვარულისთვის ვადა არ არსებობს, ყოველთვის ხანმოკლე მეჩვენება. მე შემიძლია პროზერპინასა და ჩემი სიყვარულის ამბავს წვრილად მოგიყვეთ, მაგრამ მეშინია, თავი არ მოგაბეზროთ. სიყვარულის ამბით შეიძლება მხოლოდ ის დაინტერესდეს, ვინც თავად შეყვარებულია. სხვებისთვის ის მომაკვდინებლად მოსაწყენია.

– თვრამეტი წელი, რვა ქალი.

– გეშლებათ: ცხრა! მეცხრე თქვენ ხართ, დროებით ცოცხალი.

– თქვენი ნებართვით ჩემზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ. მაშ, რვა ქალი. უამრავი წელი, უამრავი ქალი და უამრავი სიკვდილი. არასოდეს შეგპარვიათ ეჭვი თქვენი სისტემის უტყუარობაში?

– არა.

– ამის გაგება ჩემს გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. როცა ფაქტები თეორიას უარყოფენ, მას ეჭვქვეშ აყენებენ და საბოლოოდ ზურგს აქცევენ.

– ფაქტებს ჩემი თეორიისთვის წყალი ნამდვილად არ შეუყენებია. იმის გამო, რომ ყველა ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამის გამო ის ნაკლებად მძიმე ხდება.

– მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის, ვინც შეცდომას უშვებს, უნდა გაანადგურო. უცნაური კათოლიკე კი ჩანხართ.

– ეკლესიის თვალში ჩემი საქციელი დაცვას არ ექვემდებარება.

– მართლა? და თქვენ მის შეცვლას არ აპირებთ?

– მე ჩიხში მოვექეცი.

– რა გიშლით ხელს, რომ ეს სიკვდილის მანქანა გამორთოთ?

– არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს მართებული იქნება.

– და რამდენი ქალი უნდა დახოცოთ, რომ ამაში დარწმუნდეთ?

სანამ პასუხს გასცემდა, დონ ელემირიომ გულიანად გადაიხარხარა.

– თქვენ თვითონ უნდა მიმხვდარიყავით.

– თქვენი გამოცანები ნერვებს მიშლის.

– აუტანელი ხასიათი გაქვთ, როგორც ყველა იმათ, ვისაც ეშინია.

– უპასუხეთ ჩემს კითხვას.

– ჩემი ვარაუდით, ცხრაზე მეტი არ უნდა დამჭირდეს.

– თქვენი არ მჯერა. ალბათ, ყოველ ჯერზე ამბობდით, ეს უკანასკნელიაო.

– დარწმუნებით რაღაცის თქმის საშუალება არასდროს მომცემია, თქვენთან კი, დარწმუნებული ვარ, მექნება.

– მართლა ფიქრობთ, რომ ჩემ შემდეგ ვერავის შეიყვარებთ?

– კი არ ვფიქრობ, ვიცი.

– საიდან?

– პასუხის გაცემა თქვენი გონიერების შეურაცხყოფა იქნება. ამჯერად თქვენს ხელთაა ამ თეორიის დასასაბუთებლად აუცილებელი ყველა ელემენტი... ახლა კი ნება მიბოძეთ, პირველმა მე დაგტოვოთ, რათა სიმარტოვეში ფიქრის საშუალება მოგეცეთ.

მარტო დარჩენილი სატურნინი შამპანურს მიეძალა და „კრუგის“ ბოთლს წირვა გამოუყვანა. თან არეულ-დარეული აზრების დალაგება სცადა. უშედეგოდ. ღრმად ამოიოხრა და ბიბლიოთეკის გზას დაადგა. „მე გამოცანა მაქვს. თუ მკვლელს დავუჯერებთ, ჩემს ხელთაა მის ამოსახსნელად აუცილებელი ყველა საშუალება. მაკლია მხოლოდ მეთოდი. მოდი, ოიდიპოსს ნუ დავემსგავსებით და შემთხვევითობას მივენდოთ“. სატურნინმა ტვინის ჭყლეტას თავი დაანება, თვალები დახუჭა და პირველივე წიგნი გადმოიღო.

როგორც კი თვალი გაახილა...

„ძველი აღთქმა“, რა თქმა უნდა, მაგრამ როგორ მივაგნო საჭირო პასუხს „დაბადებასა“ და „აპოკალიფსს“ შორის?“

სატურნინს წიგნი ხელიდან გაუვარდა. იატაკზე დაჯდა და პირველივე გადაშლილ გვერდს თვალი გადაავლო. „ქებათა ქება სოლომონისა“ აღმოჩნდა:

„მეამბოროს თავისი ბაგეების ამბორით, რადგან ღვინოზე ტკბილია შენი ალერსი!

სურნელოვანია შენი ნელსაცხებელი და თავად სახელი შენი დაღვრილი ნელსაცხებელია.

ამის გამო უყვარხარ ქალწულებს.

თან წარმიტაცე და ერთად გავიქცეთ. მეფემ შემიყვანა თავის პალატებში. ვიხარებდით და ვიშვებდით შენით, ვაქებდით შენს ალერსს ღვინოზე მეტად. ღირსად შეგიყვარეს შენ!“

სატურნინს გააჟრჟოლა.

„შესანიშნავია, მაგრამ განა ეს მიშველის? – წამში საკუთარმა ნაფიქრალმა აღაშფოთა, – თუ შესანიშნავია, აუცილებლად მიშველის, რას გვამცნობს ეს ტექსტი ყველაზე ნათლად? ტექსტი გვეუბნება, რომ უნდა გვიხაროდეს, ვზეიმობდეთ და გვიყვარდეს, არც ღვინოზე უნდა ვთქვათ უარი. ამაზე უკეთესი რაღა უნდა ინატროს კაცმა? მოკლედ, ესპანელის თავით უნდა იფიქრო. და რას ზეიმობს ის? რა ახარებს, რომელი სურნელი სიამოვნებს, რა მონატრებია? – სატურნინმა ამ კითხვებზე პასუხი ვერ იპოვა, – ვერ ვპასუხობ იმიტომ, რომ ვეძებ. როცა ეძებ, ვერაფერს პოულობ. ისე, საკითხავია, კითხვის ფორმულირება მაინც შევძელი?“

სატურნინი თავის ოთახში დაბრუნდა. დაწვა და მკვდარივით ჩაეძინა.

* * *

მეორე დღეს სატურნინმა გადაწყვიტა, ყოველი საქმე ყურადღებით და გააზრებულად ეკეთებინა. კბილის გამოხეხვასაც კი დაატანა გონება. ლექციები მთელი სულითა და გულით ჩაატარა, ერთი სიტყვით, მთლიანად დაიხარჯა. მეტროში მე-8 ხაზზე ჩაჯდა და სადგურ „ტურ-მობურზე“ ამოვიდა. აქაურობაც ყურადღებით მოათვალიერა. შემდეგ ტროტუარს აუყვა, ნაგვის ყუთთან თავი აიძულა, იქიდან გადმოფრქვეული მრავალფეროვანი სურნელები შეეყნოსა; სკვერში, როცა გრძელ სკამს გასცდა, სრულიად ბუნებრივად გაიფიქრა: „რა მიშლის ხელს, რომ ახლა აქ ჩამოვჯდე და მშვიდად დაველოდო სიკვდილს?“ მერე კი დაასკვნა, მართლა ისე არ მოვკვდე, სანამ ამ ფუნდამეტურ კითხვაზე პასუხი არ მექნებაო.

იმ დროს, როცა ნიბალ ი მილკარის ეზოში შედიოდა, სატურნინს მოულოდნელად გაუელვა თავში გამოცანის გასაღებმა. ადგილზე გაიყინა და თქვა:

„რა თქმა უნდა, ეს ხომ ადვილზე ადვილია. რად უნდოდა ამას ამდენი ტვინის ჭყლეტა?“

– მეგონა, ღამით განახავდით, მაგრამ არ მოხვედით.

– განახლება უნდა შეგეძლოს.

– სწორედ ამიტომ ავირჩიე „კრისტალ-როდერერი“.

სატურნინმა მზერა შამპანურის ბოთლზე გადაიტანა:

– ეს ყველაზე ლამაზი შამპანურის ბოთლია. აქ ვლინდება ოქროსა და ბროლის საოცარი ოსმოსი.[21]

– ტყუილუბრალოდ კი არ მიყვარხართ!

– ყოველ ჯერზე, როცა პარკში გრძელ სკამს ჩავუვლი, საკუთარ თავს ვეკითხები: რა მიშლის ხელს, რომ აქ ჩამოვჯდე და სიკვდილს დაველოდო-მეთქი.

– ლამაზი კითხვაა. და პასუხი?

– ჯერჯერობით, არ ვიცი. ყველა კითხვაზე კაცს პასუხი ვერ ექნება.

ქალმა გაიღიმა.

კაცმა თვალები გადმოკარკლა.

– ბოლოს და ბოლოს, გახსნით თუ არა შამპანურს.

– მაპატიეთ.

გაისმა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხმა: „კრისტალ-როდერერი“ საცობს გამოემშვიდობა. დონ ელემირიომ ფუჟერები შეავსო. ქალმა და მამაკაცმა ოქროს დღეგრძელობისა შესვეს.

– როგორ მივხვდე, რომ მართლაც ამოხსენით გამოცანა? – იკითხა კაცმა.

– რომ გითხრათ, შვიდს პლუს ორი ცხრას უდრის-მეთქი, ეს დაგარწმუნებთ?

კაცს გაეღიმა.

– დიახ.

– თავიდან ციფრებმა სიმართლეს ფარდა ჩამოაფარა. პირობაში შვიდიანი რომ მქონოდა, უფრო სწრაფად ამოვხსნიდი. შვიდს პლუს ცხრა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

– გისმენთ, – უთხრა კაცმა.

– შვიდი სპექტრია. კეთილი, მაგრამ თქვენ რვა ქალი მოკალით და შეიძლება ეს რაოდენობა ცხრამდე გაიზარდოს, თუ მათ რიცხვში მეც მოვიაზრები. მე სულ დამავიწყდა, რომ ჩვენს რეალობაში სპექტრი შავი და თეთრი ფერებით ბოლოვდება, რაც თქვენთვის უზენაესი სიამოვნების – ფერების არსებობას ან სრულ არარსებობას ნიშნავს.

– De gustibus et coloribus non disputandum.[22]

– ძალიანაც დავობენ. მოდი, სწორედ ფერებზე ვისაუბროთ. რა არის ფერი? შეგრძნება, რომელსაც სინამდვილის გამოსხივება შობს. რა თქმა უნდა, შეიძლება უფერებოდაც ცხოვრება, ზოგიერთი დალტონიკი ყველაფერს შავ-თეთრად აღიქვამს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გარემომცველ სამყაროზე სხვებზე ნაკლებად არიან ინფორმირებული. და მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მოკლებული არიან უზენაეს სიამოვნებას. ფერი სიამოვნების სიმბოლო კი არა, უზენაესი სიამოვნებაა. ეს იმდენად მართალია, რომ იაპონურად „ფერი“ შეიძლება „სიყვარულის“ სინონიმად იქნეს აღქმული.

– არ ვიცოდი. ძალიან ლამაზია.

– სიყვარულისას განცდილი ნეტარება ძალიან ჰგავს იმ გრძნობას, რომელიც ადამიანს საყვარელი ფერის დანახვისას ეუფლება. მე რომ უკეთ დამემახსოვრებინა თქვენი მოხსენება ტანსაცმელზე, რომელიც თითოეული ქალისთვის მოიფიქრეთ, ცხადია, შევძლებდი, როგორც კლუედოს[23] თამაშისას ხდება, თითოეული სახელის შესატყვისი ფერის მოფიქრება. მახსენდება ლურჯი მოსასხამი, თეთრი ბლუზა და ალისფერი ხელთათმანები, ჰო, კიდევ, თუ კარგად მახსოვს, ხასხასა წითელი პიჯაკი ახსენეთ, ნარინჯისფერი რომ უხდებოდა. რაც უნდა იყოს, ყვითელი ფერი – ეს მე ვარ.

– დავაზუსტებდი, რომ ცხრავე ფერი უნატიფესია. მე ყოველი ქალისთვის დამატყვევებელ, თუ შეიძლება ითქვას, გამგმირავ ნიშანს ვეძებდი. ყვითელი შეიძლება დედამიწის ზურგზე უმახინჯესი ფერი იყოს, ამიტომ საგანგებოდ თქვენთვის

ასიმპტოტური ყვითელი შევქმენი, რომლის შეუდარებელ სრულყოფილებასა და დიდებულებაში თავად დარწმუნდით. დიახ, თქვენ ხართ ყვითელი და შემთხვევითი როდია, რომ რიგის ბოლოში აღმოჩნდით: ეს ფერი თავისი არსით მეტაფიზიკურია. შავი და ყვითელი ფერების დაპირისპირება მაქსიმალური ფიზიოლოგიური კონტრასტია ადამიანის თვალის ბადურისთვის.

– ამას გარდა, ეს სპექტრის ის ფერია, რომელიც ოქროს შეესატყვისება.

– ალქიმიკოსებმა ეს შესანიშნავად გაიგეს.

– და კიდევ ეს ის არის, რაც კვერცხში სიცოცხლეს შეიცავს – თქვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება.

– სიზმარში არაერთხელ მინახავს ოქროს კვერცხის გული. წარმოიდგინეთ ეს სიზმარი: ამზადებ ერბოკვერცხს და პურის ნატეხს პირდაპირ გამდნარ ოქროში ავლებ.

– საოცარია, როგორი ექსტაზით ჰყვებით ამას. ძალიან ცოტა ადამიანი თუ რეაგირებს ფერებზე თქვენსავით. ცხრა ქალის შეყვარება თქვენთვის სავსებით ლოგიკურია. ეს თქვენი გზაა მთლიანობისკენ მიმავალი. თუ მეც გამომასალმებთ სიცოცხლეს და თქვენს ნაჩუქარ ქვედაკაბაში სურათს გადამიღებთ, თქვენი ბნელი ოთახი სრულ პალიტრად გარდაიქმნება. როგორც კოლექციონერი თქვენ სრულყოფილების მწვერვალს მიაღწევთ.

– დიდი ხანია, მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ამჟამად აზრი შევიცვალე: ბოლო თვრამეტი წელია იდილიისა და ქვრივობის მონაცვლეობამ ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა: ქვრივობა ღირდა იდილიად. როგორც კი მწუხარების პირველი შემოტევა გაგივლის, მიცვალებულ მიჯნურთან თანაცხოვრება ხიბლს როდია მოკლებული.

– რას უწოდებთ მიცვალებულთან თანაცხოვრებას? გვამებს ჯერ კიდევ აქ ინახავთ?

– არა, დამშვიდდით. ისინი შარონის სასაფლაოზე მშობლების საფლავის გვერდით მივაბარე მიწას.

შარონის სასაფლაო მეტად იდუმალი ადგილია, მას არავინ აკონტროლებს, მაგრამ, მოდი, ისევ ჩვენს სასაუბრო თემას

დავუბრუნდეთ. რატომღაც თქვენ განსაკუთრებული და გამორჩეული მეჩვენებით. შეიძლება იმიტომ, რომ თქვენ ყვითელი ფერი ხართ. ძალიან ბევრს დაკარგავთ, თუ მოკვდებით. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ყოფილი მეუღლეებიდან ზოგიერთი მკვდარი უფრო მომწონს. ეს უეჭველად სხვადასხვა ფერის ვიბრაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ყვითელს სიცოცხლე უხდება.

– როგორ გამიმართლა!

– მართებულად მოვიქეცი, ბნელ ოთახში სიკვდილის მექანიზმი რომ არ გამოვრთე, რადგან ამქვეყნად არსებობს ქალი, რომელიც სხვის საიდუმლოებებს პატივს სცემს.

– შესანიშნავია. იშვიათი მარგალიტისთვის მიგიგნიათ. ახლა მაინც ხომ შეიძლება იმ მოწყობილობის განადგურება?

– რატომ?

– სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, იტყვიან.

– მიგიხვდით მინიშნებას. თქვენ ისეთი შლეგი გგონივართ, რომელიც უსაფრთხოების მიზნით ადამიანებს უნდა განარიდო.

– ასეთი დასკვნის გამოტანა ადამიანზე, რომელმაც რვა ქალი ქრომატული მოტივით მოკლა, ნაჩქარევი იქნებოდა.

– მე შეშლილი კი არა, აბსოლუტში შეყვარებული ადამიანი ვარ, რომელიც ცხრაჯერ აღმოჩნდა საშინელი კითხვის პირისპირ: სად გადის ზღვარი საყვარელ ადამიანსა და საკუთარ მეს შორის?

– რვა პასუხი, რომელიც თქვენ ამ კითხვას გაეცით, ჩემი აზრით, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება: ანუ ყოველი მათგანი მეტისმეტად უაპელაციოა.

– მეცხრე პასუხი სწორი იქნება.

– უკვე იცით?

– არა, მაგრამ ამ პასუხს მე თქვენგან მოველი.

– თქვენ ჩემს გონებრივ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებთ.

– მე გაძლევთ შანსს, გაიბრწყინოთ.

– ჩემი ფუჟერი ცარიელია.

კაცმა „კრისტალ-როდერერი“ დაუსხა. ქალი ჯერ ოქროს ცქერით დატკბა და შემდეგ დალია.

– კარგი შამპანური ადამიანს ფიქრში ეხმარება, – თქვა მან, – წუხელ თქვენ ჩემს გამოცანას მარტო შემატოვეთ. ავდექი და დარჩენილი „კრუგი“ გამოვცალე და მის რჩევასაც დავყევი: წავედი ბიბლიოთეკაში და დაუფიქრებლად ერთ წიგნს წავეპოტინე. „ძველი აღთქმა“ გამოდგა. დამივარდა და იმ გვერდზე გადაიშალა, სადაც „ქებათა ქება სოლომონისა“ წერია.

– დაუჯერებელია! მართლა?

– იმ რამდენიმე სტროფმა ფასდაუდებელი დახმარება გამიწია. ეს არის მოწოდება დღესასწაულისაკენ, სიხარულისა და მოლხენისაკენ. აი, სწორედ მაშინ ვკითხე ჩემს თავს – რომელი იყო თქვენი დღესასწაული? როგორც იქნა, სწორი კითხვა დამებადა თავში.

– იმ სტროფებში სიყვარულშიც ეპატიჟებიან. არ შენიშნეთ?

ქალმა მინიშნება უყურადღებოდ დატოვა და განაგრძო:

– წაკითხულიდან გავიგე, რომ ყოველი სისტემა სიამოვნების მწვერვალს ელტვის და მიზნის მისაღწევად შესაბამის ტაქტიკას შეიმუშავებს. შესაძლოა, სამყაროს ყველა ვარიანტი უზენაესი განცხრომის ერთ წერტილში ერთიანდება, რომლის ძლიერებას ჩვენ ვერც წარმოვიდგენთ. ეს ინდივიდუალურ შემთხვევებზეც ითქმის. ყოველი სულდგმული ესწრაფვის მაქსიმალურ სიამოვნებას.

– რაში გამოიხატება თქვენი მაქსიმალური სიამოვნება?

– მაპატიეთ, რომ დაუფიქრებლად გამოგაცხადეთ მშობლების მკვლელად. მე თქვენ ცუდად გიცნობდით: ამას გარდა, ეს ქმედება სრულიად არ შეესატყვისება თქვენს ქრომატულ სქემას. ერთი რამ დამრჩა მხოლოდ გაუგებარი: მე ვერ ჩავწვდი თქვენი აზროვნების სტილს, სწორედ ამიტომ დამაბნია მათი სიკვდილის დაუჯერებელმა მიზეზმა. მოგვიანებით გავისიგრძეგანე, რომ დაუჯერებლობა სიმართლის განუყრელი თანამგზავრია. თავიდან ადამიანები სწორედ ამის გამო

ცრუობენ. მაგრამ აი, თქვენ არასდროს იტყუებით. ამიტომაც თქვენი ნათქვამის სამი მეოთხედი კაცს შეიძლება წარმოუდგენელი ეჩვენოს.

– ამიხსენით, რატომ ცდილობთ თავის დაძვრენას, როცა თქვენს ჩემდამი სიყვარულზე ჩამოგიგდებთ სიტყვას?

– და რა მოხდება, თუ პირველად სიცოცხლეში ცოცხალ ქალს გადაუღებთ სურათს?

კაცი გაფითრდა, რამაც ქალი კიდევ უფრო დაარწმუნა თავისი გეგმის სისწორეში. შეპასუხების დროც კი არ დაუტოვა.

– სანამ „ჰასელბლადს“ მოიტანთ, მე გავვარდები და ქვედაკაბას ჩავიცვამ.

ქალი თავის ოთახში გაქანდა. ქვედაკაბის სარჩული ისე ნაზად, ისე თბილად და ვნებიანად მოეფერა მის ფეხებს.

როცა ქალი სამზარეულოში დაბრუნდა, „ჰასელბლადით“ ხელში კაცი უკვე ელოდა.

– მეშინია, თანაც ძალიან. მგონი, არაფერი გამომივა.

– შიში სიამოვნების განუყოფელი ნაწილია.

კაცი ქალს ბუდუარში შეუძღვა, რომლის დაშაქრული წაბლისფერმა კედლებმა კიდევ უფრო გამოკვეთა სამოსის ბრწყინვალება.

სატურნინი სოფაზე შემომჯდარი პოზირებდა, რათა ოქროსფერ ქსოვილს მთლიანად შეევსო კადრი.

ფოტოგრაფი იატაკზე გაწვა, ქალს ესღა უთხრა, თქვენი სახე თითქოს ქვედაკაბიდან აღმოცენდა და ამ წამებში იფურჩქნებაო, და ღილაკს თითი დააჭირა.

ძლივს შეამჩნიეს ფოტოაპარატის ნათება ნეტარებით ალმურადენილებმა.

– ესეც ასე, – თქვა კაცმა.

– თქვენ ხუმრობთ, მხოლოდ ერთ ფოტოს ხომ არ დავჯერდებით?

– ასეთია ჩემი მუშაობის მეთოდი, ასე ვიქცევი ყოველთვის.

– მკვდრებთან. ცოცხალ ადამიანთან ყველა პოზა უნდა მოსინჯოთ.

– თუ ასეა, „კრისტალ-როდერერი“ ხომ არ მომეტანა? საწვავი აუცილებლად დაგვჭირდება.

ქალი დაეთანხმა. შამპანური ფოტოგრაფისთვის იგივეა, რაც ტყვია-წამალი ომისთვის.

სატურნინს თავი არ დაუზოგავს, – საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. ფუჟერი ხელიდან არ გაუშვია. არც ხშირ-ხშირად მის შევსებას ივიწყებდა; ხან გორგონა იყო, ხან საუკუნის მიწურულის ტამპლიერი, მარსელი პაგოდაც იყო და კართაგენელი კერპიც, სუკუბიც,[24] პარვატიც, ამატერასუც, მარია მაგდალელიც, ლილიტიც, ერჟბეტ ბატორიც და გალაქტიკათშორისი მეფუტკრეც. ფოტოგრაფმა ყოველ ინკარნაციაზე ცვალა კადრი და კონტრასტები, შესაბამისი განათებაც მოიფიქრა.

ექსპერიმენტმა ორივეს თავბრუ დაახვია, ახალმა გამოცდილებამ ორივე გააოგნა. აქამდე სატურნინს საოჯახო სუფრასთან თუ უღებდნენ, – საჭმლით პირსავსეს ან ღეჭვისას ლოყებგაბერილს. დონ ელემირიოს კი მხოლოდ მიცვალებულებთან ჰქონდა საქმე. სიახლემ და ნოვატორულობამ გამოუცდელი ქალწულივით აღაგზნო და გადარია. მათ ერთმანეთს დღემდე უცნობი და გამოუკვლეველი აჩუქეს.

რაც უფრო მეტს იღებდა კაცი, მით უფრო გრძნობდა ქალი სხეულის სიღრმიდან მძვინვარე ენერგიის ამოხეთქას. ფოტოგრაფი ფირზე იღებდა, ასე რომ, სესიას მყისიერი შედეგით ზიანი არ მიუყენებია.

შემოქმედება მოლოდინის იდუმალებით უნდა იყოს გაჯერებული. როცა ქმნი, უმჯობესია, დროს ანგარიში გაუწიო. როცა ქმნი, ეცადე, დრო არ უკუაგდო, მუდამ გახსოვდეს დრო!

როგორც კი ბოთლი დაცარიელდა, სატურნინმა გამოაცხადა, დასაძინებლად მივდივარო და მოულოდნელად მიატოვა ფოტოგრაფი. სხვანაირად ვერც წარმოედგინა: ის, რაც მათ ერთმანეთს გაუზიარეს და რამაც ისინი დააკავშირა, იმდენად ძლიერი იყო, რომ ყველა სხვა შესაძლო ეპილოგი გამოირიცხა.

* * *

მეორე დღეს ლუვრიდან დაბრუნებულმა სატურნინმა თავის ოთახში გუშინდელი ფოტოები საწოლზე ჩამწკრივებული იპოვა.

ორმოცდაათიოდე იქნებოდა. ერთიმეორეზე თვალწარმტაცი. გეგონებოდათ, ერთი კი არა, მოდელთა მთელი ლაშქარი პოზირებდა. „არ მეგონა, თუ ასეთი მოზაიკური ვიყავი“, – გაუელვა თავში სატურნინს! რა საოცრებაა, იყო არა ერთი, არამედ ერთდროულად ორმოცდაათი ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული ადამიანი. ის იმ ფოტოებმაც კი აღაფრთოვანა, სადაც მაინცდამაინც მომგებიან პოზაში ვერ იყო აღბეჭდილი; ის, რაც ესპანელმა დაიჭირა, მასში არსებობდა – მახინჯიც, ლამაზიც, სუსტიც და ძლიერიც.

მელენმა ქალი ვახშამზე მიიპატიჟა. დონ ელემირიო მას ლანგუსტების პირამიდის წინ ელოდა.

– გმადლობთ ფოტოებისთვის, – უთხრა ქალმა.

– ეს მე უნდა გადაგიხადოთ დიდი მადლობა. მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია. რომელს აირჩევდით?

– არც ერთს. მე ყველა მომწონს.

ესპანელმა 1843 წლის „კრუგ კლო დიუ მენილი“ გახსნა. როგორც ნატიფი გემოვნების ადამიანს, არ დაუზუსტებია, რომ ეს იყო მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული შამპანური. თუმცა, ეს დაავიწყდა კიდეც.

– რომელი ფოტო ავირჩიოთ ბნელი ოთახისთვის? – იკითხა მან.

– ნუთუ აუცილებელია იმ ოთახში ფოტოს დაკიდება? – შეეპასუხა სატურნინი და მაამებელი ღვთაებრივი ნექტრით ტუჩები დაისველა.

– რა თქმა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი ფერი დააკლდება.

– იქნებ საჭიროა ერთი მაინც აკლდეს.

– მგონი, თქვენი აზრი გონივრული არ არის. ეს ესთეტიკური შეცდომა იქნება.

– მე ასე არ ვფიქრობ.

– წამობრძანდით და ერთად ვნახოთ.

დონ ელემირიომ სატურნინი შავ კართან მიიყვანა. სანამ ოთახში შეაბიჯებდა ქალმა თავი დაირწმუნა, რომ კრიოგენული მოწყობილობა გამორთული იყო.

სატურნინისთვის ტუტანხამონის აკლდამაში შესვლა, ალბათ, ნაკლებად შემზარავი იქნებოდა. კედელზე დაკიდებულ რვა სურათს მხოლოდ ერთი ნათურა ანათებდა. მეცხრისთვის მასპინძელს ადგილი უკვე შეერჩია. ოთახის სიცარიელისგან გააჟრჟოლა, აშკარად იგრძნო ის რვა აგონია, რომლის მომსწრეც ეს შავბნელი ადგილი იყო და ღრმად ჩაისუნთქა.

– წარმომიდგინეთ ისინი, – გულცივად უთხრა სატურნინმა.

– ემელინ, ჩემო ტურფავ, გაიცანი სატურნინი, ქალი, რომელიც მიყვარს. პროზერპინა, ჩემო მიჯნურო, აი, სატურნინი, ქალი, რომელიც მიყვარს; სევერინ...

ჯერ კიდევ ცოცხალი ქალი დიდხანს ათვალიერებდა გალერეას. ფოტოებს აშკარად ეტყობოდა პროფესიონალის ხელი, რამაც დააეჭვა, რომ აქ საქმე ცოტა ისე ვერ იყო. იმ დეტალს სიკვდილი ერქვა. ძლიერი ლაქით დაფარული ეს ულამაზესი სახეები თითქოს გაყინულიყო და შემზარავ გრძნობას აღუძრავდა ახალგაზრდა ცნობისმოყვარე დამთვალიერებელს: ცხადი იყო, ეს ქალები ცოცხლებში აღარ ეწერნენ. ისიც აშკარად იგრძნობოდა, რომ ისინი მსახვრალმა ხელმა სათითაოდ გამოასალმა სიცოცხლეს.

– გესმით, რას ამბობენ? – ჰკითხა სატურნინმა, – ხმა, რომელიც ამ რვა პორტრეტიდან ისმის? ხმა, რომელიც გამუდმებით ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებს: „ჩემო სიყვარულო, როგორ არ მოხვედით ჩემს გადასარჩენად?“

– თქვენ ფერებზე არაფერი გითქვამთ, არ მიგაჩნიათ, რომ უჩვეულოდ გაჯერებულია? ფერი თითოეული მათგანის არისტოკრატიული ნაწილია. ეს ადგილი კი თქვენ გეკუთვნით, – თქვა მან და კედელზე დაუკავებელ ადგილზე მიუთითა.

– ცოცხალი მიცვალებულთა ფოტოებს შორის? არც იფიქროთ ამაზე.

– მე ყვითელი ქალი მჭირდება! – გაისმა ესპანელის პროტესტი, – იცით თუ არა, რომელი ფერია ყველაზე ხშირად ბიბლიაში ნახსენები?

– არ ვიცი.

– ოქროსფერი და ეს თქვენ ხართ, ჩემო ტურფავ.

სატურნინს გააჟრჟოლა: დონ ელემირიო მას ისევე მიმართავდა, როგორც იმ უბედურ, აწ უკვე მკვდარ ქალებს.

– არ მინდა, ჩემი ფოტო აქ დაკიდოთ.

– თქვენს უნებართვოდაც როგორმე მივხედავთ საქმეს, პალიტრა სრული უნდა იყოს.

– სხვის სურვილს ოდესმე თუ უწევთ ანგარიშს?

– თავს უფლებას მივცემ და შეგახსენებთ, რომ ყოველმა მათგანმა ჩემი სურვილი არაფრად ჩააგდო.

– და მე?

დონ ელემირიო დაბნეული ჩანდა.

– მე, – უთხრა სატურნინმა, – თქვენს სურვილს ყოველთვის პატივს ვცემდი. დავიცადე, სანამ ბნელ ოთახში თავად არ მიმიპატიჟეთ. აღიარეთ, განა იდეალურად არ ვიქცეოდი?

– ოქროსი ტყუილად კი არა ხართ.

– მაშ, ჩემი სურვილი თქვენს პატივისცემასა და ყურადღებას არ იმსახურებს?

– ვერაფერი გამიგია, – ამოიოხრა ესპანელმა, – თქვენ ხომ მოგწონთ ჩემი გადაღებული ფოტოები?

– მომწონს, თან ძალიან და არავითარი სურვილი არა მაქვს, ისინი ამ საზარელ ოთახში გამოვფინო.

– სიყვარულის წმინდა ტაძარს საზარელს უწოდებთ?

– ყასბის მაცივარი უნდა მეთქვა.

დონ ელემირიოს გაეცინა. ამ სიცილში სატურნინს არ გამოჰპარვია კეთილგანწყობის ნოტები. მიხვდა იმასაც, რომ როგორც კი ესპანელს ზურგს შეაქცევდა, ეს უკანასკნელი მის

ფოტოპორტრეტს წინასწარ შერჩეულ ადგილზე მიაკრავდა. სატურნინი მიხვდა, რომ ორჭოფობის დრო აღარ იყო. ლამის ერთი ნახტომით გავარდა ოთახიდან, ჩართო კრიოგენური მოწყობილობა, კარი გამოიხურა და ბნელეთის ამ კარიბჭეს მთელი სხეულით აკრული დაელოდა.

– სატურნინ! – ჩაესმა, როგორც იქნა, ქალს.

– აქა ვარ, – უპასუხა და თან გაიფიქრა, რომ დონ ელემირიო მას პირველად მიმართავდა სახელით.

– შეუძლებელია კარის შიგნიდან გაღება.

– ეს არც მეეჭვებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რვა ქალი ახლა ცოცხალი იქნებოდა.

– არ შეგიძლიათ გამომიშვათ? გთხოვთ.

– მხოლოდ ერთი პირობით: უნდა შემომფიცოთ, რომ ყვითელი ფერისთვის მონიშნულ ადგილს ცარიელს დატოვებთ.

– მე ვერ ვიცრუებ. ამ ფიცს ვერ დავდებ.

– მაშ, სიკვდილი გირჩევნიათ?

– ეს იგივეა, ღმერთისთვის ცისარტყელას შექმნისას ყვითელი ფერის გამოყენება აგეკრძალათ.

– მით უარესი თქვენთვის. გაიგებთ, სიცივისგან როგორ კვდებიან.

– სანამ იმ ქვეყნად წავალ, შეგიძლიათ კართან დარჩეთ და კომპანიონობა გამიწიოთ?

– არც იოცნებოთ. „კრუგ კლო დიუ მენილს“ სულ გაუვა გაზი. წავალ და უთქვენოდ სიამოვნებით გამოვცლი ბოთლს.

– სატურნინ!

სატურნინმა იგრძნო, რომ მეორე მხრიდან ესპანელი ზურგით აეკრა კარს. მათ სხეულებს მხოლოდ ორი სანტიმეტრი სისქის ხე აცილებდა ერთმანეთს.

– ვერ წარმოიდგენთ იმ ნეტარებას, რომელიც ამ ათი დღის განმავლობაში თქვენი ლერწმისფერი თვალების ცქერამ განმაცდევინა.

სატურნინი დუმდა, წასვლამდე კი ტუჩებით შეეხო იმ ადგილს, სადაც განწირულს კეფა ჰქონდა მიდებული.

დაპირების მიუხედავად, სატურნინმა შამპანურის დალევა გადაიფიქრა, რადგან ვერ იტანდა მარტო სმას. სამაგიეროდ, ბოთლი ზურგჩანთაში ჩაჩურთა, ხოლო ტოლედოური ბროლის ორი ფუჟერი პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და სასახლიდან წავიდა.

* * *

ტურ-მობურის ქუჩაზე სატურნინმა გაიფიქრა, დასამშვიდებლად ცოტა ფეხით გავლა არ მაწყენდაო. „ალბათ, მთელი ღამე მომიწევს სეირნობა, თორემ თავს ვერ შევიკავებ და ესპანელის გამოსაშვებად უკან მივბრუნდები“, – უთხრა საკუთარ თავს.

ციოდა, მაგრამ არც ისე, როგორც ახლა ბნელ ოთახში. თავისი მსხვერპლისთვის სოლიდარობის ნიშნად, სატურნინი მოიბუზა.

მერე მაწანწალას, რომელმაც სევდის მიზეზი ჰკითხა, აუხსნა:

– სევდიანი იმიტომ ვარ, რომ სატურნინი მქვია.

და მაინც, სატურნინი არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანებს, ადვილად რომ ეცემიან სულით. მობილური ამოიღო და კორინს დაურეკა.

– კორინ, ყური მიგდე. მთელი ღამე ქუჩებში ხეტიალი ჩემთან ერთად, პლუს მსოფლიოში უძვირესი შამპანური, რას იტყვი, მოსულა?

– მოვქრივარ.

მეტროსთან შორიახლოს სატურნინმა გრძელი სკამი დალანდა და გადაწყვიტა, კორინის მოსვლამდე იქ ჩამომჯდარიყო. მის წინ ინვალიდების ეკლესია აღმართულიყო, რომლის გუმბათი ახლახან მოაოქროეს. იდეალურად განათებული პირდაპირ ელვარებდა. სატურნინს საკმაო დრო ჰქონდა საიმისოდ, რომ ამ ბრწყინვალებით დამტკბარიყო.

...და სწორედ იმწამს, როცა დონ ელემირიომ სული ამოუშვა, სატურნინი ოქროდ გარდაიქმნა.

[1] (ლათ. განაჩენი, სასამართლო) – ფართო გაგებით, ღვთის სამსჯავრო, ვიწრო გაგებით – ბრალდებულის წამება გახურებული შანთით, მდუღარე წყლით და მისთ. მისი დამნაშავეობა-უდანაშაულობის გასარკვევად. თუ წამებას გაუძლებდა, გამართლებულად ჩათვლიდნენ.

[2] ბალტასარ გრასიან ი მორალესი (1601-1658) – ესპანელი პროზაიკოსი, ფილოსოფოსი და ლიტერატურის თეორეტიკოსი, იეზუიტი; ლულიუსი (ესპ. ლულიო; დაახლ.1235-1315) – ესპანელი პოეტი, ფილოსოფოსი, მისიონერი, ევროპული არაბისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[3] ტომაზო დე ტორკვემადა (1420-1498) – ინკვიზიციის დამაარსებელი, ესპანეთის პირველი დიდი ინკვიზიტორი.

[4] ფერნან კნოპფი (1858-1921) – ბელგიელი მხატვარი, გრაფიკოსი, მოქანდაკე და ხელოვნებათმცოდნე, ბელგიური სიმბოლიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

[5] პოპულარული ფრანგული დესერტი: ტორტი პროფიტროლებით, ათქვეფილი ნაღებით ან მოხარშული კრემით.

[6] ანრი დეზირე ლანდრიუ (1869-1922) –ფრანგი სერიული მკვლელი.

[7] მაღალი კლასის ელიტური შამპანური ღვინო, შეიქმნა 1953 წელს ლორან-პერიეს ღვინის სახლში. სახელი დაერქვა მზე-მეფის, ლუი XIV-ის მეფობის პერიოდის მიხედვით, რომელსაც „Grand siecle“ – „დიად საუკუნეს“ უწოდებდნენ.

[8] პეტიო მარსელი (1897-1946) – პარიზელი მანიაკი. 1946 წელს გილიოტინაზე დაასრულა სიცოცხლე. მისი ამბავი დაედო საფუძვლად 1990 წელს გადაღებულ ფილმს „ექიმი პეტიო“.

[9] (ფრანგ. chapeau claque) – მამაკაცის ქუდი, ცილინდრის ნაირსახეობა, შეიძლებოდა მისი დაკეცვა. პირველი შაპოკლიალი პარიზში XIX საუკუნის 30-იან წლებში

დაამზადეს. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ აღარ იხმარებოდა.

[10] ჟერარ დე ნერვალი (ჟერარ ლაბრიუნი; 1808-1855) – ფრანგი პოეტი-რომანტიკოსი.

[11] (ფრანგ.) მარკიზეტის ტიპის ვისკოზის თხელი ქსოვილი.

[12] შვეიცარიულ-გერმანული წარმოშობის ექიმისა და ალქიმიკოს პარაცელსუსის (1493-1541) ცნობილი ფრაზა.

[13] (ბერძნ. litotes – უბრალოება, თავშეკავება) მხატვრული ხერხი, ჰიპერბოლის საპირისპირო – რისამე ან ვისიმე დამცრობა (მისი ამაღლების მიზნით).

[14] (ლათ. სიტყვასიტყვით კათედრიდან) აქ: უცილობელი.

[15] წრფე, რომელიც წირს უსასრულოდ უახლოვდება, მაგრამ არ კვეთს. ასიმპტოტა შეიძლება იყოს ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დახრილი.

[16] პირველი ნაბეჭდი წიგნი.

[17] ცხოვრების წესი, რომელიც პასუხობს ასკეტიზმის მოთხოვნებს.

[18] კათოლიციზმში: ადგილი, სადაც ის სულები არიან, რომლებიც სამოთხეში ვერ მოხვდნენ, თუმცა ეს არ არის ჯოჯოხეთი ან განსაწმენდელი.

[19] ჟოზეფ ნისეფორ ნიეპსი (1765-1833) – ფრანგი გამომგონებელი. ცნობილია, როგორც ფოტოხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[20] (ლათ.) სურვილისამებრ, რამდენიც გინდათ, როგორც გენებოთ.

[21] (ფიზ.) გამხსნელის თანდათანობით შეღწევა ხსნარში მათი გამყოფი თხელი ტიხრის გავლით.

[22] (ლათ.) გემოვნებასა და ფერებზე არ დავობენ.

[23] დეტექტიური ჟანრის თამაში.

[24] შუა საუკუნეების ევროპული ტრადიციით, მდედრობითი სქესის დემონი-მაცდუნებელი.